საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

GIOC
საქართველოს ნავთობის
საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International
Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №111 (3152) ხუთშაბათი, 29 აპრილი 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

Rustavcement
შეიძინეთ მხოლოდ ამ ნიშნით!

პარლამენტის თავმჯდომარე

ბალანსირების პრინციპი მაქსიმალურად უნდა ამოქმედდეს

პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი საქართველოში ჯოზეფ ოუენი და ენერგეტიკის პროგრამის ხელმძღვანელი ჯონათან ვოლტერსი.

შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა პარლამენტის თავმჯდომარეს საქართველოში ელექტროენერგეტიკის სფეროს პრივატიზაციის, ბაზრის ფორმირების და სატარიფო პოლიტიკის საკითხებზე გაუზიარეს მოსაზრებები და აღნიშნეს, რომ არსებობს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ამ სფეროში მრავალმილიონიანი კრედიტის გამოყოფა არის გათვალისწინებული. პროექტის რეალიზაციისათვის აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო უზრუნველყოფა და როგორც შეხვედრაზე ითქვა, პარლამენტი უახლოეს მომავალში მიიღებს აუცილებელ ცვლილებებს კანონში ელექტროენერგეტიკის შესახებ. ზურაბ ჟვანიამ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება ელექტროგენერაციისა და დისტრიბუციის სფეროებში პრივატიზაციის საკითხებისადმი ახლებური მიდგომების შემუშავების მნიშვნელობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ობიექტებს, რომლებიც რეკონსტრუქციას საჭიროებენ. მისივე თქმით, სატარიფო პოლიტიკის განხორციელების დროს მაქსიმალურად უნდა ამოქმედდეს ბალანსირების პრინციპი და აქ საჭიროა დროული გადაწყვეტილებების მიღება.

პარლამენტის პრესსამსახური.

კანონმდებლები

პლენარული სხდომა გადაიდო

იმის გამო, რომ კვორუმი არ შედგა, 28 აპრილს პარლამენტის პლენარული სხდომა არ გაიმართა.

მორიგი პლენარული სხდომა დღეს, დილის 10 საათზე დაიწყებს მუშაობას.

საქინფორმი.

ინტეგრაცია

ედუარდ შევარდნაძე:

„მსოფლიო ორად ვერ იქნება გაყოფილი“

საქართველოს პრეზიდენტის პრესკონფერენცია ევროპის სასახლის პრესისა და ინფორმაციის ცენტრში

სტრასბურგი. 28 აპრილი. (საქინფორმის სპეც. კორ. მაია ალუდაური, ედუარდ ედიბერიძე). ევროპის საბჭოში საქართველოს ოფიციალური გაწევრიანების დღეს ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების ყველა რეკორდი მოხსნა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე გამოსვლის შემდეგ მან პასუხი გასცა კონტინენტის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელთა 25 კითხვას. სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ, ევროპის სასახლის პრესისა და ინფორმაციის ცენტრში ჟურნალისტთა თითქმის ამდენსავე კითხვას უპასუხა.

მიესალმა რა ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყნიდან ჩამოსულ მასმედიის წარმომადგენლებს, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე მართლაც ისტორიულია საქართველოსათვის. მან მიულოცა ევროპის საბჭოში გაწევრიანებულ ქვეყნებს, უწინარეს ყოვლისა, თავის ხალხს და განაცხადა, რომ საქართველოს

იხ. მე-2 გვ.

„მთელმა ევროპამ აღიარა საქართველო თავისი ღირებულებებით, თავისი დიდი წარსულით, დღევანდელი აწმყოთი და ხვალინდელი დიდი მომავლით“

გუშინ თბილისში სტრასბურგიდ

ჩამოვიდა საქართველოს დელეგაც

ყველა ადამიანს აქვს ცხოვრებაში ისეთი წუთი, რომელიც მთელი ცხოვრება გაჰყვება. ასეთი წუთის სიდიადე, ალბათ, სრულად გაისიგრძეგანა 1999 წლის 27 აპრილს თითოეულმა ჩვენგანმა, საქართველოს ყველა მოქალაქემ. ახდა ქართველთა თაობების ნატვრა – საქართველო გახდა ევროსაბჭოს დიდი ოჯახის ღირსეული წევრი. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მატიანე კიდევ ერთი ისტორიული ფურცლით შეივსო. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ერთნაირად ეკუთვნის ყველას – ჩვენს აწმყოსაც და მომავალსაც. აქვს კიდევ ამ ფაქტს ერთი ფრიად საყურადღებო ასპექტიც: მსოფლიომ ირწმუნა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიის გზაზე მდგარი საქართველო არასოდეს გადაუხვევს ამ გზიდან.

...დიდი ხალხმრავლობა იყო 28 აპრილს თბილისის აეროპორტში, სადაც საზოგადოებრიობის წარმომადგენლები სიხარულითა და სიამაყით შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს დელეგაციის წევრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ნატოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამიტის მუშაობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროსაბჭოში საქართველოს წევრად მიღების ცერემონიაში სტრასბურგში.

დამხვდურთა შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, თბილისის მერი ვანო ზოდელავა, მთავრობისა და პარლამენტის წევრები.

მეკრებილი საზოგადოება ტაშით შეეგება ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც გულთბილი მისალმების შემდეგ სპეციალური ტრიბუნისაკენ გაემართა და სიტყვა წარმოთქვა.:

რეპორტაჟი

თბილისის აეროპორტი: 1992 წლის 7 მარტი – 1999 წლის 28 აპრილი

ზღვა ხა
თბილისის ?ოდა გუშინ
რასბურგიდ ორტში სტ-
თმფრინავს, რ ალ თეი-
რთველოს ევრო საქა-
წევრიანებასთან დ. გა-
ბით გამართული საზე-
რემონიალის მონაწი-
ქართველოს პრეზიდენ
მისი თანმხლები პირებ
მოიყვანა.

მათს დასახვედრად „ყვ
ჟურისა და ფენის“ წარმომ
დგენლები მოსულიყვნენ. ას
ხალხმრავლობა თბილისის აეროპორტში 1992 წლის მარტის იმ დღის შემდეგ აღარ ყოფილა, როცა მე სამშობლოში დავბრუნდიო, – თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გუშინდელი შეხვედრისას, სიტყვით რომ გამოვიდა.

მე მახსოვს 1992 წლის ის 7 მარტი, როცა 7 წლის განშორების შემდეგ ყოფილი სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე სამშობლოში დაბრუნდა. მართლაც, ასევე ზღვა ხალხი ელოდა მაშინაც.

ოღონდ, ის ხალხი აწინდელივით ერთსულოვანი მოლოდინით როდი იყო შეკრული.

ვინ (უმეტესობა) მართლაც ხვალინდელი დღის იმედის მოლოდინს მოეყვანა, ვინ მძულვარებით დაკოხილი იყურებოდა, ვინ – გულგრილი არაფრისმთქმელობით, ვის უბრალო ცნო-
ისმოყვარეობის ჭია აწუხებდა...
ერთი კი აშკარა იყო: შინ და-
ბრუნებული ედუარდ შევარდ-
აღარ იყო ის კაცი, 7 წლის
რუსეთს რომ გაისტუ-
მრობლომ, აღარც საქა-
როჟო ის საქართველო,
7 წლ. არდ შევარდნაძემ
დასტოვა.

იდ წელიწა-
არმაზარი,
ტოლი
ას იყო და
მშო ა სა-
მესცქე ლი
თმანეთ რ-
გრძნობდ. იტო-
ებით, მაგ ვენი თა-
რდაუვალ გ დაასრუ-
ებას. მათ, ორივეთაც და-
ნდობის გამო პატივი-
უნდა ჩაებარ კიდებ უ-
ნათ ერთმანეთ გენის
თვის.

მას შემდეგ 7 წელთა
ლიწადი კიდევ გა კვე-
ვიდა.
კვენა
ლი
გამოცდა უკვე ჩაბარებულია. ამ 7 წელიწადში ქვეყანამ უმძლავრესი ნახტომი გააკეთა.

იხ. მე-3 გვ.

სურათებზე: გუშინ თბილისის აეროპორტში.

ჯემალ კასრაძის და დავით ხიზანიშვილის ფოტო.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

თბილისის აეროპორტში 1999 წლის 28 აპრილს

ასეთი ხალხმრავლობა ჩვენს აეროპორტში იყო მაშინ, როცა 1992 წელს საქართველოში ჩამოვედი. სხვა წელი იყო, სხვა დრო, სხვა გასაჭირი. არც დღეს ვართ დალხინებული, მაგრამ დღეს სხვა ქვეყანა ვართ. დღეს სახელმწიფო ვართ მსოფლიოს და, განსაკუთრებით, ევროპის მიერ აღიარებული.

გილოცავთ ამ აღიარებას!

გუშინ, სტრასბურგში დრომის აღმართვამდე მართლაც სრულიად გულახდილად ვთქვი, რომ არცთუ ახალგაზრდა კაცი, მრავალი და მრავალი ფორუმის მომსწრე, რომლისთვისაც უცხო არ არის არც ერთი ტრიბუნა, ნამდვილად ვღელავ, ვღელავ სულის სიღრმემდე. ახლაც ვღელავ, იმიტომ, რომ თქვენთან ერთად ვარ, ჩემს სამშობლოში, ჩემს მიწა-წყალზე. ვღელავ იმიტომ, რომ ჩვენ თქვენთან ერთად გვერგო უდიდესი ბედნიერება, რომელიც არ ღირსებია ჩვენს წინაპართა არც ერთ თაობას. საქართველოს ყველა თაობა ოცნებობდა ევროპასთან დაახლოებაზე, ევროპის სივრცეში მოხვედრაზე. მაგრამ მაშინ, იმ წლებში, იმ საუკუნეებში, იმ ათასწლეულებში განგებამ ისე ინება, რომ საქართველო შორს აღმოჩნდა ევროპისაგან და ევროპა – საქართველოსაგან. ამიტომაც იყო უამრავი ქარტეხილი, რომელიც ჩვენმა ხალხმა ამ ათასწლეულებში გადაიტანა.

დღეს ჩვენ ევროპის საბჭოს, ესე იგი, ევროპის, ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ვართ. კიდევ ერთხელ გილოცავთ. არ შემიძლია არ მოგილოცოთ იმიტომ, რომ ეს ის მოვლენაა, რომელსაც მომავალი თაობები დააფასებენ. ეს ნიშნავს ჩვენს თვითდამკვიდრებას, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თუ არჩეულ გზას – დემოკრატიის განვითარების გზას, ადამიანის უფლებების დაცვის გზას, ცივილიზებული ქვეყნის მშენებლობის გზას არ ვუღალატებთ, ჩვენი დამოუკიდებლობა და ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ერის კულტურა დაცული და გარანტირებულია, ჩვენ საიმედო ფარი შევიძინეთ, გავხდით რა დიდი ევროპის მცხოვრები, მისი ღირსეული და სრულფასოვანი წევრი.

ახლა მართლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამიერიდან „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ჩვენი ქვეყანა შეკავშირდება, თუ წვრილმანი ინტრიგები, პატარ-პატარა ამბიციები, ერთმანეთის მტრობა არ მოგვიტანს განსაკუთრებულ ზიანს, ისეთ გარემოში, ისეთ გარემოცვაში მოვხვდით, რომ, ალბათ, ვერც ერთი ჩვენი წინაპარი ამას ვერ წარმოიდგენდა და ვერ იოცნებებდა.

შემთხვევით როდი ვახსენე დიდი სულხან-საბა ორბელიანი. ალბათ, იმ საუკუნეში ყველაზე მეტად მას ესმოდა, რას ნიშნავს ევროპა. და მე გავიხსენე, როგორ ამაოდ დადიოდა იგი კარიდან-კარზე, როგორ ეახლა ლუი მეთოთხმეტის ბრწყინვალე სასახლეს, დარბაზებს, როგორი ზარ-ზეიმით მიიღეს და რა ხელცარიელი დაბრუნდა, რადგან ევროპა მართლა შორს იყო მაშინდელი საქართველოსაგან და მეტის გაკეთება არ შეეძლო.

დღეს ჩვენ იმ ეტაპს მივაღწიეთ, როცა ჩვენი დემოკრატიული ღირებულებანი, ქართული დემოკრატიის ღირებულებანი, წარსულში რომ აქვთ ფესვები გადგმული, აღიარებულია, შეფასებულია, დაფასებული და გაფორმებულია ისე, როგორც უნდა იყოს, და ამას ჰქვია ევროპის საბჭოს წევრობა და ევროპის დიდი ოჯახის წევრობა. აი, ამ ღირებულებებს უნდა გავეუფრთხილდეთ, გავეუფრთხილდეთ იმას, რაც უკვე მოვიპოვეთ – დამოუკიდებლობას, დამოუკიდებლობის გზას, დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ქვეყნის ერთიანობას, მის მთლიანობას და სტაბილურობას. ასეთია ჩვენი მიზანი. დანარჩენი – დიდ არეალში, დიდ სივრცეებში გასვლა საქართველოს უკვე გარანტირებული აქვს.

იხ. მე-2 გვ.

კადრი



აშშ და საქართველოს პრეზიდენტები.

ვაშინგტონი, 1999 წლის აპრილი.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინფორმაცია

სავალუტო ფონდის მისია საქართველოში 10 მაისს ჩამოვა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისია საქართველოში 10 მაისს ჩამოვა და 10 დღის განმავლობაში ქვეყანაში სტრუქტურული გარდაქმნის გაფართოებული მექანიზმის ESAF-ის პროგრამის მიმდინარეობას შეისწავლის, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიამ.

მისი თქმით, მისია ძირითადად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის, სახელმწიფო საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების საქმიანობას განიხილავს.

ეროვნული ბანკის მუშაობის თვალსაზრისით სსფ მისიასთან ურთიერთობაში არავითარი პრობლემა არ იქნება, რადგან საქართველოს მთავარმა ბანკმა, სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების შეწყვეტის შესახებ საკმაოდ ეფექტიანად მართა პროცესები და ფინანსურ სტაბილურობას მიაღწია, – თქვა მან. წინსვლა აღინიშნება სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის საქმიანობაშიც, რომელმაც 1999 წლის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა.

ბასილიას აზრით, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მიერ ბიუჯეტში თანხების მობილიზების მდგომარეობა რჩება, რისთვისაც სერიოზული სამუშაო იქნება განსახორციელებელი.

ბისეკის საგარეო საქმეთა მინისტრები თბილისში შეხვდებიან

30 აპრილს თბილისში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (ბისეკი) წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მე-13 შეხვედრა.

საქართველომ დაასრულა ბისეკის თავმჯდომარე ქვეყნის ფუნქციების შესრულება და ამ საპატიო მოვალეობას ექვსი თვის ვადით საბერძნეთის რესპუბლიკას გადასცემს.

ექვსი თვის განმავლობაში, რაც საქართველო თავმჯდომარე ქვეყნის ფუნქციას ასრულებდა, ბევრი საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა, მათ შორის აღსანიშნავია: საერთაშორისო კონფერენცია – მრგვალი მაგიდა – „ბისეკი XXI საუკუნის მიჯნაზე“ (თბილისი, 1999 წლის 9-10 მარტი); საგანგებო სიტუაციების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა (ლიკანი, 1999 წლის 18-19 მარტი); შავი ზღვის ნავსადგურების ხელმძღვანელების კონფერენცია (ფოთი, 1999 წლის 24-25 მარტი).

აფხაზეთის გათავისუფლების პარტია არჩევნებისთვის ემზადება

აფხაზეთის გათავისუფლების პარტია, რომლის დამფუძნებელი ყრილობა 29 აპრილს გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში, – აცნობა პრაიმ-ნიუსს ამ მოძრაობის ხელმძღვანელმა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა.

ნადარეიშვილის თქმით, პარტიის რიგებში გაწევრიანებულია 48 ათასამდე ადამიანი. დღეისათვის შექმნილია პარტიის რაიონული ორგანიზაციები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე, რეგიონული ორგანიზაციები მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, სოჭში და კიევში. ყრილობაზე მიღებული იქნება პარტიის პროგრამა, წესდება და მოქმედების გეგმა.

ნადარეიშვილი ეთანხმება ვაშინგტონში ნატოს შექმნის 50 წლის იუბილეზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ აზრს „მსოფლიოში არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში გაეროს არაეფექტურობის“ შესახებ. ნადარეიშვილის თქმით, გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე 19 რეზოლუცია მიიღო, რომელთაგან პრაქტიკულად არც ერთი არ განხორციელებულა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

ვიზიტი

რეგიონის ქვეყნების საერთო ინტერესების შესაბამისად

როგორც ვიუწყებოდით, სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს პრეზიდენტები ედუარდ შევარდნაძე, ჰეიდარ ალიევი და რობერტ ქოჩარიანი ვაშინგტონში შეხვდნენ აშშ სახელმწიფო მინისტრს მადლენ ოლბრაიტს.

საქართველოს პრეზიდენტმა მოუწოდა ამ შეხვედრის მონაწილეებს, ემსჯელათ, უწინარესად, იმ საკითხებზე, რომლებიც რეგიონის ქვეყნების საერთო ინტერესებს შეესაბამება და ხელს შეუწყობს თანამშრომლობის განვითარებას; სხვა, შედარებით პრობლემური თემების განსახილველად კი მომავალში შეიკრიბონ და გააგრძელონ დიალოგი.

იხ. მე-2 გვ.

ყურადღება, აქციზური მარკები!

მიმდინარე წლის 20 მარტიდან აკრძალულია არამარკირებული ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა, 30 მარტიდან – თამბაქოს ნაწარმის!

აქციზური მარკები უზრუნველყოფს ბიუჯეტის შევსებას, ჯანსაღი კონკურენციის პირობების ჩამოყალიბებას, ხელს უშლის კონტრაბანდული და ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოჩენას ბაზარზე.

აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, რეალიზაცია ან შენახვა ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ვადით 1-დან 10 წლამდე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახური აგრძელებს დადგენილი წესით აქციზური მარკების რეალიზაციას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 14.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი.

უკანასკნელ საათს

დღეს გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი მოსკოვში შეხვდება რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს და პრემიერ-მინისტრს ევგენი პრიმაკოვს. დღესვე ვიქტორ ჩერნომირდინი ევროპაში გაემგზავრება და მოლაპარაკებებს გამართავს კოსოვოს კრიზისის თაობაზე.

გუშინ სტრასბურგში გამართულმა ევროსაბჭოს პარლამენტის სესიამ მიიღო რეზოლუცია ნატოს მხარდაჭერის შესახებ და კოსოვოში ეთნიკური წმენდის ორგანიზატორად დაასახელა სლობოდან მილოშევიჩი. სესიამ მისი საერთაშორისო ტრიბუნალისთვის გადაცემა მოითხოვა.

გუშინ პრეზიდენტმა ბორის ელცინმა სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა ვიქტორ ასტაფიევი.

გუშინ 75 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ლიტველ მსახიობს დონატას ბანიონისს („მკვდარი სეზონი“).

გუშინ მოსკოვის სასამართლომ 25 მილიარდი რუბლის დატაცებაში მხილებულ ანტიდუდაევური ოპოზიციის ყოფილ ხელმძღვანელს, გროზნოს ყოფილ მერს ბესლან განტემიროვს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 27 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.5196 ლარი
გერმანული მარკა	1	1.1820 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1800 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3524 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0562 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0879 ლარი

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა. დასავლეთის ქარი 8-13 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +4+9;
დღისით +19+24.
მთაში: ღამით +2+7; დღისით +16+21.
მაღალ მთაში: ღამით +1+6;
დღისით +8+13.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, შესაძლებელია სეტყვა.

ბარში: ღამით +8+13;
დღისით +17+22.
მთაში: ღამით: +5+10;
დღისით +15+20.
მაღალ მთაში: ღამით 0+5;
დღისით +14+19.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით.

ღამით +11+13; დღისით +20+22.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

მოვლენის კვალზე

საუკუნის პროექტი განხორციელდა

ვინც ეს შეძლო, მას არც სხვა პრობლემების მოგვარება გაუჭირდება

ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის სახმელეთო ტერმინალის გახსნის ცერემონიალი ნამდვილ ზეიმად იქცა. ცერემონიალზე მიწვეული იყვნენ საქართველოს საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მათ შორის იყო თბილისის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ფრიდონ თოდუა, რომელსაც ვთხოვეთ გაეზიარებინა შთაბეჭდილება ნანახის შესახებ.

ბატონი ფრიდონი დიდი ხანი არ არის დაბრუნდა საქართველოში და მოკლე დროში შეძლო შეექმნა სამედიცინო დაწესებულება, რომელმაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. თბილისის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მჭიდრო კონტაქტები აქვს მსოფლიოს წამყვან კლინიკებთან.

იხ. მე-4 გვ.

„მთელმა ევროპამ აღიარა საქართველო თავისი ღირებულებებით, თავისი დიდი წარსულით, დღევანდელი აწმყოთი და ხვალინდელი დიდი მომავლით“

საქართველოს პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძის** სიტყვა თბილისის აეროპორტში 1999 წლის 28 აპრილს

(პირველი გვერდიდან)

აქ არიან ჩემი მეგობრები, რომლებიც ესწრებოდნენ ევროპის საბჭოში ჩვენს შეხვედრას და დამიდასტურებენ, ან სხვა დროს იტყვიან, რომ საქართველოს უსმენენ, უსმენენ როგორც სერიოზულ ქვეყანას, როგორც მაღალი ინტელექტის მქონე ხალხს და მის წარმომადგენლებს – როგორც დემოკრატიისა და ახალი სამყაროს დამცველ ადამიანებს.

მინდა დღეს აქედან, თბილისიდან მადლობა შევუთვალო ყველას, ვინც ხმა მისცა საქართველოს – საქართველოს არჩევა თითქმის ერთსულოვნად მოხდა. არა მგონია, რომ იქ ვინმე წინააღმდეგი ყოფილიყო, არც ერთი არ ყოფილა წინააღმდეგი. ესე იგი, მთელმა ევროპამ აღიარა საქართველო თავისი ღირებულებებით, თავისი დიდი წარსულით, დღევანდელი აწმყოთი და ხვალინდელი დიდი მომავლით. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს გვექნება საშუალება არაერთხელ გამოვთქვათ ჩვენი სხვადასხვა მოსაზრებანი არა მარტო საკუთარი ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით, არამედ ევროპის წესრიგის, მსოფლიო წესრიგის სხვადასხვა პრობლემების შესახებ. საქართველომ დაიკავა თავისი ღირსეული ადგილი ევროსაბჭოსა და მსოფლიოს თანამეგობრობაში.

ახლა ორიოდე სიტყვა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტთან დაკავშირებით. ეს იყო დაძაბული, დატვირთული სამუშაო დღეები. დაიწყო იგი ჰიუსტონიდან – ამერიკის შეერთებული შტატების ამ უდიდესი სამრეწველო ცენტრიდან. მე მხოლოდ ძირითად შთაბეჭდილებებს მოგახსენებთ. ჩვენ საჭირო გავხდით, განსაკუთრებით სუფსის ნავთობსადენის ამუშავების შემდეგ. კონკურსი იყო ჩვენთან შეხვედრაზე, ლაპარაკია მსოფლიო გიგანტებზე. თქვენ იცით, ჰიუსტონი ეს არის მენავთობეების, გაზის მფლობელთა გიგანტების ცენტრი. და ეს უდარესად მნიშვნელოვანი შეხვედრები იყო საქართველოსათვის. ბევრ მათგანს სჯერა, რომ საქართველო არა მარტო ენერგომშემცველების ტრანსპორტირების თვალსაზრისით არის უმნიშვნელოვანესი ქვეყანა, არამედ სულ მალე გადაიქცევა დიდი ნავთობის საბადოდ, აქედან გამომდინარე მთელი სიკეთითა და სიმდიდრით, თუ გნებავთ, კეთილდღეობითაც.

სხვათა შორის (ეს ცოტა ლირიკული გადახვევაა), შევხვდი ჩემს ძველ მეგობრებს, ასე ვიტყოდი, ჩემს თანამოაზრეებს. ეს გახლავთ პრეზიდენტი ბუში [illegible], მეუღლე, საოცრად საინტერესო საუბრები [illegible]თა. ეს გახლავთ ჩემი დიდი მეგობარი და ძმა [illegible] ბეიკერი, რომელთან ერთადაც მოვაწყვეთ „პა[illegible]“ შოუ“ 1500 კაცის წინაშე. ალბათ, საქართველოს ტელევიზია აჩვენებს მას ჩვენს ხალხს – რო[illegible] დავამთავრეთ ცივი ომი, როგორ დავიწყეთ ახალი [illegible]ხოვრება, როგორ გავხსენით ყველა სარქველი იმისთვის, რომ დღევანდელმა მსოფლიომ იცხოვროს სწორედ აყვავების, ბედნიერების და სრული დემოკრატიის განვითარების პირობებში.

ვაშინგტონში მე გამოვყოფდი განსაკუთრებულ შეხვედრებს. ეს არის ნატოს ახალი კონცეფციის შემუშავება. ეს არ არის აგრესიული ორგანიზაცია – ეს არის რეალური ძალა, რომელმაც მსოფლიოში მშვიდობა უნდა დაამკვიდროს იქ, სადაც საჭიროა, იქ, სადაც აუცილებელია. ეს სრულიად ახალი მისიაა და ყველაზე რეალური ძალა გახლავთ დღევანდელ მსოფლიოში. მინდა სრული პასუხისმგებლობით გითხრათ: ძალზე გვაინტერესებს ჩვენს დიდ მეზობელთან – რუსეთთან ურთიერთობა და უგუნური უნდა იყოს პოლიტიკოსი, რომ ამ პრობლემას გაექცეს. თუმცა, ამავე დროს შემიძლია განვაცხადო, რომ ასეთი, თუნდაც სამხედრო გაერთიანება, სამხედრო პოტენციალის გაერთიანება, რომელმაც თავი მოიყარა ნატოში, არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს, პირიქით, შეესაბამება მათ. საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ ყველა ქვეყანამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს, ისტორიის მიერ მისთვის განკუთვნილი ადგილი – საქართველომაც, უკრაინამაც, უზბეკეთმაც, აზერბაიჯანმაც, სომხეთმაც და, რა თქმა უნდა, რუსეთმაც. თუ ცოტა მეტს მოითხოვ, და მოითხოვ იმას, რაც არ გერგება, რაც არ გეკუთვნის, მაშინ, ალბათ, საქმე კარგად ვერ წავა.

რუსეთმა დღეს, ამ ურთულეს სიტუაციაში, რომლის პირისპირაც ევროპა აღმოჩნდა კოსოვოს მოვლენებთან დაკავშირებით, თავისი ადგილი უნდა მოძებნოს. მართლაც ჩამწყდა გულს ერთი ძარღვი, როცა გავიგე, რომ რუსეთი გამოთიშულია ამ პროცესიდან. მთელი მსოფლიო ამ პრობლემით ცხოვრობს და რუსეთი კი ცალკე დგას. არ მინდა, რომ რუსეთი ცალკე იდგეს. რუსეთი უნდა ჩაერთოს პროცესში და რუსეთმა ხელი უნდა შეუწყოს ამ პრობლემის, ისე როგორც სხვა პრობლემების მოგვარებასა და გადაწყვეტას.

ვაშინგტონში იყო რამდენიმე საინტერესო მოვლენა. ეს არის სუამის ახალი სუნთქვა. ოთხი სახელმწიფო ვიყავით ერთად. ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხის თაობაზე გამოიკვეთა ოთხი სახელმწიფოს ინტერესების დამთხვევა. ეს გახლავთ აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. როცა იქ ჩვენი ინტერესები დავიცავით, მერე გადავწყვიტეთ ვითანამშრომლოთ სხვა სფეროებშიც. ჩვენმა შესანიშნავმა მეგობარმა და ძლიერმა პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმაც მიიღო გადაწყვეტილება შემოუერთდეს ამ დაჯგუფებას. ჩვენ შევხვდით უზბეკეთის საელჩოში და გავაფორმეთ ახალი დეკლარაცია იმ პრინციპების შესახებ, რომლებზეც უნდა აიგოს ჩვენი თანამშრომლობა. ეს სულაც არ ნიშნავს ვიღაცის გარიყვას, ხვალ შეიძლება შემოგვიერთდეს სომხეთი, ზეგ – სხვა ქვეყნები, შავი ზღვისპირა ან ცენტრალური აზიის ქვეყნები. ასეთი განაცხადები კულუარებში უკვე ისმოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორგანიზაციას, ისევე როგორც შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობას, დიდი მომავალი აქვს.

მოხდა კიდევ ძალიან საინტერესო რამ: ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში შევიკრიბეთ 11 ქვეყნის პრეზიდენტები. ეს იყვნენ იმ ქვეყნების ხელმძღვანელები, რომლებიც საკვანძო ქვეყნები არიან დიდი აბრეშუმის გზის განვითარების თვალსაზრისით. გახსოვთ, როგორ დავიწყეთ ჩვენი საუბარი დიდი აბრეშუმის გზის შესახებ? ფანტასტიკურ და განყენებულ ფრაზებად მიაჩნდათ მაშინ ყველაფერი ეს. დღეს დიდი აბრეშუმის გზა, ეს იდეა, ეს პროექტი უკვე მსოფლიოს კუთვნილებაა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი სპეციალურ კანონპროექტს იღებს. უკვე მოგახსენეთ, რომ იაპონიაცაა ჩართული, რომელმაც სპეციალური სამთავრობო პროგრამა შეიმუშავა ამ იდეის განხორციელებისათვის. დიდი ჩინეთია ჩართული და დაინტერესებული, ჩართული არიან ცენტრალური აზიის ქვეყნები, კავკასიის, ბალკანეთის, ევროპის სახელმწიფოები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ჩვენ უნდა ვიამაყოთ, რომ ერთ-ერთი ავტორი ამ იდეისა – აბრეშუმის გზის აღორძინებისა (ვიღაცამ შემახსენა, თავის დროზე ფარნავაზი იყოო, მაგრამ ფარნავაზის შემდეგ დიდი დრო გავიდა) ჩვენ თქვენთან ერთად ვართ, დღევანდელი საქართველოა და ეს უნდა გვეამაყებოდეს. ამ პროექტს უზარმაზარი მომავალი აქვს და დიდ სიკეთეს მოუტანს არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა ქვეყანას, რომელიც დაინტერესებულია მისი რეალიზაციითა და განვითარებით.

ძალიან საინტერესო შეხვედრები მქონდა მსოფლიოს საფინანსო ცენტრებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მის გენერალურ დირექტორთან ბატონ კამდესიუსთან, ჩვენს მეგობართან, რომელიც ყოველთვის კეთილად გვხვდება, ღიმილით, მაგრამ ყოველთვის ამ ღიმილის შესაბამის გადაწყვეტილებას როდი იღებს. ამჯერად, დარწმუნებული ვარ, რომ იგი მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოს ინტერესებს, ესე იგი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინტერესებს შეესაბამება. ვფიქრობ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი აანთებს იმ მწვანე შუქს, რომელიც მოგვცემს საშუალებას მივიღოთ მატერიალური და ფინანსური დახმარება იმ სახელმწიფოებისაგან, იმ ცენტრებისაგან, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ.

უნიკალური შეხვედრა მქონდა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან ბატონ ვოლფენსონთან. იგი ჩვენი დიდი მეგობარია. სხვათა შორის, ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების 26-საუკუნოვანი იუბილეს დღეებში უნდა ჩამოსულიყო და ვერ ჩამოვიდა, შემპირდა, რომ ახლა გამოასწორებს ამ „შეცდომას“ და მაისის დამლევს ან ივნისის დამდეგს საქართველოს ესტუმრება. ეს არის ასეულობით მილიონი დოლარი ინვესტიციები თითქმის ყველა სფეროში – განათლებით დაწყებული და ენერგეტიკით დამთავრებული.

იყო სხვა შეხვედრები. იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბილ კლინტონთან. უნდა გითხრათ, რომ ეს იყო მართლაც გამორჩეულის ხვედრი იმიტომ, რომ 50 ქვეყანა იყო ჩასული, ყველას ჰქონდა პრეტენზია, და მხოლოდ ერთი თუ ორი პრეზიდენტი შეხვდა პრეზიდენტ კლინტონს. მან კვლავ დაადასტურა თავისი ერთგულება საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობის, ურთიერთობისა და პარტნიორობის პრინციპებისადმი. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების მზადყოფნა კვლავაც დაეხმაროს საქართველოს კიდევ უფრო მეტად და კიდევ უფრო გამოკვეთილად იმ დარგების, იმ სფეროების განვითარებაში, რომლებიც ჩვენთვის აუცილებელია. აუცილებელი კი ბევრი რამ არის. ისინი უკვე მონაწილეობენ საზღვრის დაცვის ორგანიზაციის საქმეში, ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით მცირე ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხთა მოგვარებაში, გადაწყვეტაში, მხარდაჭერაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

და კიდევ ერთი რამ: ეს არის კოსოვოს ამბებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია (არ ვიცი, გქონდათ თუ არა საშუალება მოგესმინათ ჩემი გამოსვლები ამერიკის შეერთებულ შტატებში და განსაკუთრებით ევროპის საბჭოში). მე ასე მგონია, რომ საქართველომ ყველაზე გამოკვეთილად, ყველაზე ნათლად თქვა ის, რაც უნდა ითქვა დღევანდელ მსოფლიოში.

ორი სიტყვით მოგახსენებთ. მე განვაცხადე: ცივი ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც გადაელახეთ უზარმაზარი წინააღმდეგობანი და დაპირისპირება – იდეოლოგიური თუ კლასობრივი და ასე შემდეგ – და მსოფლიო ასე თუ ისე ერთიან მსოფლმხედველობრივ სივრცეში მოექცა, როგორ შეიძლება დღეს კაცობრიობა გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას შეურიგდეს, სადაც უნდა ხდებოდეს, ეს იქნება კოსოვო, ალბანეთი, აფხაზეთი თუ სხვა რომელიმე სახელმწიფო და ქვეყანა. მე ვთქვი, რომ თუ ამას შევურიგდებით, მაშინ რატომღა დავსაჯეთ ფაშიზმი და მისი ორგანიზატორები და ბელადები? მაშინ რატომღა ვგმობთ იმას, რასაც აკეთებდა ბოლშევიზმის რეჟიმი, როცა მილიონობით ადამიანი გადაასახლეს ერთ ღამეში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რომელიღაც ეროვნებას არ ეკუთვნოდნენ, სხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ და ეს გაკვეთილები უნდა გვახსოვდეს. მე ვთქვი ისიც, რომ დიპლომატია, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, რომლის ზურგს უკან არა დგას რეალური ძალა, ეს დიპლომატია შეიძლება მხოლოდ ფრაზებად და მოწოდებებად იქცეს. ჩემი მეგობრები დამიდასტურებენ, რომ საქართველოს ამ პოზიციას ევროსაბჭოშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც სხვადასხვა ქვეყნის მრავალი და მრავალი წარმომადგენელი მიესალმა, მხარი დაუჭირა და აღიარა, როგორც ყველაზე ნათლად გამოკვეთილი პოზიცია.

მინდა ვისურვო, რომ ყველაფერი, რაც კეთდება ამ წლების განმავლობაში საქართველოს ჩართვისათვის მსოფლიოს სივრცეში, ევროპის დიდ სივრცეში, ევროპულ ცივილიზაციაში, ყველაფერი ეს და გვეირგვინდეს იმით, რომ ჩვენ შევძლებთ ავაშენოთ მართლაც დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყანა, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ყოველივე ამან სიკეთე მოუტანოს საქართველოს თითოეულ ოჯახს, თითოეულ მოქალაქეს, ქართველი იქნება ის თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი. სხვათა შორის, ერთ-ერთი ვალდებულება, რომელიც ვიკისრეთ, ეს არის განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული უმცირესობებისადმი და მე ვამაყობ იმით, რომ ჩვენი ისტორია ამის საუკეთესო მაგალითია.

მინდა ვუსურვო ყველა ქართველს, საქართველოს ყველა მოქალაქეს კარგად, მარჯვედ ისარგებლონ ამ დიდი შესაძლებლობით, ამ დიდი სივრცით, დიდი ასპარეზით და დამკვიდრდეს ევროპულ ოჯახში უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობით, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში იქმნებოდა.

მე ვთქვი, რომ ჩვენ ხელცარიელი არ მოვსულვართ, ჩვენ მოვედით უზარმაზარი ნიჭიერებით, უზარმაზარი გამოცდილებით, უზარმაზარი ინტელექტით და დიდი კულტურით.

გაუმარჯოს ჩვენს შესვლას ამ ოჯახში! ბედნიერება ვუსურვოთ საქართველოს!

ინტეგრაცია

ედუარდ შევარდნაძე:

„მსოფლიო ორად ვერ იქნება გაყოფილი“

(პირველი გვერდიდან)

ხელისუფლება მუდამ მზადაა პრესასთან გულახდილი დიალოგისათვის. არა მგონია, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომ საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლის შემდეგ კიდევ ერთი განცხადების გაკეთება იყოს საჭირო, ვინაიდან დღეს ამის შესახებ ბევრად მეტი ვილაპარაკე, ვიდრე ნავარაუდევი მქონდა. მაგრამ თუ კიდევ დარჩა კითხვები, მზად ვარ ვუპასუხო მათ.

ჟურნალისტების გულწრფელი ინტერესი გამოიწვია ედუარდ შევარდნაძის პოზიციამ ბალკანეთის კრიზისის დაძლევის თაობაზე, მისმა შეფასებამ, რომელიც მან ორი დღის წინათ ჩამოაყალიბა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ვაშინგტონის სამიტზე. კერძოდ, რია-ნოვოსტის სააგენტოს კითხვაზე, თუ როგორ აფასებს საქართველოს მეთაური იმ ფაქტს, რომ ამ ალიანსის სხდომას არ ესწრებოდნენ თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ხელმძღვანელები, საქართველოს მეთაურმა მეტად ლაკონური პასუხი გასცა. ვისაც არ ჰქონდა სურვილი დასწრებოდა ვაშინგტონის სამიტს, არც დაესწრო, თქვა მან, ხოლო, ვისაც უნდოდა, იქ იყო, თუმცა, თანამეგობრობის ყველა სახელმწიფო პირველი პირებით როდი იყო წარმოდგენილი. მაგრამ ამას, ედუარდ შევარდნაძის შეფასებით, არავითარი დისბალანსი არ შეუქმნია. ედუარდ შევარდნაძემ გულწრფელი წუხილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ სამიტს არ ესწრებოდნენ რუსეთის დელეგაცია, მისი პრეზიდენტი, და ბელარუსი. განსაკუთრებით სამწუხაროა, აღნიშნა მან, რომ არ იყო რუსეთის წარმომადგენელი. ის, რომ ამ ქვეყანას თავისი განსაკუთრებული აზრი აქვს კოსოვოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ცნობილია. თქვა საქართველოს ხელმძღვანელმა, მაგრამ ამერიკის დედაქალაქში სამიტი კარგი საბაბი იყო საიმისოდ, რომ ეს თვალსაზრისი შეეჯერებინათ სხვა თვალსაზრისებთან, და, იქნებ, გამოემუშავებინათ რაღაც კომპრომისული შეფასება. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში მოქმედება ყოველი ქვეყნის სუვერენული უფლებაა, თქვა პრეზიდენტმა.

ამასთან, ედუარდ შევარდნაძე არ თვლის, რომ ვაშინგტონის სამიტზე რუსეთისა და ბელარუსის დელეგაციების არყოფნა, მაშინ, როცა მასში მონაწილეობდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ათი წევრი ქვეყანა, ნიშნავს თანამეგობრობის დასასრულის დასაწყისს. არ შეიძლება მოვლენათა ასეთი დრამატიზება, თქვა საქართველოს ხელმძღვანელმა, როცა პასუხი გასცა რადიო „ეხო მოსკვის“ კორესპონდენტის კითხვას. იყო შემთხვევები, აღნიშნა მან, როცა ზოგიერთი ხელმძღვანელი არ დასწრებია თვით თანამეგობრობის სამიტებსაც. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, უნდა შევეგუოთ აზრს, რომ ყოველმა ქვეყანამ, თავისი ინტერესების გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს თავისი როლი და ფუნქციები.

მსოფლიო ორად ვერ გაიყოფა, თქვა ედუარდ შევარდნაძემ. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ყველა პროგრესული ძალის გაერთიანებას და არა მათ გათიშვას, ხაზი გაუსვა მან. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონფლიქტების დროული მოწესრიგება. როგორ წარმოუდგენია საქართველოს პრეზიდენტს ევროპის საბჭოს როლი ამ საქმეში? პასუხი გასცა რა დანიის ტელევიზიის ამ შეკითხვას, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ევროპაში შეიქმნას სტრუქტურები, რომლებიც გამორიცხავს კონფლიქტებს, აგრესიული სეპარატიზმის რეჟიმების მიერ ადამიანთა ჩაგვრას, საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნას. როგორც მან თქვა, ევროპის უშიშროების სტრუქტურებმა დაიმკვიდრეს ეს უფლება და არ შეიძლება ისინი ჩამოვაშოროთ ნატოს. საქართველოს ხელმძღვანელმა ეს დაახასიათა როგორც ახალი ეტაპი, როცა ევროპის საბჭოს შეუძლია მეტად სერიოზული გავლენა მოახდინოს მთლიანად ევროპის უშიშროების სისტემების შექმნასა და კოორდინაციაზე.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს პრეზიდენტმა წინასწარ გააფრთხილა ჟურნალისტები, არ დაესვათ მისთვის ბელგრადში კოსოვოს პრობლემებში რუსეთის ფედერაციის სპეციალური წარმომადგენლის ვიქტორ ჩერნომირდინის მისიასთან დაკავშირებული კითხვები, ისინი მაინც გაისმა პრესკონფერენციაზე. არა მგონია, თქვა მან, რომ ჩერნომირდინი იქ ხელცარიელი ჩასულიყო. რატომღაც იმედი მაქვს, რომ მას ექნება გარკვეული წინადადებანი, ყოველ შემთხვევაში ეცდება კომპრომისის გამონახვას. ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა თბილისში ვიქტორ ჩერნომირდინის ამასწინანდელი სამუშაო ვიზიტისა და მასთან საუბრის შემდეგ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ. მეტის თქმა, სამწუხაროდ, არ შემიძლია, აღნიშნა მან.

ბულგარეთის რადიოს კორესპონდენტი დაინტერესდა იმით, თუ რა აზრი აქვს საქართველოს პრეზიდენტს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკურ საკითხებზე, კერძოდ იმით, თუ რამდენად იძენს იგი პოლიტიკურ ხასიათს. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ბისეკის ფარგლებში თანამშრომლობა გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკურ თანამშრომლობას, რასაც თავად ამ ორგანიზაციის სახელწოდებაც მოწმობს. თუმცა, ბოლო ხანს გარკვეულწილად ელინდება ინტერესი პოლიტიკური პრობლემებისადმიც, მაგრამ ისინი ჯერჯერობით არ არის პირველ ადგილზე. საქართველოს ხელმძღვანელის აზრით, ეკონომიკური თანამშრომლობის დონემ, ალბათ, უნდა მიაღწიოს შესაბამის სტანდარტებს, რის შემდეგაც დღის წესრიგში დადგება უშიშროების, მათ შორის, ევროპის, შავი ზღვის რეგიონის უშიშროების პრობლემები. ასეთი მოსაზრებანი უკვე აქვს პორტფელში ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, და ვფიქრობ, თქვა მან, რომ აქ ბისეკს დიდი პოტენციალი აქვს საამისოდ.

რაც შეეხება საქართველოსა და ბულგარეთის ურთიერთობას, მას, როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, კარგი საძირკველი აქვს ჩაყრილი. ორჯერ ვიყავი ვიზიტად ბულგარეთში, ბატონი სტოიანოვიც ჩამოვიდა ოფიციალურ ვიზიტად საქართველოში, შეიქმნა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა განხორციელებაც უკვე დაიწყო, თქვა მან. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, ორი ქვეყნის ყველაზე პერსპექტიული თანამშრომლობა დიდი აბრეშუმის გზის აღორძინებისა და განვითარების პროექტის რეალიზაციას ეხება. ეს ის პროექტია, აღნიშნა მან, რომელმაც ძალზე ბევრი შეიძლება მისცეს ბულგარეთს, ისევე როგორც ბალკანეთის, დუნაის რეგიონების, კავკასიის, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს.

ჟურნალისტებს არ გამორჩენიათ არც სუამის ორგანიზაციასთან დაკავშირებული კითხვები, კერძოდ, პოსტკომუნისტურ სივრცეში კონფლიქტების მოწესრიგებაში მის მონაწილეობას რომ ეხებოდა. პრეზიდენტმა ილაპარაკა იმაზეც, თუ როგორ შეიქმნა ეს ორგანიზაცია. მან აღნიშნა, რომ ერთ ჯგუფად ოთხი ქვეყნის – საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდოვის გაერთიანება მოხდა ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ მოლაპარაკების პროცესის დროს, როცა გაირკვა, რომ მათი ინტერესები და თვალსაზრისები სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. შემდგომში, სრულიად ბუნებრივად, თქვა ედუარდ შევარდნაძემ დღის წესრიგში დადგა ჩვენი სახელმწიფოების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საკითხი, და აქ, აღნიშნა მან, მისასალმებელია სუამის ჯგუფთან ისეთი დიდი ქვეყნის შეერთება, როგორიცაა უზბეკეთი. პრეზიდენტმა უარყო ის აზრი, რომ პირველ პლანზე დადგება სამხედრო საკითხები. რაც შეეხება კონფლიქტების მოწესრიგებაში მონაწილეობას, ედუარდ შევარდნაძე თვლის, რომ ყველა ქვეყანა, ყველა სახელმწიფო გაერთიანება ყოველმხრივ უნდა უწყობდეს ხელს ამას, მათ შორის სუამიც, რომელიც უშუალოდ არის დაინტერესებული ამ პრობლემებით, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვის ინტერესების გათვალისწინებით. როგორც საქართველოს მეთაურმა თქვა, ყველა ქვეყანა დაინტერესებულია რაც შეიძლება სწრაფად მოწესრიგდეს კონფლიქტები. ამასთან, თქვა მან, არა მარტო ამ სამ ქვეყანას, არამედ სხვა სახელმწიფოებსაც, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩაბმულნი კონფლიქტში, მაგალითად, უკრაინა ან უზბეკეთი, დიდი პოტენციალი აქვთ საიმისოდ, რომ ხელი შეუწყონ კავკასიასა და დნესტრისპირეთში კონფლიქტების მოწესრიგებას. შეეხო რა სხვა სფეროებს, ედუარდ შევარდნაძემ განსაკუთრებით გამოჰყო ეკონომიკური თანამშრომლობა. უზბეკეთი, მაგალითად, ბუნებრივია, აინტერესებს შავ ზღვაზე გასვლა, მისი პროდუქციის, მათ შორის, ენერგომშემცველების, ბამბის დასავლეთის ბაზრებზე ექსპორტის ალტერნატიული ვარიანტები, რაც, სხვათა შორის, უკვე ხორციელდება. ამიტომაც გასაგებია, თქვა საქართველოს ხელმძღვანელმა, რომ ამ ქვეყნის ინტერესებშია რაც შეიძლება მჭიდრო თანამშრომლობა აზერბაიჯანთან, საქართველოსთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან. მან არ გამორიცხა, რომ შემდგომში შეიძლება შეუერთდნენ სხვა ქვეყნებიც, კერძოდ, ბალკანეთის რეგიონის ქვეყნები.

შეფასება მისცა რა იუგოსლავიაში ნატოს მოქმედებას, ედუარდ შევარდნაძემ პასუხი გასცა საფრანგეთის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს კითხვას და თქვა, რომ როგორც ადამიანი, იგი ძალის გამოყენების წინააღმდეგია. მაგრამ, აღნიშნა მან, აქ არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის, რაც ამ მოვლენებს წინ უძღოდა. როგორც მან თქვა, კაცობრიობისათვის ყველაზე მიუღებელი მოვლენებია – ეთნიკური წმენდა, გენოციდი, ადამიანთა მშობლიური ადგილებიდან განდევნა და მათ მიმართ რეპრესიების განხორციელება. ამასთან საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ იგი სამშვიდობო მოლაპარაკების მომხრეა, რასაც მისივე ქვეყნის მაგალითი მოწმობს. აგერ უკვე ექვსი წელია გრძელდება მოლაპარაკება აფხაზ სეპარატისტებთან იმის თაობაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ ერთად. ასეთივე მოლაპარაკება წარმოებს ოსეთის მხარესთან ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე. და თუ მეორე შემთხვევაში არის წარმატებები, პირველში – რაიმე სერიოზულ პროგრესზე ლაპარაკი ჯერ მეტად ძნელია, აღიარა ედუარდ შევარდნაძემ. ყველა ქვეყანამ უნდა იცოდეს, ხაზი გაუსვა მან, რომ ეთნიკური წმენდა, როგორიც უნდა იყოს ქვეყანა ან პოლიტიკური მოღვაწე, დაუსჯელი არ დარჩება. და ეს როლი უნდა შეასრულოს, უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც პასუხს აგებენ პლანეტაზე უშიშროებისათვის, კერძოდ კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სათანადო სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა და, ვფიქრობ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, სწორედ ამ სიტუაციამ მიიყვანა ჩვენი პლანეტა, კერძოდ, ევროპა ისეთ მდგომარეობამდე, რომ საჭირო გახდა ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

დანაშაული უნდა დაისაჯოს, ხაზი გაუსვა საქართველოს ხელმძღვანელმა. მისი აზრით, ეს უნდა გახდეს სპეციალური მსჯელობის საგანი. რატომ არ უნდა იმოქმედოს, მაგალითად, ტრიბუნალმა იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის პოლიტიკური მოღვაწე, ამა თუ იმ რეჟიმის ხელმძღვანელი სჯის, რეპრესიებს მიმართავს ერის წარმომადგენელ ადამიანთა მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ადამიანთა მოქმედება არ შეესაბამება მის ინტერესებს. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, თუ ჩვენ არ შევაჩერებთ აგრესიული სეპარატიზმის გავრცელებას, არ დავგმობთ მის შედეგებს და ამისათვის არ დავსჯით, მხედველობაში გვაქვს ადამიანთა განდევნა, რეპრესიები იმათ წინააღმდეგ, ეთნიკური წმენდა, გენოციდი, გარწმუნებთ, ხაზი გაუსვა საქართველოს პრეზიდენტმა, რომ მსოფლიო დიდი და სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება. როგორც მან თქვა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ახალი მსოფლიო ომის საფრთხე შეიძლება შეექმნას.

ვიზიტი

რეგიონის ქვეყნების საერთო ინტერესების შესაბამისად

(პირველი გვერდიდან)

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტრადიციულად საუკეთესო მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობა აქვს ორივე მეზობელთან, საქართველოს პრეზიდენტმა შესთავაზა შეხვედრის მონაწილეებს, შემდეგი შეხვედრა თბილისში იმავე შემადგენლობით გამართულიყო. „ჩვენ გვაერთიანებს „ტრასეკა“, ნავთობსადენებისა და სხვა სატრანსპორტო პროექტები. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ ამით ყველა ჩვენგანმა მაქსიმალურად ისარგებლოს“, – განაცხადა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა და აღნიშნა, რომ ბაქოს სამიტმა თვალნათლივ დაამტკიცა ამ პროექტების არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა: „ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეკონომიკურად ხელსაყრელი პირობები ძალზე სასარგებლო ფონს ქმნის ურთიერთდაინტერესებისა და პოზიციათა დაახლოებისათვის და ამზადებს წინა პირობებს პოლიტიკური დაახლოებისთვისაც“.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საქართველოს მეგობარ ქვეყნებს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ქმედითი დახმარებისათვის. მან განსაკუთრებით აღნიშნა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეგიონების რეაბილიტაციის მნიშვნელობა და დასძინა, რომ ამ მხრივ ძალზე საინტერესო ინიციატივები აქვს შეერთებული შტატების მთავრობას.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა დაადასტურა, რომ აზერბაიჯანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების მომხრეა და უკვე რვა წელია, ამ მიზნით იცავს ზავის რეჟიმს. პრეზიდენტმა ალიევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტები აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს და რაც შეიძლება სწრაფად. „საქართველოსა და აზერბაიჯანს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ. ასეთივე ურთიერთობა გვქონდა სომხეთთანაც და მზად ვართ აღვადგინოთ იგი“, – განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა და გამოთქვა სურვილი, რომ ამერიკამ მეტი ყურადღება დაუთმოს სამხრეთ კავკასიას.

„სამხრეთ კავკასია ყოველთვის იყო ამა თუ იმ იმპერიის შემადგენელი ნაწილი და მათი ნგრევის შემდეგ სხვა იმპერიებს შორის მისი გადანაწილება ხდებოდა. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მოგვეცა იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი რეალობად გვექცია. ამ შესაძლებლობის გამოყენება ჩვენს პრაგმატულობაზეა დამოკიდებული“, – განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა. მან მხარი დაუჭირა ამგვარი შეხვედრების გაგრძელებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ძალუძს რეალური როლი შეასრულოს ამ დიალოგის წარმატებით წარმართვაში. როგორც მან განაცხადა, დიდი საერთაშორისო პროექტების, მათ შორის, ნავთობსადენების პროპაგანდა ისე უნდა წარიმართოს, რომ არ გამოიწვიოს იმ ქვეყნების ანტაგონიზმი, რომლებიც მათში არ მონაწილეობენ. საერთოდ კი, პრეზიდენტმა ქოჩარიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ პროექტებში სომხეთიც უნდა ჩაერთოს. შეხვედრის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ უაღრესად კონსტრუქციული დიალოგის ფაქტს და მიესალმნენ რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის წინსვლის ტენდენციას.

ვაშინგტონში ყოფნის ბოლო დღეს საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა ნატოს გენერალურ მდივანს ხავიერ სოლანას. საუბრის მთავარი თემა იყო ის, რომ თანამედროვე მსოფლიოში აუცილებლად უნდა აღიკვეთოს აგრესიული სეპარატიზმის ყოველგვარი გამოვლინება. ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ ბოლო ორი-სამი დღის მოვლენებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო პოლიტიკის თვალსაზრისით. მისი აზრით, კარგი სიგნალი იყო საქართველოს პრეზიდენტთან ვიქტორ ჩერნომირდინის შეხვედრა. „ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ კოსოვოს კრიზისის დასრულება წარმატებად იქცეს“, – აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

საქართველოს პრეზიდენტი დაეთანხმა მას და განაცხადა, რომ ამ კრიზისიდან მსოფლიო ისე უნდა გამოვიდეს, რომ აგრესიულმა სეპარატიზმმა, გენოციდმა და ეთნიკურმა წმენდამ მომაკვდინებელი დარტყმა მიიღოს. „ძალიან ცუდია, რომ მსოფლიო აქამდე შემწყნარებელი იყო ამგვარი მოვლენების მიმართ“, – აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ და ხაზი გაუსვა, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისათვის იძულების მექანიზმის რეალურად ამოქმედებას.

საუბრის დროს გამოიკვეთა აზრი, რომ რეალურად უნდა ამოქმედდეს საერთაშორისო ტრიბუნალის გამოყენების პრაქტიკაც.

ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ ყველაფერი, რაც ამ ბოლო დღეებში მოხდა, მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი უნდა იყოს მილოშევიჩისთვის. მეორე მხრივ, სერბებმა სწორად და ობიექტურად უნდა შეაფასონ ჩვენი პოზიცია.

შეხვედრაზე ისაუბრეს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე.

**საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური – საქინფორმი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპორტაჟი

თბილისის აეროპორტი: 1992 წლის 7 მარტი — 1999 წლის 28 აპრილი

(პირველი გვერდიდან)

ის, რაზეც ოცნებაც წარმოუდგენელი იყო არათუ მაშინ, არამედ სულ რაღაც ორიოდ წლის წინათ, დღეს რეალობად იქცა: საქართველო ევროპის საბჭოს წევრია, მისი 41-ე სრულუფლებიანი წევრი. მანამდე სულ რაღაც 10 დღის წინათ კი, მწყობრში ჩადგა კასპიის ნავთობის დასავლეთის მაგისტრალი — ბაქო-სუფსა და სუფსის სახმელეთო ტერმინალი.

თბილისის აეროპორტში 1992 წლის 7 მარტის შეხვედრისას ედუარდ შევარდნაძე შინაგანი დაძაბულობისა და მღელვარებისგან გაფითრებული იდგა დამხვედრთა წინაშე და ხალხს მომავალზე ელაპარაკებოდა, რომელიც მაშინ იმდენად შორეული და დაუჯერებელი ჩანდა, რომ მხოლოდ ამ კაცისადმი ოდინდელი რწმენისა გამო თუ შეიძლებოდა ყურად გეღო მისი სიტყვები.

1999 წლის 28 აპრილს თბილისის აეროპორტში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე კვლავ მღელვარებით, ოღონდ არა დაძაბულობის, არამედ გამარჯვებით მოგვრილი სიხარულისა გამო აღელვებული ლაპარაკობდა სტრასბურგში მიღწეულ დიდ წარმატებაზე.

და მის სიხარულს ითავისებდა უკლებლივ ყველა მონაწილე ამ დაუვიწყარი შეხვედრისა, რადგანაც ევროსაბჭოში გაწევრიანება დიდი საერთო ეროვნული გამარჯვებაა.

გაგაცნობთ თბილისის აეროპორტში გუშინდელი შეხვედრის რამდენიმე მონაწილის სახელდახელო აზრს (ნაწილს ხვალ შემოგთავაზებთ).

ალეკო თახელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი:

– ევროსაბჭოში გაერთიანება ძალზე დიდი მოვლენაა საქართველოს ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის აღიარება ქართველი ხალხის ინტელექტის, მისი მთელი მოღვაწეობისა, მთლიანად საქართველოს დღევანდელობისა. ევროსაბჭოში საქართველო ხელდამშვენებული შევიდა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „აბრეშუმის გზის“ აღდგენა, რომელიც დღეს მსოფლიოში აღიარებულია როგორც ერთ-ერთი დამაკავშირებელი საშუალება აზიისა ევროპასთან, სადაც საქართველოს ძირეული როლი მიენიჭება. ასე რომ, საქართველო ევროსაბჭოს წევრად შემთხვევით არ არის მიღებული. ეს არის ისტორიული მოვლენების კანონიერი დაგვირგვინება. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ „აბრეშუმის გზის“ აღდგენა ჩვენი პრეზიდენტის არა მარტო ინიციატივაა, არამედ მისი უდიდესი ძალისხმევის შედეგიც.

ომარ გოგიაშვილი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი:

– საერთოდ, ასეთი დიდი მოვლენის ასე ცხელ გულზე შეფასება ძნელი საქმეა. ჯერ ერთი, ამას სერიოზული გააზრება სჭირდება, მეორე, ეს ისეთი რიგის მოვლენაა, რომელსაც შედეგები ცოტა გვიან მოაქვს. დღეს არის აღფრთოვანება, საზეიმო განწყობილება, თუმცა, ამავე დროს, ზოგისთვის, ვისაც თავისი ყოფითი პრობლემები აწუხებს, ეს შეიძლება დღესასწაული არც იყოს, ფიქრობდეს, დღევანდელი დღე არცთუ ისე მნიშვნელოვანი თარიღიაო. ამ მოვლენის შედეგებს გარკვეულ პერიოდში მთელი ქვეყანა იგრძნობს, რაც მთავარია, გამოიკვეთა ჩვენი ხელისუფლების ორიენტაცია. თუ მანამდე შეიძლებოდა დავა იმაზე, საით უნდა წავიდეს საქართველო, დღეს უკვე გასაგებია, რომ წინ გვიძევს ევროპული ცივილიზაციის, ევროპული ღირებულებების, ევროპული დემოკრატიის გზა. და რაც მალე მივაღწევთ ამ ღირებულებების ცხოვრებაში დამკვიდრებას, მით უფრო სწრაფად გავივლით იმ მონაკვეთს, რომელიც ჩვენს პირობებში მყოფმა ქვეყანამ უნდა გაიაროს.

როინ მეტრეველი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:

– უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ დღეს საქართველოს ისტორიაში. საქართველო შევიდა დიდ ევროპულ ოჯახში — ევროსაბჭოს შემადგენლობაში. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენ აქამდე არ ვიყავით ევროპელები. ევროპელები ჩვენ ყოველთვის ვიყავით. ჩვენი ქვეყანა ევრაზიის ძირითად ღერძზე მდებარეობს, და ამდენად, აზიასთან უდიდესი სიყვარული და პატივისცემა გვაკავშირებს, მაგრამ ევროსაბჭოში შესვლა ნიშნავს, რომ სრულიად ახალ, პროგრესულ ღირებულებებთან გვექნება საქმე. ეს არის პროგრესისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი და ვფიქრობთ, ის შეღავათები, რაც საერთოდ არსებობს ევროსაბჭოსა და ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოებისათვის, გავრცელდება საქართველოზეც. ჩემთვის სასიხარულოა, რომ რამდენადმე ეს განათლების სისტემასაც შეეხება, კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს. ამდენად, ყოველივე ამას საქართველოსთვის, გარდა პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობისა, წმინდა პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს. ისე რომ, არ შეიძლება ძალზე მაღალი შეფასება არ მიეცეთ ამ დიდ მოვლენას, არ შეიძლება არ მიეულოცოთ იგი ჩვენს თანამემამულეებს.

ელგუჯა ამაშუკელი, მოქანდაკე:

– ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: საოცრად დიდი დღესასწაულის მოწმენი ვართ. აღსრულდა სანუკვარი ოცნება ჩვენი დიდი წინაპრებისა, მთელი ქართველი ხალხისა — საქართველო გახდა ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი. საქართველოსთვის დამთავრდა ერა, ასე ვთქვათ, ტერა ინკოგნიტოსი. ეს საქართველოს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი აღიარებაა. ღრმად ვარ დარწმუნებული: მომავალში ჩვენს სამშობლოს აღარ დაუწყებენ ძებნას რუკაზე, უკვე სრული წარმოდგენა ექნებათ იმ ქვეყანაზე, რომლის უძველესი კულტურა, უძველესი სულიერება ბევრი დიდი სახელმწიფოსთვის არის სამაგალითო. ყველას ვულოცავთ ამ შესანიშნავ დღეს. ღმერთმა ქნას, რომ ამის შემდეგ საქართველო დაადგეს აღორძინების გზას, მიაღწიოს ისეთ სიმაღლეებს, რომელსაც იგი იმსახურებს ისტორიულად, გენეტიკურად, ყოველმხრივ. აქვე არ შეიძლება განსაკუთრებული მადლობა არ ვუთხრათ ადამიანებს, რომელთა დამსახურებითაც მოხდა ეს აღიარება. ეს მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ეკუთვნის ჩვენს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და ქართველი ინტელიგენციის იმ შესანიშნავ წარმომადგენლებს, რომელთაც ძალისხმევა არ დაიშურეს და ყველა გზა მოძებნეს, რათა ამ ისტორიული ფაქტის მოწმენი გავმხდარიყავით.

თამაზ წივწივაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი:

– ვდგავართ, ველოდებით! ბატონ პრეზიდენტს ჩამოაქვს მშვენიერი ამბავი, დიდი ამბავი, საქართველოს გამარჯვების ამბავი, ქვეყნის გადარჩენის ამბავი. დანარჩენს თვითონ გვიამბობს...

ალეკო ასლანიშვილი.

სახელმწიფო მინისტრი

იმსჯელეს პრობლემურ საკითხებზე

საქართველოს რეგიონების მიერ მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის საბიუჯეტო შემოსავლის საპროგნოზო დავალებების შესრულებისა და აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ვითარების, ჩვენი ქვეყნის კულტურის კერების სავალალო მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს 28 აპრილს სახელმწიფო მინისტრთან ვაჟა ლორთქიფანიძესთან გამართულ თათბირზე პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა მხარეებში, ფინანსთა და კულტურის მინისტრებმა, საბაჟო და საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა, პარლამენტის წევრებმა.

მონაწილეები თათბირზე ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლის კვარტალური ანგარიშით წარსდგნენ და აღნიშნეს, რომ ამ მხრივ ქვეყანაში საკმაოდ რთული ვითარებაა. დაფიქსირდა რამდენიმე სერიოზული პრობლემა, რომლებიც აფერხებენ ცენტრალური ბიუჯეტის შესრულებას. საჭიროა ამ საკითხის კომპლექსური მოგვარება.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ადგილობრივი ბიუჯეტის გადანაწილების მნიშვნელობაზე, ასევე ტრანსფერებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება სოციალური და საპენსიო გადასახადები. ფაქტობრივად, ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობას თითქმის წელიწადია არ მიუღია პენსია, არც მუშა-მოსამსახურეები არიან ხელფასით დროულად უზრუნველყოფილი.

როგორც თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, მნიშვნელოვანი საკითხია უაქციზო პროდუქციის — სიგარეტის, ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაცია. აქციზური მარკებისთვის განკუთვნილი 25 თეთრის გადახდას ბევრი თავს არიდებს და ისე ყიდის მათ. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ასეთი პროდუქცია საქართველოში არალეგალურად შემოდის მოსაზღვრე რესპუბლიკებიდან. ამისათვის საჭიროა შესაბამისი სტრუქტურების მეტი სიფხიზლე.

თათბირზე განიხილეს ქართული კულტურის კერების დაცვისა და გადარჩენის საკითხი. კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა გულისტკივილით ილაპარაკა იმ სავალალო მდგომარეობაზე, რომელშიც დღეს ჩვენი თეატრები იმყოფებიან. პარლამენტარმა გიგა ლორთქიფანიძემ დამსწრეთ მოუწოდა მხარში დაუდგნენ ქართულ კულტურას და შეძლებისდაგვარად მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ მას. ნიშანდობლივია, რომ არც თათბირის მონაწილეები უვლიან გვერდს ამ პრობლემას და არ იშურებენ ძალისხმევას, რათა მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობის მიუხედავად, თავიანთი წვლილი შეიტანონ კულტურის გადარჩენაში.

– მართალია, ვითარება რთულია, პრობლემა ბევრი გვაქვს, მაგრამ ისინი უნდა მოვაგვაროთ. ამისთვის სისტემატური შეხვედრებია საჭირო, უნდა განვიხილოთ ეს საკითხები და გეგმაზომიერადაც გადავწყვიტოთ. ცხოვრების მკაცრი პირობების გამო გვიჭირს უცხოური ინექციების გარეშე მუშაობა. სოციალური და საპენსიო გადასახადები ჩვენი უმწვავესი სატკივარია. გარდა ამისა, არ უნდა დავიშუროთ ძალისხმევა, რათა ჩვენს მომავალ თაობას შევუნარჩუნოთ კულტურული მემკვიდრეობა. ამ და კიდევ სხვა პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა შევიმუშავოთ მექანიზმი და დავხვეწოთ ჩვენი საქმიანობის სისტემა, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა თათბირის შეჯამებისას.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა — გეზი იტალიისკენ

28 აპრილს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე შეხვდა საქართველოში ვიზიტად მყოფი იტალიური ფირმა „პრიმაკ-ინდუსტრიალეს“ პრეზიდენტს მარიო კამპიონოტის.

შეხვედრას აგრეთვე დაესწრნენ მრეწველობის მინისტრი ბადრი შოშიტაიშვილი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილი და სააქციო საზოგადოება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ გენერალური დირექტორი ამირან ნაცვლიშვილი.

საუბარი სწორედ ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა და „პრიმაკ-ინდუსტრიალეს“ ორწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებს შეეხო. აღინიშნა, რომ იტალიური ფირმა ძირითად ბეტონშემრევებს, ელექტროგენერატორებს, შესადუღებელ აპარატურასა და ამწევებს ამზადებს. ამ სფეროში იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ლიდერად არის მიჩნეული. ფირმას ფილიალები აქვს გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1997 წლიდან „პრიმაკ-ინდუსტრიალე“ ქუთაისის ქარხნის პროდუქციის ყველაზე დიდი დამკვეთია. მაგალითად, წელს ქუთაისში ამ ფირმის დაკვეთით დამზადდება 2,3 მილიონი ამერიკული დოლარის პროდუქცია.

ბატონი მარიო კამპიონოტის ჩამოსვლის ძირითადი მიზანია, მაქსიმალურად დააზუსტოს ქართველი პარტნიორის შესაძლებლობანი, რათა გააფართოოს მასთან ურთიერთობა და მოახდინოს საქართველოში წარმოებული მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების ექსპორტი იტალიასა და სხვა ქვეყნებში.

ტარიფები ჯერჯერობით არ შეიცვლება

28 აპრილს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე შეხვდა მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს. სტუმრებმა ილაპარაკეს საქართველოს ენერგოსისტემაში არსებულ პრობლემებზე და მათი დროულად მოგვარების მიზნით მსოფლიო ბანკის პოზიციაზე.

ბატონმა ჯოზეფ ოუენმა აღნიშნა, რომ ქვეყნის რთული სოციალური და ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, რაც მათთვის ცნობილია, აუცილებელია ელექტროენერგიაზე სადღეისოდ არსებული ტარიფების გადასინჯვა და მათი გაზრდა — 8,5-9 თეთრამდე. ეს კი, მისი თქმით, დადებით შედეგებს გამოიღებს ენერგოსექტორის ფუნქციონირებაზე.

ბატონმა ვაჟა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ტარიფების გაზრდა, თავისთავად, ყველაფრის გაძვირებას გამოიწვევს, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა განხორციელდეს. თუმცა, აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა, სათანადო კომპენსაციების და სოციალური ფონის გაუმჯობესების გარეშე ეს ღონისძიება ჯერჯერობით მიუღებლად მიაჩნია.

საქინფორმი.

განცხადება

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო

აცხადებს კონკურსს

1800 მგჰც სიხშირის დიაპაზონში ფიჭური სატელეფონო ქსელის შექმნაზე ლიცენზიის მოსაპოვებლად

კონკურსის მიზანი:

კონკურსის მიზანია გამოავლინოს 1800 მგჰც სიხშირის დიაპაზონში ფიჭური სატელეფონო ქსელის შექმნაზე ქართული მხარის პარტნიორი, რომელიც დააფინანსებს პროექტს და გასწევს პროექტის ღირებულების ხარჯებს ქართული მხარის ნაწილზე.

ლიცენზია გაიცემა **GSM**-1800 მგჰც სიხშირის დიაპაზონში 65 არხზე — 10 წლით;

კონკურსში გამარჯვებულს უფლება აქვს საქმიანობა წარმართოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფიჭური სატელეფონო ქსელების აგების პრინციპების შესაბამისად.

ლიცენზიატს შეუძლია გასწიოს სატელეფონო, ინტერნეტის, პეიჯერული და სხვა სახის მომსახურებანი.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილე უნდა წარმოადგენდეს კომპანიას ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით;

კონკურსში გამარჯვებული კომპანია, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციასთან წილობრივი მონაწილეობით, ქმნის საწარმოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. ეს კომპანია რეგისტრაციისა და, შემდგომ, სამინისტროს მიერ შემუშავებული ლიცენზირების დებულების შესაბამისად, წარმოადგენს რეგისტრაციის მოწმობას, რომლის შემდეგაც კომპანიაზე გაიცემა ლიცენზია დადგენილი წესით.

გამარჯვებულად ჩაითვლება ის კომპანია, რომელიც ასრულებს კონკურსის პირობებს და ქართულ მხარეს შესთავაზებს მეტ წილს, მაგრამ არანაკლებ 25 პროცენტისა, ან სხვა უკეთეს პირობებს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა:

კონკურსში მონაწილემ, განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროში წარმოადგინოს:

განცხადება: წინადადებები, რომელშიც მითითებული იქნება კონკურსში მონაწილის ვალდებულებები საკონკურსო პირობების შესაბამისად; კომპანიის საქმიანობის ბიზნეს-გეგმა ან კონცეპტუალური პროექტი; ფინანსური მდგომარეობის დამამტკიცებელი დოკუმენტი; სალიცენზიო გადასახადის გადახდის მზადყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი; კონკურსის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად 1000 (ათასი) ლარის მითითებულ ანგარიშზე შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი; განმარტებითი ბარათი ფინანსური გარანტიების, ტექნიკური საშუალებების მოკლე დახასიათებითა და ბიზნეს-გეგმის ახსნით.

მითითებული მონაცემები ჩაწყობილი უნდა იყოს დახურულ კონვერტში, დადგენილი წესით.

კონკურსის ვადა:

კონკურსი ჩატარდება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

განცხადების მიღება შეწყდება კონკურსის გამართვამდე 10 დღით ადრე.

ცნობებისათვის დარეკეთ: 98-21-21, 99-88-31, 99-62-90.

განცხადებები მიიღება მისამართზე:
თბილისი, 9 აპრილის ქ. № 2.

ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებულის თაობაზე გამოქვეყნდება პრესაში.

გვეხმაურებიან

რუსთაველის მემორიალი უნდა დამთავრდეს!..

სულ მალე ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი თარიღი უნდა აღვნიშნოთ. ეს უბრალო თარიღი რომ არ არის, ცხადზე უცხადესია. სახელმწიფოებრიობისა კი არა, ზოგიერთ ერს საერთოდ წარმოშობის ასეთი ხანგრძლივი პერიოდიც არ გააჩნია. ამიტომ გასათვალისწინებელია ბევრი რამ, რამაც ისედაც ბრწყინვალე იუბილეს კიდევ უფრო მეტი სიდიადე უნდა შესძინოს.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა დიდი საუბარი, რომელიც რუსთაველის მემორიალის შესახებ ჩვენმა გაზეთმა ამა წლის 25 მარტს წამოიწყო პუბლიკაციით „რუსთაველის მემორიალი უნდა დამთავრდეს!“... ცხადია, ასეთ დიდ საუბარს გაგრძელებაც სჭირდებოდა... და აი, ჩვენი „დუმილი“ ისევ მკითხველებმა დაარღვიეს: ამ დღეებში რედაქციამ არაერთი წერილი მიიღო. მათი ავტორები — ისინი კი ფრიად კომპეტენტური პიროვნებები არიან — ერთსულოვნად გვიჭერენ მხარს და ამბობენ — მემორიალის მშენებლობა უნდა დამთავრდეს!

რედაქცია, მტკიცედ დგას რა თავის პოზიციაზე, ავტორებთან თანხმობის ნიშნად სიამოვნებით ბეჭდავს მათ წერილებს.



ნოდარ მგალობლიშვილი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი:

– 1968 წელს დაიწყო რუსთაველის მემორიალის მშენებლობა — აღიმართა ორმოცმეტრიანი რკინა-ბეტონის აფსიდალური ვერტიკალი. გავიდა 30 წელზე მეტი და... ეს ვერტიკალი ობლად დგას თბილისის ერთ-ერთ გამორჩეულ ბორცვზე და თავისი განმარტოებულობით ყველას აკვირვებს, თბილისელსაც და სტუმარსაც.

მემორიალის პროექტი შექმნეს არქიტექტორებმა ალექსანდრე ბაქრაძემ და ნოდარ ჯობაძემ. მე, პირადად, არ მეგულება საქართველოში სხვა პროექტი, რომელსაც დღიდან გამოჩენისა და შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, ამდენი ქება და უმაღლესი შეფასება მიეღო. არქიტექტორებმა, მწერლებმა და პოეტებმა, მხატვრებმა და მუსიკოსებმა, მეცნიერებმა, მთავრობამ და უბრალო ხალხმა, თბილისელებმა და ჩამოსულებმა, ჩვენებმა, უცხოელებმა უკლებლივ აღიარეს პროექტის ორიგინალურობა, დახვეწილი არქიტექტურულ-მხატვრული იერ-სახის მიმზიდველობა, ღრმა ფილოსოფიური და ესთეტიკური შინაარსი, ნათელი და მეტად აქტუალური ფუნქციები.

პროექტმა სამი ათეული წლის გამოცდას გაუძლო. ამ ხნის განმავლობაში ავტორები რუდუნებითა და თავგამოდებით, სრულიად უანგაროდ მუშაობდნენ, კიდევ უფრო დახვეწეს და გაამდიდრეს კომპლექსის ღირსებანი. ყველასათვის დამაჯერებელი გახდა ზუსტად შერჩეული ადგილი, რომელიც ასე კარგად ჩანს თბილისის თითქმის ყველა უბნიდან. კომპლექსის ძირითადი იდეა, შეიძლება ითქვას, 75 პროცენტით უკვე განხორციელებულია — არის შესანიშნავი პროექტი, შესწავლილია გარემო, შერჩეულია და ნაწილობრივ დაკვალულია ადგილი, შექმნილია ტოპოგრაფიული და ვერტიკალური დაგეგმარების დოკუმენტაცია, აღმართულია კომპლექსის ძირითადი, ყველაზე რთული, 40 მეტრის სიმაღლის ფრაგმენტი. ყველაფერმა ამან გაიარა საგამოცდო მნიშვნელოვანი დრო.

რაღა დარჩა?.. **დავამთავროთ, ბატონებო, ეს მშენებლობა! თბილისი, საქართველო და მთელი ქართველი ხალხი მიიღებს ბრწყინვალე მემორიალურსა და საზოგადოებრივ ანსამბლს, რომელიც დაამშვენებს დედაქალაქს, გაამდიდრებს ჩვენს ყოფას, გაგვილამაზებს დღესასწაულებს. ძეგლი, რომელიც, ღრმად ვარ დარწმუნებული, მსოფლიოს შედევრების რიცხვში შევა, ნამდვილად იქნება დიდი შოთა რუსთაველის ნათელი და დიადი სახელის საკადრისი.**

სულხან ქემოკლიძე, საქართველოს მედიკოსთა და პაციენტთა ღირსების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, აკადემიკოსი; თენგიზ მექმარიაშვილი, აკადემიკოსი.

– უნდა დასრულდეს თუ არა რუსთაველის მემორიალის მშენებლობა? ალტერნატიული პასუხი ამ კითხვას არა აქვს. ერთადერთი პასუხია — **აუცილებლად უნდა დასრულდეს! და რაც შეიძლება, სწრაფად, ვინაიდან რუსთაველი ერთიანი, ძლიერი, დაუმორჩილებელი საქართველოს სიმბოლოდ ესახება ქართველობას.** ძეგლის დასრულება თავის მხრივ ხელს შეუწყობდა ერის შეკავშირებას. ყოველ შემთხვევაში, იმათთვის მაინც, ვისაც ქართველობის შენარჩუნება და საქართველოს გადარჩენა სურს.

ერთია მხოლოდ: მშენებლობა უეჭველად უნდა განხორციელდეს სუფთა ფულით და სუფთა ხელებით. მიუხედავად ფინანსური სიდუხჭირისა, სასურველია, **სახსრები გაიღოს ბიუჯეტმა, რადგან რუსთაველის მემორიალის მშენებლობისათვის იმ ფულის გამოყენება, რომელიც ქართველი ერის ძარცვით დააგროვა მავანმა და მავანმა, რუსთაველის და ქართველი ერის შეურაცხყოფა იქნება!**

ფელიქს ღლონტი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი:

– ყოვლად შეუწყნარებელ ფაქტად მიმაჩნია, რომ ასე დიდხანს გაჭიანურდა რუსთაველის მემორიალის მშენებლობა. უთუოდ ბევრ ჩვენგანს ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული, რაოდენ დიდი, სულიერი ყოფიერებისათვის ცენტრალური და ფუნდამენტური როლი შეასრულა რუსთაველის შემოქმედებამ ქართველი ერის ისტორიაში. რუსთაველის შემოქმედება მხოლოდ მხატვრული ქმნილების ნაყოფი როდია. რუსთაველის შემოქმედება აერთიანებს მსოფლმხედველობის მთელ სისტემას და მაღალ იმპერატივს, რომლის ფასეულობა დღესაც უაღრესად აქტუალურია მთელი კაცობრიობისათვის.

ამგვარად, დიდი შოთას მემკვიდრეობა გახლავთ თავისებური ALMA MATER-ი ქართველი ერის სულიერი ცხოვრების, ყოფიერებისათვის.

უცილობლივ, რუსთაველის მემორიალი უნდა დამთავრდეს, მით უმეტეს, რომ ეს ღირსშესანიშნავი, ეროვნული, ხუროთმოძღვრული ძეგლი იქცევა, მე ასე მგონია, მომავალი თაობებისათვის ეროვნული თვითშეგნების ღირსების სიმბოლოდ.

გიგა ბათიაშვილი, აკადემიკოსი:

– ეროვნულ სიმბოლოთა შორის ერთ-ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესია რუსთაველი. ერმა რუსთაველის მსოფლმხედველობა — ფილოსოფია საუკუნეების მანძილზე გადასცა თაობიდან თაობებს, გაითავისა იგი.

ჩვენი ერის ბედუკუღმართობის ჟამს ქართლის მეფემ ვახტანგ მეექვსემ ეროვნული კულტურის უმთავრეს ნიმანსვეტს ძეგლი დაუდგა — „ვეფხისტყაოსანი“ წიგნად დაბეჭდა.

საბედნიეროდ, XX საუკუნეშიც რუსთაველს მიეგო ღირსეული პატივი, ბევრი რამ მნიშვნელოვანი გაკეთდა. მათ შორის დიდებული წამოწყება იყო რუსთაველის მემორიალური კომპლექსის მშენებლობა. სამწუხაროდ, კომპოზიციის მხოლოდ ვერტიკალური ელემენტი აღიმართა, ამიტომ დაუმთავრებლობის გამო სრულად ვერ გამოხატავს პროექტის ავტორთა, არქიტექტორების — ალექსანდრე ბაქრაძისა და ნოდარ ჯობაძის ჩანაფიქრს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მემორიალური ანსამბლის პროექტი, როგორც მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით, ისე შინაარსითა და დანიშნულებით სრულად გამოხატავს ეროვნულ ცნობიერებას რუსთაველთან მიმართებაში. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენი თაობა ვალდებულია დაასრულოს მშენებლობა, რითაც დაადასტურებს თავის პატივისცემას, თავის დამოკიდებულებას რუსთაველის გენიის მიმართ!

ასეთია შემოსულ წერილთა პათოსი, საიდანაც გამოკვეთილია ერთადერთი დასკვნა — რუსთაველის მემორიალი უნდა დამთავრდეს!

მოამზადა
ელგუჯა ლებანიძემ.

ჩიხი

ნათელაშვილს ბათუმური ალიანსის შექმნის იმედი არა აქვს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის მისამართით. „ასლან აბაშიძის პირად მოღალატეებთან მოლაპარაკებებს არასოდეს დავიწყებ და მისგანაც ამას მოვითხოვ“, — განაცხადა მან ოთხშაბათს პრაიმ-ნიუსის მიერ პოლიტიკურ კლუბში ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე.

ნათელაშვილის უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ ასლან აბაშიძე ლეიბორისტული პარტიიდან გარიცხულ სამ წევრს ორშაბათს მოლაპარაკებების მიზნით შეხვდა. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ე. წ. „ბათუმური ალიანსის“ შექმნის იდეას სკეპტიკურად უყურებს. „რამდენჯერმე ჩავედი ბათუმში და აბაშიძეს ოფიციალურად ხელშეკრულების გაფორმება შევთავაზე, მაგრამ მცდელობამ შედეგი არ გამოიღო“, — განაცხადა მან. მისი თქმით, იგი ამ ინიციატივით ბათუმში ჩასვლას აღარ აპირებს, თუმცა განაცხადა, რომ პარლამენტში „აღორძინებასთან“ კოალიციის დაშლა არ იგეგმება.

მოვლენის კვალზე

საუკუნის პროექტი განხორციელდა

ვინც ეს შეძლო, მას არც სხვა პრობლემების მოგვარება გაუჭირდება

(პირველი გვერდიდან)

– ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ ჩვენი სამშობლოსთვის ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის თვითმხილველი გავხდი. ძნელია, სათანადოდ არ შეაფასო ნავთობსადენის ამოქმედების ფაქტი. ბაქო-სუფსის ნავთობსადენი „დიდი აბრეშუმის გზის“ პირველი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საერთოდ, მე ვფიქრობ, ევრაზიის დერეფნის კონცეფცია ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან ქვეყნად აქცევს. ალბათ, აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ საქართველო ხდება საჭირო პარტნიორი, რომ უკვე არა მარტო ჩვენ ვცდილობთ საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას, არამედ სხვა ქვეყნებიც ცდილობენ იქონიონ ჩვენთან ხელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა, ხელი შეუწყონ სტაბილურობას ჩვენს ქვეყანაში, რადგან ეს მათ ინტერესებსაც შეესაბამება.

ნავთობსადენს კასპიიდან შავ ზღვამდე უდიდესი სტრატეგიული დანიშნულება აქვს მთელი რეგიონისთვის. ამას, ალბათ, მალე მოჰყვება ევრაზიის ხიდის კიდევ ერთი უდიდესი პროექტის წარმატება – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დიდი ნავთობსადენის მშენებლობა. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია დიდი გაზსადენის მშენებლობა თურქმენეთიდან თურქეთისა და ევროპისაკენ. ამავდროულად, ეს პროექტი ხელს შეუწყობს ბათუმის, ფოთის საბორნე გადასასვლელების და, შესაბამისად, სარკინიგზო და სანავსადგურო სისტემების სრულყოფას.

სუფსის ტერმინალის გახსნისას ნანახმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა – ეს გახლავთ მართლაც უზარმაზარი შრომის, ადამიანის შემოქმედების გრანდიოზული ნაყოფი. ჩვენ მხოლოდ საბოლოო შედეგი ვიხილეთ, მაგრამ თვალის ერთი შევლებაც საკმარისია, რომ მიხვდე, რაოდენ დიდი ძალისხმევაა ჩადებული ყოველივე ამაში. ბაქო-სუფსის პროექტის ხორცშესხმა ესაა სხვადასხვა ქვეყანათა თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითი.

ალბათ, ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რაოდენ დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ნავთობსადენის ამოქმედებას საქართველოსთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ათასობით სამუშაო ადგილი და მრავალმილიონიანი ინვესტიციები (სამუშაოების 80 პროცენტი ხომ საქართველოს მხარემ შეასრულა). დასაქმებული იყო სხვადასხვა დარგის 30 ორგანიზაცია და 20 ათასზე მეტი მოქალაქე. ახლაც, როგორც ცნობილია, ნავთობსადენის ექსპლუატაციის პროცესში დასაქმებული 350 თანამშრომლიდან 300 საქართველოს მოქალაქე იქნება.

როდესაც 1993 წელს ქვეყნის პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ პირველად ჩამოაყალიბა ევრაზიის დერეფნის იდეა, ბევრს არც სჯეროდა, რომ ის განხორციელდებოდა და სიკეთეს მოუტანდა საქართველოს. მაშინ, ალბათ, მართლაც განსაკუთრებული გამჭრიახობა სჭირდებოდა იმის პროგნოზირებას, რომ ეს იდეა ასეთ გლობალურ მასშტაბებს შეიძენდა.

დღეს უკვე ნათელია, რომ ეს არის საუკუნის პროექტი, საუკუნის მშენებლობა საქართველოსთვის. ნავთობი – ეს ერის უსაფრთხოებაა, მით უმეტეს, რომ უკვე ცნობილი გახდა – საქართველოს თავად აქვს ნავთობის დიდი მარაგი.

მაგონდება 1990 წელი, როდესაც მე მოსკოვიდან საქართველოში დავბრუნდი. ეს იყო ნგრევის პერიოდი. უნდა გამოვტყდე, არაერთხელ შევუპყრივარ სასოწარკვეთას, რომ ფინანსური და სამართლებრივი განუკითხაობის პირობებში ყოველგვარი შრომა და თავდადება ამაო იქნებოდა. მაგრამ ახლა ყველა მოწმე ვართ იმისა, თუ როგორ აღდგა თანდათან ჩვენი ისტორიისთვის მეტად ხანმოკლე პერიოდში ცხოვრების ნორმალური რიტმი. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, თითქოს ქვეყანას ეკონომიკური პრობლემები აღარ ჰქონდეს, თუმცაღა ფაქტია – ნელ-ნელა მოწესრიგდა სამართლებრივი ნორმები, ჩრდილოვანი ეკონომიკა თანდათან ადგილს უთმობს კანონებსა და ნორმატივებზე აგებულ საბაზრო ურთიერთობებს.

საქართველო ერთ დროს მდიდარი ქვეყანა იყო. ბევრი რამ შეიცვალა. გაწყდა ძველი კავშირები, დაინგრა და დაიშალა მრავალი აწყობილი მეურნეობა. ჩვენ ბევრს გვასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა გადავიდეთ კაპიტალისტური წყობიდან სოციალისტურზე, მაგრამ არავის უთქვამს, როგორ უნდა მოხდეს პირიქით. ცხადია, დანგრეულისა და გაფუჭებულის აღდგენა ერთ და ორ დღეში შეუძლებელია, მაგრამ როდესაც ხედავ, რაოდენ მასშტაბური სამუშაოების ჩატარება მოხერხდა ასეთ მოკლე დროში, ეჭვი აღარ გეპარება: ვინც ამის გაკეთება შეძლო, მას არც სხვა პრობლემების მოგვარება გაუჭირდება.

ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელებით საქართველომ დაამტკიცა, რომ მასთან თანამშრომლობა ორმხრივ ხელსაყრელია, რომ საქართველო არ არის ბნელი და უპერსპექტივო ქვეყანა, რომ აქ ხალხი ახლებურად აზროვნებს. ის უპირისპირდება ქაოსსა და ანარქიას. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენ ყველა ჩვენს ადგილას ვიშრომებთ და მივცემთ ქვეყანას ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმს, არცთუ შორეულ მომავალში საქართველოს აყვავებულს, ეკონომიკურად გაძლიერებულს ვიხილავთ. ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები აუცილებლად მოიმკიან იმას, რასაც დღეს დავთესთ.

... როდესაც ვუცქერდი, როგორ შეივსო პირველი ტანკერი, რომელმაც დასავლეთისკენ აიღო გეზი, სიმართლე გითხრათ, სიამაყე ვიგრძენი, როგორც ქართველმა.

საფუძვლიანად დავათვალიერე სუფსის ტერმინალი და ფოთის საბორნე გადასასვლელიც. მართლაც რომ კოლოსალური შრომაა გაწეული საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს რკინიგზისა და მისი ხელმძღვანელობის და სხვა უწყებების მიერ. შეუძლებელია არ აღინიშნოს ნავთობკორპორაციის პრეზიდენტის ბატონ გიორგი ჭანტურიას თავდაუზოგავი ღვაწლი.

ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით დამოუკიდებლობის მოპოვების, ახალი ურთიერთობების მშენებლობის პროცესში, მაგრამ მე ბუნებით ოპტიმისტი ადამიანი ვარ და ყოველთვის მჯეროდა, რომ საქართველო შეძლებს სიძნელეებისთვის თავის დაღწევას. ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს...და, მაინც ამჯერად ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

როგორც საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე, მეც მთელი არსებით ვიზიარებ ჩემი ხალხის, ჩემი ქვეყნისა და მისი პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიხარულს, სწორედ მისი უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი, შრომა და ძალისხმევა გახდა ამ შესანიშნავი იდეის ხორცშესხმის გარანტი, რომლის განხორციელებითაც (ღრმად მწამს!) დაიწყება საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკური პრობლემების მოგვარება.

მედიცინა

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

ერთად ვიზრუნოთ უკეთესი ჯანმრთელობისათვის

ქალი და თამბაქო

თამბაქოს წევის „ეპიდემიამ“ XX საუკუნის II ნახევარში მოიცვა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, რომელიც მწეველთა პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, მსოფლიოს 149 ქვეყანას შორის ყველაზე სავალალო მდგომარეობაში იმყოფება და წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებსაც კი, როგორებიცაა ჩინეთი, ესპანეთი, კუბა, კოლუმბია, ჩილე, ნეპალი.

დღეს თამბაქოს წევა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მედიკო-ბიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემაა.

ცნობილია, რომ სიგარეტის [illegible] სხვადასხვა დაავადების [illegible] ერთ-ერთ რისკ [illegible] წარმოადგენს. [illegible] მეტიც, ის არის [illegible] რისკ ფაქტორი, [illegible] შეიძლება [illegible] ათეულობით [illegible] დაავადება.

[illegible] ხშირად თამბაქოს [illegible] მსხვერპლი ხდება ახალგაზრდობა, განსაკუთრებით ქალები. ბოლო 15 წლის მანძილზე საქართველოში მწეველი ქალების რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა, რაც ბევრად აღემატება ამ მხრივ რაოდენობრივ მატებას მამაკაცებში.

თამბაქო ორგანიზმში პათოლოგიურ პროცესებს იწვევს, რაც დაკავშირებულია მისი კვამლის ტოქსიკურ კომპონენტებთან: ნიკოტინი, ნახშირჟანგი, კანცეროგენური ნივთიერებები, რადიოაქტიური იზოტოპები, აზოტნაერთები, მეტალები, განსაკუთრებით ვერცხლისწყალი (ნიკელი, კობალტი, კადმიუმი). ნიკოტინი კვამლის მთავარი კომპონენტია და ძლიერი შხამია. სწორედ მის გამო ისწრაფვის ადამიანი სიგარეტისკენ. იგი სისხლში ხვდება, გროვდება მთავარ სასიცოცხლო ორგანოებში და იწვევს მათი ანატომიური და ფუნქციური მთლიანობის დარღვევას. ხანგრძლივ სტაჟიან მწეველებში გარდაუვალია ნიკოტინის ქრონიკული მოწამვლა – ნიკოტინიზმი, რომელსაც ახასიათებს მეხსიერებისა და შრომისუნარიანობის დაქვეითება. კვამლის მეორე შხამიანი კომპონენტი CO ნახშირჟანგი, მხუთავი აირი, ორგანიზმში ჟანგბადის ქრონიკულ შიმშილს იწვევს. თამბაქოს კვამლში შედის კანცეროგენური ანუ კიბოს გამომწვევი ნივთიერებებიც, აგრეთვე, რადიოაქტიური ელემენტები, რომელთა შემცველობა მწეველთა ბრონქებსა და შარდში 6-7-ჯერ მეტია არამწეველებთან შედარებით.

თამბაქოს წევის გავლენით ქვეითდება სმენა და მხედველობა, ითრგუნება ცილოვანი, ნახშირწყლოვანი და ცხიმოვანი ცვლები, ფერმენტული აქტივობა, მცირდება შაქრის შეთვისება, ამიტომ მასთან არის დაკავშირებული შაქრიანი დიაბეტის ფარული ფორმები. იცვლება ორგანიზმში მინერალური ნივთიერებების შემადგენლობა. ქვეითდება ძვლის სიმკვრივე, ვითარდება ოსტეოქონდროზი, ოსტეოპოროზი, რადიკულიტი. კბილების ძვლოვანი საფუძველი ინგრევა, ყალიბდება ვიტამინური უკმარისობა, კერძოდ, C_1, B_6, B_2 ვიტამინების შემცველობა მკვეთრად მცირდება.

ნიკოტინის დარტყმას პირველად ფილტვები იღებს. სასუნთქი სისტემის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებათაგან 95 პროცენტი მწეველებზე მოდის. კიდევ უფრო ძლიერად ერღვევა სუნთქვის ფუნქცია ქალებს, ამის ერთ-ერთი მიზეზია მათი გულმკერდის ყაფაზის ნაკლები მოცულობა მამაკაცებთან შედარებით.

თამბაქოს, ასევე, ახასიათებს ალერგოგენური თვისებები, რაც ხშირად მწეველებში ბრონქული ასთმის განვითარების მიზეზი ხდება.

ნიკოტინი მოქმედებს საჭმლის მომნელებელ სისტემაზეც და ერთ-ერთი ხშირი მიზეზი ხდება გასტრიტების, კუჭის წყლულოვანი დაავადების განვითარებისა. ზიანდება ენდოკრინული სისტემაც, ირღვევა ჰორმონული წონასწორობა.

ნიკოტინის ზეგავლენით ადამიანს ეცვლება გუნება-განწყობაც, სევდიანობს, დათრგუნულია.

თამბაქოს კვამლის პროდუქტები სასქესო ჯირკვლებზეც მოქმედებს, აქვეითებს სქესობრივ აქტიურობას. ამას თანდათან იმპოტენციამდე მიჰყავს მამაკაცები და ფრიგიდულობამდე – ქალები.

თამბაქოთი გამოწვეულ დაავადებებს განეკუთვნება, აგრეთვე, მენსტრუალური ციკლის მოშლა, ნაადრევი კლიმაქსი, სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესები.

მწეველი ქალები არა მარტო თავის ჯანმრთელობას აყენებენ ზიანს, არამედ, როგორც მომავალი დედები, საფრთხეს უქმნიან შთამომავლობას. თამბაქო განსაკუთრებით დამღუპველად მოქმედებს ბავშვზე მუცლადყოფნისა და დაბადების შემდგომ.

ახალშობილთა დიდ ნაწილს, რომლებსაც მწეველი მშობლები ჰყავთ, ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების დეფექტები აღენიშნებათ. მათ მიდრეკილება აქვთ ინფექციური და არაინფექციური დაავადებების მიმართ.

მწეველ ქალებში ითრგუნება ჩანასახის საშვილოსნოს კედელში იმპლანტაციის პროცესი, რაც მის დაღუპვას იწვევს. ნაადრევი მშობიარობა და აბორტები ბევრად უფრო ხშირია მწეველ ქალებში, ვიდრე არამწეველებში.

აშშ-ში ყოველწლიურად ჩასახვის მომენტისთანავე ორსულობის შეწყვეტის 50 ათასამდე შემთხვევას აფიქსირებენ და ამას მწეველი ქალების რიცხვის კატასტროფულ ზრდას მიაწერენ.

როგორც დედის, ასევე ნაყოფის ორგანიზმში გადადის თამბაქოს კვამლის პროდუქტები, ვითარდება ქრონიკული ინტოქსიკაცია და ჟანგბადის შიმშილი. ეს პროცესები ნაყოფის ორგანიზმში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. ბევრი მეცნიერის აზრით, ჟანგბადის ყველაზე ხანმოკლე უკმარისობამაც კი შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქიკასა და ინტელექტზე.

ყველაზე სერიოზული დაზიანება აღინიშნება ნაყოფის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბავშვი უკვე მუცლადყოფნის პერიოდში იღებს გარკვეულ ინტელექტუალურ ინფორმაციას და დაბადებამდე უყალიბდება გონებრივი განვითარების ფუნდამენტი. თამბაქო კი მკვეთრად ანელებს, ზოგჯერ საერთოდ თრგუნავს კიდეც ამ პროცესს.

ორსულობის მე-4-5 კვირაზე თამბაქოს ტოქსინების ზემოქმედებას განიცდის ნაყოფის გულსისხლძარღვთა სისტემა, რომელიც ამ დროს იწყებს ჩამოყალიბებას. გამოკვლეულია, რომ ახალშობილებში გულის თანდაყოლილი მანკების პროცენტული მაჩვენებლები მწეველი დედების შთამომავლობაში მეტია არამწეველებთან შედარებით. ასევე აგრძელებს ზემოქმედებას თამბაქოს კვამლი ახალშობილზე, ჩვილობის ასაკში და შემდგომაც.

ნიკოტინი და თამბაქოს კვამლის სხვა კომპონენტები დედის რძეში, მისი საშუალებით კი ჩვილის ორგანიზმში ხვდება (გარდა იმისა, რასაც ჩვილი ჩაისუნთქავს გარემომცველი ჰაერიდან, როცა დედა მისი თანხლებით ეწევა). ხშირად, ბავშვი უარს ამბობს დედის რძეზე. დედის რძეს კი ვერ ცვლის ვერც ერთი ყველაზე „სრულფასოვანი“ საკვებიც კი.

ყოველი ადამიანი, რომელიც თამბაქოს ეწევა, არა მარტო საკუთარ ჯანმრთელობას ვნებს, არამედ გარშემომყოფ ადამიანებსაც, რადგან ისინი პასიური მწეველები ხდებიან და თაბაქოს კვამლს ჩაისუნთქავენ ყველა შემადგენელი კომპონენტით. მწეველი ქალი თუ მამაკაცი ზიანს აყენებს საკუთარ რეპროდუქტიულ გამრავლების უნარს, თავისი შთამომავლობის ჯანმრთელობას და ეჭვის ქვეშ აყენებს მომავალი თაობის ფიზიკურ და გონებრივ სრულფასოვნებას.

ნინო ღვანია,
თამბაქოს საწინააღმდეგო
ეროვნული ცენტრის
ექიმი-სპეციალისტი.

ცენტრი მზადაა უფასო კონსულტაციები და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მწეველ ორსულ და მეძუძურ ქალს ამ მავნე ჩვევის დაძლევაში.

ნუ გაცვლით შვილს
თამბაქოზე
თამბაქო
თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი

მამული

რუბრიკას უძღვება როინ მეტრეველი

საქართველოს ცნობიერების გვირგვინი

დამფუძნებელი კრების მოწვევიდან 80 წლისთავის გამო

1919 წლის 29 ივლისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის მოწყობის შესახებ (ეს კანონი დამფუძნებელი კრების დახურულ სხდომაზე იქნა მიღებული და, შესაბამისად, პრესაშიც არ გამოქვეყნებულა).

იმავე წლის 31 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტები სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაო და ყველა მოქალაქისათვის საპირადოა, გარდა მაჰმადიან და დუხაბორ მოქალაქეთა, რომ რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, კანონში მოხსენებულ გამონაკლისთა გარდა, 20-დან 45 წლის ასაკამდე ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა... საქართველოს შეიარაღებული ძალა შედგება ჯარისა და სახალხო გვარდიისაგან... ჯარი არის მუდმივი, სათადარიგო და მოლაშქრე. მუდმივი ჯარი მუდამ მზად არის საომარი სამსახურისათვის, სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის დანიშნულებაა მუდმივი ჯარის გაძლიერება და შევსება მობილიზაციის დროს...

სახალხო გვარდია, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს იკრიბება რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა გარდა. 1919 წ. 20 მაისს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული განსაკუთრებული კანონის თანახმად, მუდმივ და სათადარიგო ჯარში სამსახურისაგან თავისუფლდებოდნენ ის ოჯახები, რომელთაც ერთადერთი მარჩენალი ჰყავდათ და ისინი პირდაპირ მოლაშქრედ ჩაირიცხებოდნენ. სამხედრო სამსახურის საერთო ვადად დაწესებულ იქნა 25 წელიწადი, აქედან: ქვეითი ჯარის ნამდვილ სამსახურში მეომრად – 1 წელიწადი და 4 თვე, ხოლო დანარჩენი სახეობის ჯარებში 1 წელიწადი და 8 თვე; სათადარიგოში 14 წელიწადი, დანარჩენი დრო – ლაშქარში.

31 ივლისის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ ახალი დებულება მიიღო სამხედრო პირთა ხარისხების შესახებ. დამფუძნებელი კრება სახსრებს არ იშურებდა რეგულარული არმიის და სახალხო გვარდიის საომარი იარაღით სრულად აღჭურვისათვის. მისი რწმუნებით, ევროპაში მივლინებულ იქნენ კიდეც სათანადო პირები იარაღის შესასყიდად, თუმცა, ამ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. შეიარაღებული ძალების გაძლიერება და სრულყოფა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე ხორციელდებოდა. 1920 წლის დამლევისათვის საქართველოს მისი შესაძლებლობის შესაფერისი შეიარაღებული ძალები ჰყავდა. ქართული არმიის მაღალ საბრძოლო უნარიანობას 1920 წლის 24 ნოემბრის და 18 დეკემბრის მოხსენებებში არ უარყოფდა საბჭოთა მე-11 არმიის სარდალი გენერალი გეკერი, რომელიც საქართველოში მოსალოდნელი შეჭრის ვითარებაში დამატებითი სამხედრო შენაერთების დახმარებას მოითხოვდა.

ქართულ რეგულარულ არმიას სახალხო გვარდიასთან ერთად კარგი საბრძოლო გზა ჰქონდა გამოვლილი. საკმარისია დავასახელოთ ქართული არმიის წარმატებითი ოპერაციები სოჭისა და გაგრის რაიონებში გენერალ დენიკინის წინააღმდეგ, 1920 წ. მაისის სამხედრო ოპერაციები საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ და სხვა.

დამფუძნებელი კრება თავისი არსებობის მთელ მანძილზე მტკიცე სახელმწიფოებრივი კონსტიტუციით ხელმძღვანელობდა. მართალია, მან კონსტიტუციის საბოლოო წერილობითი ტექსტი 1921 წლის თებერვალში დაამტკიცა და გამოაქვეყნა, მაგრამ მისი ფაქტობრივი საფუძვლები 1918 წლის 26 მაისიდან უკვე გამოკვეთილი იყო. კონსტიტუცია სამი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად ქვეყანაში დამკვიდრებულ იმ უფლება-მოვალეობებს ასახავდა, რომლითაც დემოკრატიული საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა და სარწმუნოებისა, სარგებლობდა.

კონსტიტუციის მიხედვით, „პირველი რესპუბლიკის“ პოლიტიკური სტრუქტურა დემოკრატიულ ნიადაგზე აგებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმს წარმოადგენდა. დამფუძნებელი კრების პრეროგატივას შეადგენდა კანონმდებლობა, უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა, ომის გამოცხადება და ზავის შეკვრა, უცხო სახელმწიფოებთან პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ ხელშეკრულებათა დადება, ამნისტია, ბიუჯეტის დამტკიცება, სახელმწიფო სესხის აღება და სხვ.

სახელმწიფო კანონების ცხოვრებაში გასატარებლად იქმნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება – მთავრობა, რომლის თავმჯდომარეს პარლამენტი 1 წლის ვადით ირჩევდა (ერთი და იგივე პირი ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლებოდა არჩეულიყო). მთავრობის თავმჯდომარის პრეროგატივას რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა შეადგენდა. მაგრამ მისი უფლებანი საპარლამენტო კანონით მტკიცედ იყო განსაზღვრული. მთავრობის თავმჯდომარე ნიშნავდა მინისტრებს და წარმართავდა რესპუბლიკის მართვა-გამგეობას ამ კანონების მიხედვით, ამასთან, იგი პასუხისმგებელი იყო საერთო პოლიტიკის წარმართვისათვის პარლამენტის წინაშე.

„პირველი რესპუბლიკის“ კონსტიტუციის პროექტის განხილვისას 1920 წლის ნოემბერში დამფუძნებელ კრებაზე დაისვა საკითხი ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესების შესახებ. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის პავლე საყვარელიძის მოხსენებამ და მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვამ მწვავე კამათი გამოიწვია. სოციალისტური პარტიები (სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები) პრეზიდენტობის ინსტიტუტს დრომოჭმულად მიიჩნევდნენ და შიშს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ეს თანამდებობა ქვეყანაში დემოკრატიის მნიშვნელოვან შეზღუდვას გამოიწვევდა. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის წარმომადგენელი ლეო შენგელაია იმის გამოც საყვედურობდა, რომ მთავრობის თავმჯდომარეს კონსტიტუციით ფართო უფლებები ჰქონდა მინიჭებული. „ჩვენ წინააღმდეგი ვართ პრეზიდენტისა, აგრეთვე, მთავრობისათვის ამდენი უფლებების მიცემისაო. – აცხადებდა იგი. თავის საპასუხო გამოსვლებში, სოციალ-დემოკრატებმა მთავრობის თავმჯდომარის უფლებათა კიდევ უფრო გაფართოება მოითხოვეს. ნოე ჟორდანიას მტკიცებით, მთავრობის თავმჯდომარეს უნდა მისცემოდა პარლამენტის დაუკითხავად ჯარის გამოყვანის უფლება. „ჩვენ არა ვართ შორს საზღვრებიდან და 2-3 საათის განმავლობაში შეიძლება უცხო ჯარი შემოვიდეს და ეს ჩვენი ქალაქი, ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველო დაიპყროს. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა, რომ ამ პიროვნებას, – მუდმივ დარაჯს სახელმწიფოში, ჰქონდეს მეტი უფლება, ვიდრე ამ პროექტში არის აღნიშნული, ჩვენი კონსტიტუციის პროექტში ის აზრი არის გატარებული, რომ მთავრობას რაც შეიძლება ნაკლები უფლება ჰქონდეს; ეს, რასაკვირველია, ასე უნდა იყოს ფედერაციულ სახელმწიფოში, მაგრამ უნიტარულ რესპუბლიკაში ასე არ უნდა იყოს...ძირითადი პრობლემა კონსტიტუციისა ის არის, რომ, ერთის მხრივ, თავისუფლება და წესიერება და, მეორეს მხრივ, მთლიანობა იქნას დაცული. ამიტომ საჭიროა ცენტრალური ძალა მმართველობისა აღჭურვილი იყოს ისეთი ძალაუფლებით, რომ სახელწიფოსა და წესიერების დამრღვევთა წინააღმდეგ მიიღოს ზომები“. პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესების მომხრედ დამფუძნებელ კრებაში მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გამოვიდა. მისი წარმომადგენელი გიორგი გვაზავა ამავე სხდომაზე პრეზიდენტის პოსტის დაწესების მიზანშეწონილობას იცავდა. თავისი პოზიცია მან ასე ჩამოაყალიბა: ა) მთავრობა, რომელიც შედგება ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისაგან და პასუხისმგებელი მინისტრებისაგან; ბ) პარლამენტი, არჩეული ხალხის მიერ, რომელიც ახორციელებს მხოლოდ კანონმდებელ ხელისუფლებას და კონტროლს უწევს მთავრობას და გ) დამოუკიდებელი სასამართლო, რომელიც დარაჯია კონსტიტუციისა. მხოლოდ ამგვარი სახელმწიფოებრივი კონსტიტუციით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფლება, რომელიც ერთადერთი მიზანია და გამართლება თვით სახელმწიფოსი“.

ამ საკითხზე გიორგი გვაზავა პრესაშიც გამოვიდა. გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში იგი აღნიშნავდა:

„თუ იქნება ისეთი პირი, რომელიც აასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, ის იქნება პრეზიდენტი. რად უნდა გვეშინოდეს სიტყვისა და რატომ უნდა წავართვათ გარკვეულ შემეცნებას ყველგან მიღებული მისი სახელი?!“

აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის სამეთვალყურეოდ იქმნებოდა სახელმწიფო კონტროლი, რომელსაც დამფუძნებელი კრება ირჩევდა. მას აღმასრულებელი ხელისუფლების საფინანსო საქმეების კონტროლი ევალებოდა.

დამფუძნებელი კრება, ასევე, დიდ მუშაობას ეწეოდა სასამართლო საქმის რეორგანიზაციისათვის. რევოლუციამდელი სასამართლო კოლონიური რეჟიმის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული, ამასთან, საქმის წარმოება რუსულ ენაზე იყო. სასამართლო რეორგანიზაციის ძირითად დანიშნულებას მისი დემოკრატიზაცია და გაეროვნულება შეადგენდა, რაც ხანგრძლივ და მძიმე სამუშაოს საჭიროებდა. პირველყოვლისა, საჭირო იყო მთელი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონთა გაქართულება. ეს, ცხადია, მხოლოდ კანონთა კოდექსების ქართულ ენაზე თარგმნას არ ნიშნავდა. ახალი კანონები ერის ყოფა-ცხოვრების სპეციფიკასთან, მის ტრადიციებთან უნდა ყოფილიყო შეფარდებული. ეს რთული საქმე პარლამენტმა, მართალია ვერ მოასწრო და კანონთა ახალი კოდექსები არ შექმნილა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი საქმე მაინც გაკეთდა: სასამართლო აპარატი გაეროვნულდა.

დამფუძნებელ კრებაში დიდი დებატების შემდეგ შემუშავდა და გამოქვეყნდა დებულება საქართველოს სენატის შესახებ.

სენატი იყო უზენაესი სასამართლო, რომელიც თვალყურს ადევნებდა კანონის დაცვას, მისი სისწორით ასრულებას მთავრობის ყოველი დაწესებულების, თანამდებობის პირისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ. სენატი შედგებოდა ორი საკასაციო დეპარტამენტისაგან: – სისხლის სამართლისა და სამოქალაქოსაგან. სენატთან დაარსდა ორი პროკურორის თანამდებობა: – სისხლის სამართლის დეპარტამენტისა და მეორე – სამოქალაქოთათვის. პროკურორებს მთავრობა ნიშნავდა. სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტს ექვემდებარებოდა ყოველი საქმე, რომელიც აღნიშნული იყო სასამართლო დაწესებულებათა დებულებაში, სისხლის სამართლის წარმოების წესდებასა, სამხედრო სასამართლოს წესდებასა და სხვა სათანადო კანონმდებლობებში; სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტს ექვემდებარებოდა ყოველი საქმე, რომელიც აღნიშნული იყო სასამართლო დაწესებულებათა დებულებასა, სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესდებასა და სათანადო კანონმდებლობაში.

სამართალწარმოების ეროვნულ ნიადაგზე სრულ დაფუძნებას ბევრი ხელისშემშლელი ობიექტური და სუბიექტური გარემოებანი აფერხებდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გამოსული საომარი მდგომარეობიდან და სტაბილურობის მხოლოდ საწყის სტადიაზე იდგა. ამასთან, ძალზე მცირე იყო იურისტთა ეროვნული კადრები, არ არსებობდა ქართული ეროვნული იურიდიული ტერმინოლოგია.

დამფუძნებელმა კრებამ თავიდანვე მტკიცედ განსაზღვრა ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის ხასიათი. იგი დაფუძნებული იყო თვითმმართველობის პრინციპებზე, მაგრამ ამავე დროს მმართველობის ფუნქციებსაც ახორციელებდა. ადგილობრივი თვითმმართველობანი უნდა არჩეულიყო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით. მას მინიჭებული ჰქონდა უფლება ადგილობრივ გამოეცა კანონის შესაბამისი დადგენილებანი. ასეთივე პრინციპებს ექვემდებარებოდა საქალაქო მმართველობანი. – ე. წ. მუნიციპალიტეტები.

ამ პრინციპების საფუძველზე განხორციელდა 1919 წელს ადგილობრივ მმართველობათა (ერობების) და 4 ქალაქის მუნიციპალიტეტის არჩევნები. არჩევნები ყველგან დაკანონებული წესის მიხედვით ჩატარდა. ადგილობრივ მმართველობაში ხალხმა საზოგადოების ყველა ფენისა და ყველა პარტიის წარმომადგენელი აირჩია.

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, დამფუძნებელი კრება „ქართული ცნობიერების გვირგვინი“ იყო. მის მიერ გატარებულ თანამიმდევრულ ღონისძიებათა შეჯამებას საშინაო პოლიტიკის დარგში შემდეგ დასკვნამდე მივყავართ:

1. დამფუძნებელ კრებაში შემავალ პარტიათა სხვაობას პროგრამულ საკითხებში მათი გათიშვა არ გამოუწვევია და იგი თავისი არსებობის მანძილზე შინაგანი კრიზისული ვითარების წინაშე არასოდეს არ დამდგარა.

ოპოზიციური პარტიები ხშირად მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მკვეთრი კრიტიკით გამოდიოდნენ. მაგრამ იგი დასაშვებ ფარგლებს არასოდეს გასცდენია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ მმართველი პარტიაც ბევრ შემთხვევაში ანგარიშს უწევდა ოპოზიციურ პარტიათა კრიტიკულ შენიშვნებს და თავის საქმიანობაში შესაბამისი კორექტივები შეჰქონდა.

2. პარტიათა შედარებითი კონსენსუსი დამფუძნებელ კრებაში მისი, მართლაც რომ, მაღალი ინტელექტუალური პოტენციალით იყო განპირობებული. ტყუილად როდი უწოდა დამფუძნებელ კრებას მისმა ერთ-ერთმა დეპუტატმა, გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ „საქართველოს ცნობიერების გვირგვინი“. ეს სახელწოდება ჭეშმარიტად ასახავდა იმდროინდელი საქართველოს იმ ინტელექტუალურ პოტენციალს, რომელიც ქვეყნის ამ უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში იყო წარმოდგენილი.

ამას ასევე ხელს უწყობდა მასში შემავალ დეპუტატთა საერთო მისწრაფებები: უზრუნველეყოთ ომის მძიმე შედეგებითა და ბოლშევიკური არმიისაგან აფორიაქებულ ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა და ევროპული ქვეყნების ორბიტაში მისი ჩართვისთვისაც მიეღწიათ.

3. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ქვეყანაში სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის მოწესრიგებისათვის დემოკრატიული ხასიათის გარდაქმნები განახორციელა. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურა იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოებრივ სტრუქტურათა დადებით გამოცდილებას ითვალისწინებდა და, ამასთან, ერის მაღალ პოლიტიკურ კულტურასთან, მის ძველისძველ ტრადიციებთან იყო შესისხლხორცებული. 117-წლიანი კოლონიური ბატონობის უღელქვეშ მყოფმა ქვეყანამ კავკასიის სანამესტნიკოს მიერ თავსმოხვეულ სტრუქტურების დაძლევა შეძლო და სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა გაეროვნულება განახორციელა.

4. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გარეშე მტერთა თავდასხმისაგან ქვეყნის დასაცავად და გადასარჩენად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა. ეროვნული არმია და გვარდია, ძირითადად, მისი საზღვრების ხელშეუხებლობას და ქვეყნის შიგნით წესრიგის განმტკიცებას უზრუნველყოფდა, თუმცა თავდაცვის ინტერესების გათიშულობა ნეგატიურად მოქმედებდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის შემოსევის შედეგად განაპირობა არა იმან, რომ საქართველოს ჯარი მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაში უუნარო იყო, არამედ მტრის სამხედრო ძალთა დიდმა რიცხობრივმა სიჭარბემ და მისი შეიარაღების დიდმა უპირატესობამ. საბჭოთა რუსეთთან ეს უთანაბრო ბრძოლა რომ არა, საქართველოს სრული შესაძლებლობა ჰქონდა თავისი ეროვნული სუვერენიტეტი და თავისი საზღვრები ღირსეულად დაეცვა.

5. საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალური კანონმდებლობანი თავისი ხასიათით ქართველი ერის ყველა სოციალური ფენის ინტერესებს შეესაბამებოდა და კლასობრივი ჰარმონიისაკენ იყო მოწოდებული.

6. საქართველოს დამფუძნებელი კრების ღონისძიებანი ეკონომიკის სფეროში კოლონიურ მფლობელობითა და ხანგრძლივი ომით გამოწვეული სამეურნეო ნგრევის თავიდან ასაცილებლად პერსპექტივებს სახავდა. ამ ღონისძიებათა შედეგად დამოუკიდებლობის ბოლო წელს ეკონომიკური აღმავლობის გზები გამოიკვეთა. სახელმწიფოს მიერ სამრეწველო საქმიანობის ხელში აღებამ, სახელმწიფო ბანკის დაარსებამ, სააქციონერო და კოოპერატიულ საზოგადოებათა ახალ პრინციპებზე წახალისებამ, სახელმწიფოებრივთან კერძო სექტორის უნარიანმა შეხამებამ, საგარეო აღებ-მიცემობის გაჩაღებამ, ეკონომიკურად ქვეყანა წელში გამართა და რეალურად ხალხის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობანი შექმნა. საქართველოს ამ გზით შემდგომ წინსვლას გზა საბჭოთა რუსეთის აგრესიამ დაუხშო.

ამრიგად, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიუხედავად გარკვეული შეცდომებისა, კოლოსალური მუშაობა გასწია. მის ზურგზე დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის ურთულესმა საქმემ გადაიარა. საქართველოს დამფუძნებელი კრება ინტელექტუალურად მაღალ დონეზე იდგა და ყოველმხრივ მომზადებული იყო გაძღოლოდა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ პროგრესს, გარეშე უხეშ ძალას მისი არსებობა რომ არ შეეწყვიტა. ჩვენ სავსებით შეგვიძლია საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე გავიმეოროთ ის სიტყვები, რომელიც ჟან ჟორესმა თავის ცნობილ ნაშრომში „საფრანგეთის რევოლუციის სოციალისტური ისტორია“ საფრანგეთის დამფუძნებელი კრების თაობაზე თქვა: „იმ დღეს, როცა დაიშალა დამფუძნებელი კრება, მას შეეძლო თავისუფლებისათვის ღრმა რწმენით ეთქვა, რომ ჩაატარა ვეებერთელა მუშაობა და რომ ეს მუშაობა უნაყოფო არ ყოფილა“.

დამფუძნებელი კრების მოღვაწეობა საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია, ხოლო მისგან დაგროვილი დიდი გამოცდილება, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური – ის აუცილებელი გაკვეთილი, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას დაეხმარება ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დიდი საქმე მართებული გზით განახორციელოს.

პაატა სურგულაძე,
საქართველოს პარლამენტის
მუდმივი წარმომადგენელი
დსთ საპარლამენტთაშორისო
ასამბლეაში, ისტორიის
მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 110.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო დაბომბვას აძლიერებს

ევროპაში დაბანაკებული ნატოს ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა უელსი კლარკმა თქვა, რომ იუგოსლავიის სამხედრო ობიექტებზე დღემდე განხორციელებული ავიათავდასხმები ეფექტიანი და დამანგრეველი იყო. გენერალმა, აგრეთვე აღნიშნა, რომ ამჟამად ოპერაციაში სამჯერ მეტი სამხედრო თვითმფრინავი მონაწილეობს, და დაბომბვა შეიძლება მნიშვნელოვნად გააქტიურდეს, თუ ბელგრადი არ დათანხმდება ნატოს მოთხოვნებს. იუგოსლავიის ხელისუფალთა თქმით, დაბომბვით გამოწვეული ზარალი დაახლოებით 10 მილიარდ დოლარს შეადგენს, 500 ათასამდე კაცი უმუშევარი დარჩა. ზოგიერთი ეკონომისტის შეფასებით, ნატოს ერთი თვის დაბომბვამ იუგოსლავიას გაცილებით მეტი ფინანსური ზარალი მიაყენა, ვიდრე მთელმა მეორე მსოფლიო ომმა.

საომარ მოქმედებას ლტოლვილები ეწირებიან

ჰუმანიტარული ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ალბანეთის საზღვრის მახლობლად, კოსოვოს ბანაკებში თავშეფარებულ ლტოლვილთა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება სერბთა სამხედრო აქტიურობის გაძლიერების გამო. სერბი სნაიპერები და არტილერია დარტყმებს აყენებენ კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის პოზიციებს იმ ზოგიერთი ბანაკის უშუალო სიახლოვეს, სადაც უკანასკნელი კვირების მანძილზე 50-დან 80 ათასამდე კაცი ჩავიდა. როგორც ბი-ბი-სის ტირანელი კორესპონდენტი იუწყება, ზოგიერთი ცნობის თანახმად, სერბთა ძალები რუსული წარმოების რაკეტებს უშენენ ალბანეთის ტერიტორიაზე მდებარე სამიზნეებს.

ბელგრადი: ნატოს ავიათავდასხმამ 17 მცხოვრები შეიწირა

იუგოსლავიის ხელისუფალნი იუწყებიან, რომ სულ ცოტა 17 კაცი დაიღუპა და ბევრი დაიჭრა ბომბის აფეთქების შედეგად სერბეთის ქალაქ სურდულიცის საცხოვრებელ რაიონში. მათი თქმით, თავდასხმამ დააზიანა და დაანგრია ათობით სახლი, ხოლო მაშველი ოპერაციების დროს ნანგრევებში კიდევ ბევრ დაღუპულს იპოვნიან. ამერიკის სი-ენ-ენ ტელეარხმა მოიყვანა ნატოს ოფიციალურ წარმომადგენელთა სიტყვები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ალიანსის თვითმფრინავმა მიზანს ააცდინა ბომბები, რომლებიც ქალაქის სამხედრო ყაზარმებში უნდა ჩამოეყარა. თვით კოსოვოში, სერბული წყაროების ცნობით, ავიადარტყმები განიცადეს საჭურვლის საწყობებმა, რადარულმა დანადგარებმა და პრიშტინის მახლობლად მდებარე აეროპორტმა.

ვაშინგტონი და მოსკოვი ცდილობენ შეთანხმდნენ

შეერთებული შტატები და რუსეთი განაგრძობენ ერთობლივ მუშაობას იუგოსლავიის კრიზისის გადასაწყვეტად. აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ სტროუბ ტელბოტმა თქვა, რომ მოსკოვში სერიოზული და კონსტრუქციული მოლაპარაკება ჰქონდა, მაგრამ დეტალები არ დაუზუსტებია. ბი-ბი-სის მოსკოველი კორესპონდენტის ცნობით, აშკარაა, რომ რუსეთისა და ნატოს შეხედულებები ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხში კვლავინდებურად სცილდება ერთმანეთს და მოსკოვის მოლაპარაკებაზე ვერ მიაღწიეს ვერავითარ კარდინალურ მორიგებას. გუშინ მოსკოვში ჩაფრინდნენ გერმანიის თავდაცვის მინისტრი, საბერძნეთის საგარეო უწყების მეთაური და გაეროს გენერალური მდივანი. მოელიან, აგრეთვე, საფრას პრეზიდენტს ნელსონ მანდელას.

ემუქრება ევროპას ეკოლოგიური კატასტროფა?

ომი ულმობელია ყოველგვარი სიცოცხლისადმი — ადამიანის თუ მცენარისა. თანამედროვე ომში გამოყენებული საშუალებანი ხშირად ძალზე ტოქსიკურია და ფაბრიკა-ქარხნებისათვის დარტყმების მიყენებისას მავნე ნივთიერებანი ხვდება ნიადაგში, ჰაერში, წყალში. შედეგებმა შეიძლება თავი იჩინოს საბრძოლო მოქმედების დამთავრებიდან მრავალი წლის შემდეგ და არა მარტო კონფლიქტის რაიონში, ვინაიდან ბუნებაში არ არსებობს არავითარი სახელმწიფო საზღვრები.

ამ მხრივ იუგოსლავიის კონფლიქტი არ არის გამონაკლისი. ნავთობგადამამუშავებელი და ქიმიური ქარხნებისათვის მიყენებულ საავიაციო დარტყმებს (რომელთა შორის იყო სარაკეტო სათბობის ქარხნებიც) არ შეიძლებოდა, არ მიეყენებინა ვნება გარემოსათვის. საკითხავი მხოლოდ ის არის, რამდენად მძიმეა ეს შედეგები?

აპრილის პირველ რიცხვებში სოლუნის უნივერსიტეტ „არისტოტელეს" ორმა ბერძენმა მეცნიერმა — ატმოსფერული ფიზიკის პროფესორმა დოქტორმა ქრისტოს ზორეფოსმა და ბირთვული ფიზიკის პროფესორმა დოქტორმა განასიოს გერანიოსმა — გააკეთეს განცხადება, რომელმაც მთელი ბალკანეთი ააფორიაქა. მათი თქმით, იუგოსლავიის საწარმოთა დაბომბვას თან სდევს ტოქსიკური კანცეროგენული ნივთიერებების — დიოქსინების, აგრეთვე, ფურანების გამოფრქვევა, რომლებიც სხვა ნივთიერებებთან შეერთებისას საშიშროებას უქმნიან ადამიანის ორგანიზმს, თუმცა, არა ისეთს, როგორსაც, ვთქვათ, დდტ: მათგან მოწამვლას ჯერ არ გამოუწვევია ლეტალური შედეგები. მაგრამ 1976 წელს, როდესაც იტალიის ქალაქ სევეზოში „ისკმესის" ქიმიური ქარხნის ავარიის დროს ჰაერში გაიფრქვა 2 კგ დიოქსინი, ამას შედეგად მოჰყვა 11 თანდაყოლილი სიმახინჯის შემთხვევა. მავნე ნივთიერებით დაბინძურება, განაცხადეს ბერძენმა მეცნიერებმა, ემუქრება არა მარტო იუგოსლავიას და მიმდებარე ქვეყნებს (მათ შორის, ავსტრიასაც, რომელმაც მხარი არ დაუჭირა ნატოს აქციას), არამედ, აგრეთვე იტალიასა და საბერძნეთს. დოქტორმა გერანიოსმა, გარდა ამისა, განაცხადა, რომ გაიზარდა კანცეროგენული რისკი, რომელიც კიდევ ათობით წლის მანძილზე შეუქმნის საფრთხეს ბალკანეთის მოსახლეობას იმის გამო, რომ ნატო ბომბებში მწირ ურანს იყენებს.

პრესის მიერ გავრცელებულმა ამ განცხადებებმა ერთგვარი პანიკა გამოიწვია ბალკანეთის ქვეყნებში. მაგალითად, ბულგარეთის ქალაქ პლოვდივის მოქალაქეებმა, რომლებმაც 6 აპრილს ღამით დამწვრის სუნი იგრძნეს, შეშინებულებმა მიატოვეს საკუთარი სახლები. შემდეგ ადგილობრივმა პოლიციამ დააკავა სამი ბოშა, რომლებსაც იმ ღამეს ელექტრონული ხელსაწყოები მოეპარათ და იქიდან სპილენძს აძრობდნენ. დაფეთებული მოქალაქენი დაამშვიდა ბულგარეთის ეკოლოგიის მინისტრმა ევდოკია მანევამ. გაზეთ „დემოკრატიაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში მან განმარტა, რომ ნატოს დაბომბვის შედეგად ევროპის ატმოსფეროს დიოქსინებით გაჭუჭყიანება — ეს არის მხოლოდ ბერძენი პროფესორების ჰიპოთეზა, და არა დადგენილი ფაქტი. დიოქსინები, რომლებიც ყოველგვარი წვის შედეგად ჩნდება, ჰაერში ხვდება, აგრეთვე, ტრანსპორტის გამონაბოლქვი აირებიდან და თბოელექტროცენტრალების გამონაფრქვევიდან. თუ რამდენად მოიმატა მათმა კონცენტრაციამ იუგოსლავიის ხანძრების შემდეგ, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, 3 და 4 აპრილს, როდესაც საბერძნეთში ქარი იუგოსლავიის მხრიდან ქროდა, თქვა მანევამ, ბერძენ მეტეოროლოგებს არ აღურიცხავთ დიოქსინების ნორმის გადამეტება. ასეთივე სიტუაციაა რუმინეთში, უნგრეთში, სლოვენიაში, ისევე როგორც ბულგარეთში, სადაც დიოქსინების დონეს თვალს ადევნებს 16 ავტომატური მეტეოსადგური, 53 ჰაერის ანალიზის პუნქტი და 200 წყლის ანალიზის პუნქტი.

ბულგარეთის მეზობელ მაკედონიაში კიდევ უფრო მეტი შეშფოთებით აღიქვეს გარემოს დაბინძურების ამბავი. ალბათ, იმიტომ, რომ ამ ქვეყანას არა აქვს თავისი ლაბორატორიები დიოქსინების კონცენტრაციის გასასაზღვრავად. ზორან ბოჟინოვსკიმ (მაკედონია), ეკონომიკაში რადიოიზოტოპების გამოყენების ცენტრის წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ ჰაერში დიოქსინების, ურანებისა და პოლიქლორბიფენოლების გაფრქვევა იუგოსლავიის საწარმოებში გაჩენილი ხანძრების დროს მოხდა, და იუგოსლავიის არმიის მიერ ხორვატეთის დაბომბვის გამოცდილებამ ცხადყო: ატმოსფეროს დაბინძურება გარდაუვალია — არადა, ხორვატეთის კონფლიქტის დროს გაცილებით უფრო ნაკლები იყო ნგრევის მასშტაბი.

ასეა თუ ისე, დღესდღეობით ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესაბამის სამსახურებს არ აღურიცხავთ ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის გადამეტება. უფრო ცუდად არის საქმე წყალთან დაკავშირებით. იუგოსლავიის ნავთობის ქარხნებში დაწყებული ხანძრების გამო დუნაის ზედაპირმა ჯერ კიდევ 4 აპრილს იწყო დაფარვა ნავთობის ლაქებით. მაშინ მათგან ყველაზე დიდი, რომელიც ვიდინის რაიონში აღინიშნა, 5 კმ სიგრძისა იყო. ამჟამად კოზლოდუის უახლოვდება უკვე 15-კილომეტრიანი ლაქა. ამას, სხვათა შორის, შეიძლება მოჰყვეს კოლოსალური ზიანი ევროპის უნიკალური კომპლექსის დუნაის დელტისპირეთის ეკოლოგიისათვის.

მიამიტობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ არც ნატოს წარმომადგენლები და არც ალიანსის აქციების მონაწილე სახელმწიფოების მთავრობები არ უწევენ ანგარიშს თავიანთი მოქმედების ეკოლოგიურ შედეგებს (კერძოდ, „ექსპრეს-ქრონიკის" კორესპონდენტთან საუბრისას ნატოს მაკედონიის პრესცენტრის წარმომადგენელმა დირკ ვერდონკმა აღნიშნა, რომ იუგოსლავიის სარაკეტო სათბობის ქარხნების ნგრევისას ალიანსი ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ გარემოს არანაკლებ ზიანს მიაყენებდა იუგოსლავთა მიერ ამსაწვავაიანი მზა რაკეტების გამოყენება). მიუხედავად ამისა, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ჯერ კიდევ 16 აპრილს მიიღო მიმართვა ევროპის სახელმწიფოთა პარლამენტებისადმი, რომლებსაც მოუწოდა, ეკოლოგიური მოსაზრებებით შეეწყვიტათ იუგოსლავიის დაბომბვა. ევროპა გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დადგა, ნათქვამია მიმართვაში.

მართალია, ამ დოკუმენტში არ არის რაიმე კონკრეტული მონაცემები, რომლებიც კატასტროფის რისკს ახასიათებენ, მაგრამ იდეა პოპულარული გამოდგა. 19 აპრილს ამ თემაზე გამოვიდნენ სხვადასხვა მოხელეები: რუსეთის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის ფედერალური სამსახურის, ატომური ენერგიის სამინისტროს, ატომური ენერგეტიკის განვითარების უსაფრთხოების ინსტიტუტის, გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები. თუ ნატოს რაკეტები, განაცხადეს მათ, შემთხვევით მოხვდება იუგოსლავიის მეზობელი სახელმწიფოების ატომურ ელექტროსადგურებში — კოზლოდუიში (ბულგარეთი) 60 კმ-ზე იუგოსლავიის საზღვრიდან, აფშაში (უნგრეთი), 120 კმ, ან კრშკოში (სლოვენია) — 160 კმ, მაშინ ევროპას მეორე ჩერნობილი არ ასცდება. ამას ძნელია, არ დაეთანხმო. განსაკუთრებით უსიამოვნოა დაბომბვის ზონასთან კოზლოდუის ატომური ელექტროსადგურის სიახლოვე. 21 აპრილს ბულგარეთის ეკოლოგიურმა ორგანიზაციებმა თავიანთ მთავრობას მოსთხოვეს დაეხურათ ეს სადგური, მაგრამ ძნელია ვივარაუდოთ, რომ ნატოს ხელმძღვანელობას საჰაერო ოპერაციების დაწყებისას არაფერი სცოდნოდა ამ ატომური ელსადგურების არსებობის შესახებ. ვიქონიოთ იმედი, რომ ალიანსის რაკეტები ამ სადგურებს არ მოხვდება, წერს ზოია ორიახოვა ყოველკვირეულ „ექსპრეს-ქრონიკაში".

ფონდი ოქროს ჰყიდის



საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელმა მიშელ კამდესიუმ თქვა, რომ ვაშინგტონში მიმდინარე ფინანსთა მინისტრების შეხვედრის მონაწილეები პრაქტიკულად ერთხმად უჭერენ მხარს წინადადებას, გაიყიდოს ფონდის ოქროს მარაგის ნაწილი და ამოგებული ფული მოხმარდეს მსოფლიოს ულატაკესი ქვეყნების ვალების მძიმე ტვირთის შემსუბუქებას. თვით იმ წინადადებას, რომ მოაცილონ ღატაკ სახელმწიფოებს ვალების ნაწილი, არავინ ხდის სადავოდ, — დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ როგორ გააუმჯობესონ ვალების ჩამოწერის არსებული პროცედურა, რომელსაც კოორდინაციას უწევენ სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. განზრახულია, გაიყიდოს მილიარდ-ნახევარი დოლარის ოქრო.

კლინტონი იარაღისადმი კონტროლის გამკაცრებას მოითხოვს

იმ დროს, როდესაც ამერიკის კოლორადოს შტატში გრძელდება ქალაქ დენვერის სკოლაში დახვრეტილ მსხვერპლთა დასაფლავება, აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა წამოაყენა წინადადება, დაუწესდეს ახალი ფორმის კონტროლი კერძო მფლობელობაში არსებულ იარაღს. კერძოდ, შემოთავაზებულია, გაიზარდოს მინიმალური ასაკი იარაღის შესაძენად 18-დან 21 წლამდე, აგრეთვე, შემოღებულ იქნეს დაუდევარი მშობლებისათვის სასჯელი. პრეზიდენტმა კლინტონმა თქვა, რომ ყოველივე ამან შეიძლება ათასობით ბავშვის სიცოცხლე იხსნას. მაგრამ შეერთებულ შტატებს იარაღის მფლობელობის დიდი ხნის ტრადიცია აქვს და ძალზე ძნელი იქნება, დაარწმუნო ხალხი ამ წინადადებების მიღების მიზანშეწონილებაში. ბი-ბი-სის კორესპონდენტის თქმით, კლინტონის წინადადებებს არ მიიჩნევენ რადიკალურად, მაგრამ ბევრი კონგრესმენიც კი კატეგორიული წინააღმდეგია იარაღის მფლობელობის წესების გამკაცრებისა.

რას წერს რუსეთის პრესა

მოსკოვის გაზეთები განმარტავენ ამ დღეების მთავარ მოვლენას — ბორის ბერეზოვსკისათვის ბრალდების წაყენებასა და დაკითხვას გენერალურ პროკურატურაში. **„კომერსანტი"** აქვეყნებს სტატიას, რომლის სათაურადაც მოჰყავს ბორის ბერეზოვსკის სიტყვები „ახლა არაფრად არ ვღირვარ". ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ უკვე წარმოადგინა თავისი იმ სიტყვების დოკუმენტური მტკიცებულება, რომ ეს „პოლიტიკური საქმეა". ეს პრიმაკოვის სულისკვეთებაა, „დაპატიმრებისა და არგაშვების სულისკვეთება".

მრავალი გაზეთი კომენტარს უკეთებს სპორტის ეროვნული ფონდის ვიცეპრეზიდენტის ბორის ფედოროვის სიკვდილს. ოფიციალური მონაცემებით, იგი გულის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მეწარმის სკანდალურ პოპულარობას, რომელსაც თავს დაესხნენ და რომელიც სისხლისსამართლებრივ დევნაში იმყოფებოდა, პრესა საბოლოო ანგარიშით უნდობლობით მოეკიდა ბორის ფედოროვის სიკვდილის ოფიციალურ ვერსიას.

მასალაში „ვის აძლევს ხელს ბორის ფედოროვის სიკვდილი?" **„კომსომოლსკაია პრავდა"** აქვეყნებს საკუთარ გამოძიებას თემაზე: „ვინ იყო სინამდვილეში ბორის ფედოროვი სპორტში და კომერციაში". არაოპტიმისტურია, აგრეთვე, ფედოროვის ბოლო ინტერვიუ, რომელიც მან სიკვდილის წინ მისცა გაზეთ „კომერსანტს". „ალბათ, კიდევ მესვრიან. ამ თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანას ხსნა არა აქვს. თუ მიღებულია გადაწყვეტილება, იგი შესრულდება", — ამ სიტყვებით მთავრდება მისი ინტერვიუ.

პრესაში მთავარი საერთაშორისო თემა კვლავ ბალკანეთის კრიზისია, უფრო ზუსტად კი, ნატოს მზადება იუგოსლავიაში სახმელეთო ოპერაციისათვის. „იუგოსლავიის საზღვაო ბლოკადა გამოიწვევს ნატოს კონფლიქტს მოსკოვთან", ასეა დასათაურებული მასალა **„იზვესტიაში"**, რომელშიც განხილულია იუგოსლავიაში შეჭრის შესაძლო გეგმები.

„ჩვენს თვალწინაა მესამე მსოფლიო ომის დაწყების სცენარი", — მიაჩნია ცნობილ მწერალს ვლადიმერ ვოინოვიჩს, ეროვნებით სერბს, მისი თვალსაზრისი გამოქვეყნებულია **„მოსკოვსკიე ნოვოსტიში"**.



გასულმა შაბათ-კვირამ მთელი მსოფლიოს ფინანსისტებს სენსაცია დაატეხა თავს, წერს **„კომერსანტი"**, ცნობილმა საერთაშორისო ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთაურმა მიშელ კამდესიუმ განაცხადეს, რომ „მსოფლიო ბაზრების ორი წლის კრიზისი უკვე მთავრდება". მხედველობაში ჰქონდათ კრიზისი, რომელმაც მოიცვა მეტი წილი განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები. მაგრამ, გაზეთ „კომერსანტის" აზრით, სოროსასა და კამდესიუს განცხადება სულაც არ ნიშნავს, რომ კრიზისი დაძლეულია რუსეთშიც. ავტორიტეტიან ფინანსისტთა დასკვნები არ ითვალისწინებდა ჩვენს ქვეყანას, წერს „კომერსანტი". სოციოლოგებმა, გაზეთის თხოვნით, გადაწყვიტეს, გაერკვიათ, თუ რა დამოკიდებულება აქვთ რუსეთელებს ეკონომიკური კრიზისისადმი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ მოქალაქეებს კრიზისის არ ეშინიათ და გამოკითხულთა ნახევარი მოითხოვს რეფორმების განგრძობას.



„იზვესტიის" ჟურნალისტები „ბირთვული იარაღის კომპლექსის განვითარების საკითხებისადმი" მიძღვნილი უშიშროების საბჭოს სხდომის ვადების გადატანას უკავშირებენ რუსეთის თავდაცვითი დოქტრინაში კორექტივების შეტანის აუცილებლობას. რედაქციის ცნობებით, რუსეთის „ბირთვული ტრიადის" მთავარსარდალთა წინადადება ეხება ბოლო საბჭოთა სერიების სტრატეგიულ სახელმწიფოთა შეიარაღების, კერძოდ, წყალქვეშა ავიამზიდების ექსპლოატაციისა და მოდერნიზაციის ვადების განგრძობას.

რუსეთი და ნატოს ნავთობის ემბარგო

ნატოს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ თავი აარიდა პასუხს კითხვაზე, აპირებენ, თუ არა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძალები, შეაჩერონ იუგოსლავიისაკენ მიმავალი რუსეთის გემები, თუ რუსეთი არ ცნობს იუგოსლავიის სამოკავშირეო რესპუბლიკაში ნავთობპროდუქტების მიწოდების შეწყვეტისათვის ნატოს მოქმედების უფლებამოსილებას.

ეი-ბი-სის ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში სოლანამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე „ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობა ყველა საშუალებას ცდის, რათა ემბარგოს დაცვა გარანტირებული იყოს არა მარტო ნატოსა და ნატოს მეგობარი სახელმწიფოების, არამედ სხვა ქვეყნების მიერაც".

„თუ ეს ემბარგოა, იგი ყველას ეხება", — თქვა ნატოს გენერალურმა მდივანმა. იუგოსლავიის გარშემო არსებული სიტუაციის მოწესრიგების საკითხში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ვიქტორ ჩერნომირდინის განცხადება, რომ „ჩვენ ადვილად შეიძლება აღმოვჩნდეთ მესამე მსოფლიო ომის ქარცეცხლში, თუ ვერ გამოვნახეთ საერთო ენა მოლაპარაკების მაგიდასთან", სოლანამ არ მიიღო სერიოზულად.

„ვფიქრობ, რომ რუსეთის წარმომადგენლის ნათქვამს, აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო რეალობასთან, — თქვა მან, არავის არ სურს ამის მსგავსი რამ ჩაიდინოს, და მინდა მოგახსენოთ, რომ რუსები დრო და დრო ისეთ ფრაზებს წამოისვრიან ხოლმე, რომელთა მნიშვნელობაც რამდენადმე გადაჭარბებულად მოეჩვენება კაცს. საერთოდ კი ვმუშაობთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ ერთ მიზანს — შეწყდეს ეს საომარი მოქმედება, შეწყდეს ეს კონფლიქტი და ლტოლვილებს მიეცეთ კოსოვოში დაბრუნებისა და ცხოვრების საშუალება... სადაც ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა მშვიდობიანად იცხოვრონ".

ამ მიზნის მისაღწევად, ნატოს გენერალური მდივნის აზრით, საჭიროა, ბელგრადმა მთლიანად შეასრულოს ალიანსის ყველა მოთხოვნა. ამასთან დაკავშირებით, მან ეჭვი გამოთქვა, რომ ნატომ შეწყვიტოს დაბომბვა და ეს შეიძლება იყოს პირობა იმისა, რომ მოლაპარაკება დაიწყოს კოსოვოს პრობლემის მოწესრიგების შესახებ.

„ვფიქრობ, ეს შეუძლებელია, — განაცხადა სოლანამ. — ჩვენ ვერ შევწყვეტთ დაბომბვას, სანამ კონკრეტულად არ დავრწმუნდებით, რომ პრეზიდენტი მილოშევიჩი ასრულებს იმ ხუთ პუნქტს, რომლებიც მას წაუყენა საერთაშორისო გაერთიანებამ".

უპასუხა რა კითხვას კოსოვოს სიტუაციის დიპლომატიური გადაწყვეტის მიღწევაში რუსეთის მონაწილეობის შესახებ, ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საერთო გუნდში რუსეთის ყოფნა პოზიტიური მომენტი იქნებოდა.

„რუსები სტრატეგიულად ჩვენთან იყვნენ (გადაწყვეტის ძიებისას) კოსოვოს კრიზისის დროს, — თქვა მან. — ისინი ჩამოსცილდნენ ჩვენს პოლიტიკას იმ მომენტში, როცა დავიწყეთ სამხედრო მოქმედება. მე ნამდვილად დიდი იმედი მაქვს, რომ ისინი დაუბრუნდებიან სტრატეგიულ შეთანხმებას, რომელიც დავდეთ მანამ, სანამ დავიწყებდით სამხედრო აქციას".

ხოლო წამყვანის პირდაპირ კითხვას, საჭიროა თუ არა რუსეთის მონაწილეობა ამ პროცესში, ნატოს ხელმძღვანელმა უარყოფითად უპასუხა.

„არა, სინამდვილეში არცთუ ისე საჭიროა იმ თვალსაზრისით, რომ არ არსებობს ისეთი რამ, რომ ურუსებოდ ვერ შევძლოთ თავის გართმევა. მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რუსები ჩვენთან ერთად ყოფილიყვნენ", — განაცხადა სოლანამ.

საყოველთაო არჩევნების შედეგები

თურქეთში 18 აპრილს გამართულ ვადამდელ საყოველთაო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ოფიციალურად რეგისტრირებული 37,5 მილიონიდან 32,5 მილიონმა ამომრჩეველმა, იტყობინება ცენტრალური საარჩევნო კომისია. ეს რესპუბლიკის 63-მილიონიანი მოსახლეობის აქტიურობის თავისებური რეკორდია.

კომისიის მიერ გავრცელებული წინასწარი მონაცემების თანახმად, პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა პრემიერ-მინისტრის ბულენთ ეჯევითის დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ, რომელმაც ხმების 22,1 პროცენტი მოიპოვა. მას მოსდევს დევლეთ ბახჩელის მემარჯვენე ნაციონალისტური მოძრაობის პარტია ხმების 17,9 პროცენტით. მესამე ადგილზეა რეჯაი კუტანის სათნოების პარტია, რომელმაც ხმების 15,4 პროცენტი მოიპოვა. მეოთხე და მეხუთე ადგილები გაიყვეს მესუთ ილმაზის მამულის პარტიამ და თანსუ ჩილერის სწორი გზის პარტიამ, შესაბამისად, ხმების 13,2 და 12,0 პროცენტით.

არჩევნების საბოლოო შედეგებს მაისის დამდეგს გამოაცხადებენ. ახალი მოწვევის 550-ადგილიანი პარლამენტის მუშაობის დაწყების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, როგორც მოსალოდნელია, ბულენთ ეჯევითს, როგორც გამარჯვებული პარტიის ლიდერს, დაავალებს, ჩამოაყალიბოს მთავრობა. მეთვალყურეთა აზრით, იგი შეიქმნება დემოკრატიული მემარცხენე პარტიის — ნაციონალისტური მოძრაობის პარტიისა და მამულის პარტიის კოალიციის საფუძველზე. მინისტრთა ასეთი კაბინეტი ადვილად მიიღებს ნდობის ვოტუმს მეჯლისში.

იქნება პირველი ინდური ატომური წყალქვეშა ნავი

ჩინაის მეგაპოლისის (მადრასი) რაიონში კალაპაკამას ატომური კვლევის ცენტრში დასრულდა ინდოეთის პირველი ატომური წყალქვეშა ნავისათვის ენერგეტიკური დანადგარის სასტენდო გამოცდების დაწყებისათვის მზადება.

მეცნიერთა განცხადებით, ბირთვული რეაქტორის გამოცდები შეიძლება ნებისმიერ დროს დაიწყოს. ექსპერიმენტების წარმატების შემთხვევაში მუმბაის გემთსაშენში 2002 წელს დაიწყება ინდოეთის ატომური წყალქვეშა ნავის მშენებლობა. ატომური წყალქვეშა ნავის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შეყვანა ინდოეთს საშუალებას მისცემს, გახდეს ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც არ შედის ატომური წყალქვეშა ფლოტის მქონე ბირთვულ სახელმწიფოთა ხუთეულში. ატომური წყალქვეშა ნავის შექმნის პროექტის 1976 წელს დაწყებული განხორციელება ინდოეთში ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო მოვლენაა. რესპუბლიკაში ატომური წყალქვეშა ნავის შექმნის ჟურნალისტებისათვის შეტყობინება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შარშან წლის დამლევს გადააყენეს ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი ამირბარი ბჰაგვატა. ამასთან, არსებული ცნობებით, ამ დროისათვის პროექტის შესრულებას მოხმარდა 20 მილიარდი რუპია (დაახლოებით 500 მილიონი დოლარი). ადგილობრივი პრესის მონაცემებით, ინდოეთის პირველი ატომური წყალქვეშა ნავი კონსტრუქციით წააგავს ატომურ სატორპედო „ჩარლის" ტიპის სუბმარინს (ნატოს კლასიფიკაციით), რომელიც ყოფილმა საბჭოთა კავშირმა იჯარით გადასცა ინდოეთს. ინდოეთის დამპროექტებლები კარგად იცნობენ ამ წყალქვეშა ნავის ტექნიკურ და კონსტრუქციულ თავისებურებებს, რომლის წყალწყვა 5 ათას ტონას შეადგენს, მაგრამ მათთვის ბოლო დრომდე პრობლემებს ქმნიდა ატომური წყალქვეშა ნავის რეაქტორის კონსტრუქცია, რომლის დეტალებსაც რუსეთი საიდუმლოდ ინახავდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად.



ახლა, როგორც თქვიან, ინდოეთის სპეციალისტებმა შეძლეს დაეძლიათ ატომური წყალქვეშა ნავის სიდიდით პატარა ატომური რეაქტორის შემუშავების სიძნელეები, რომელიც ინდოეთის მთავრობასთან არსებული ატომური ენერგიის დეპარტამენტის მეცნიერებმა შექმნეს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

თვალსაზრისი

ვიდრე სამართალდამცავი მექანიზმი დადამბლავდება

საგამოძიებო და „დამხმარე“ ფუნქციები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს

სადამდე ვრცელდება მომკვლევის კომპეტენცია?

67-ე მუხლის თანახმად, მომკვლევს (დავარქვათ ასე სიმოკლისათვის მოკვლევის მწარმოებელ ყველა სუბიექტს) გააჩნია გამომძიებლის ყველა უფლებამოსილება, გარდა შემდეგისა: ა) მისცეს პირი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში; ბ) შეადგინოს საბრალდებო დასკვნა; გ) გაასაჩივროს პროკურორის მითითება ზემდგომ პროკურორთან. შემდეგი პუნქტები („ე“ და „ვ“) **მას უკრძალავს მისცეს წერილობითი დავალებები საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ „მოკვლევის ორგანოებს“** (თვითონაც ხომ მოკვლევის ორგანოა!..), ან ჩააბას ისინი **საგამოძიებო** (კვლავ ზემოხსენებული კოდექსისეული დიხოტომია — „საგამოძიებო-საპროცესო“) მოქმედების ჩატარებაში“. რაც შეეხება გამომძიებლის უფლებამოსილებას (პუნქტი „თ“) „კანონით დადგენილი წესების დაცვით ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს (აქ უკვე გამოჩნდა — პირველად და, ვგონებ, უკანასკნელადაც! — კოდექსის მიხედვით რაღაც ახალი „აბსტრაქტულ-ირეალური“ ორგანო!.. — **ი. გ.**) მისცეს წერილობითი დავალება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებო“, — 67-ე მუხლის მე-3 ნაწილი საგანგებოდ აღნიშნავს — ეს მოკვლევის მწარმოებელზეც ვრცელდებაო! და მაშინვე კვლავ ჩიხში ვხვდებით: ზემოთ მოტანილ 65-ე მუხლში ხომ წერია, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს მოკვლევის ორგანოები (თანამდებობის პირი, დაწესებულების ხელმძღვანელი — პირადად ან მომკვლევის მეშვეობით) ატარებენო?! კოდექსი მეტს ამის თაობაზე არაფერს ამბობს, ხოლო ბუნდოვანება კვლავ რჩება: მაინც სად გადის „სადემარკაციო ხაზი“ მოკვლევასა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას შორის, ანუ, ბოლოს და ბოლოს „ვინ ვინ არის“?!

მოკვლევა და გამოძიება: მიჯნების ძიების სირთულეები (თემის გაგრძელება)

ამგვარივე „იკლიკანტური ელფერისაა“ მოკვლევა-გამოძიების „წყალგამყოფი ქედიც“, რაზეც ასეთი პასაჟიც მეტყველებს: გავიხსენოთ წერილის დასაწყისშივე ტექსტუალურად მოტანილი 66-ე მუხლის I ნაწილი. იგი ამბობს, რომ მომკვლევი მაშინაა უფლებამოსილი ჩაატაროს თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედება, თუ „რაიმე მიზეზით ამ მოქმედების ჩატარება არ შეუძლია გამომძიებელს“. სხვა შემთხვევაში მას საგამოძიებო მოქმედების ჩატარება (ან მასში მონაწილეობა) შეუძლია მხოლოდ გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნით. ერთი სიტყვით, მომკვლევი გამოძიების დამხმარე ფიგურაა და არა დამოუკიდებელი! მაგრამ როცა ვეცნობით 59-ე მუხლს, რომლისკენაც გვაგზავნის (მითითების წესით) 67-ე მუხლი, აშკარა ხდება, რომ მომკვლევს უფლება აქვს, მაგალითად, მოითხოვოს რევიზიის ჩატარება (პუნქტი „თ“), უზრუნველყოს საქმეში დამცველის მონაწილეობა (პ. „მ“), შეასრულოს ბრალდებულისა და დამცველის მოთხოვნები, შეაჩეროს ან შეწყვიტოს საქმის წარმოება და ა. შ. ყოველივე ეს **არანაირად არ „ჯდება“ ამავე კოდექსით მოკვლევისათვის გამოყოფილ ჩარჩოებში.** კერძოდ, 65-ე მუხლის მე-9 ნაწილით მოკვლევის ორგანო ვალდებულია **საქმე გადასცეს გამომძიებელს მისი აღძვრიდან არაუგვიანეს 7 დღისა,** ხოლო პირის ეჭვმიტანილად დაკავებისას — დაკავების ოქმის **შედგენიდან (?!) 24 საათის განმავლობაში,** ამასთან, პროკურორმა შეიძლება დაუწესოს უფრო შემჭიდროვებული ვადაც (ამ დებულებას რატომღაც კვლავ იმეორებს 270-ე მუხლის I პუნქტი). საკითხავია, როგორ **მოასწრებს** იგი ამ ვადაში ან რევიზიის ჩატარებას, ან საქმის შეჩერებას (კოდექსის 29-ე, რომლითაც დადგენილია ხანგრძლივი ვადები, და 47-ე თავი, რომლის მუხლებიდანაც ამოსაღებია სიტყვა „მომკვლევი“, ამას ფაქტობრივად გამორიცხავს), ან კიდევ შეწყვეტას, რაც დასაშვებია მხოლოდ გამოძიების ამოწურვის შემდეგ (პროცედურა განერცობილად იხ. კოდექსის 48-ე თავში). ყოველივე ეს მე აწ უკვე მოძველებული წესის რუდიმენტი მგონია, რომელიც მოკვლევას ითვალისწინებს, როგორც დასრულებულ „მინი-გამოძიებას“, რომლის შემდეგაც საქმე სასამართლოში წარიმართება!... რაც შეეხება ბრალდებულსა და მის დამცველზე საუბარს, საერთოდ გაუგებრობად მიმაჩნია, რადგან ამავე კოდექსის 59-ე და 67-ე მუხლებით, მომკვლევს ხომ საერთოდ არა აქვს პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის უფლებამოსილება!.. ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმ ერთადერთი ლოგიკური დასკვნის გასაკეთებლად, რომ ახალ საპროცესო კოდექსში დანაშაულთა მოკვლევის პროცედურის რეგულირებასთან დაკავშირებული მუხლები მთლიანად უნდა გადაისინჯოს, — დაზუსტდეს და „დაიწმინდოს“.

აქა ამბავი ერთ ჯამში ჩაყრილი „მაკრო“ და „მიკროდაწესებულებებისა“

ზემოთ ვნახეთ, რომ საპროცესო კოდექსი „დაწესებულების“ ცნების ქვეშ მოიხსენიებს: ა) სამხედრო ნაწილებს და შენაერთებს; ბ) სამხედრო დაწესებულებებს (ალბათ, სასწავლო, კვლევით და მისთანა „დამხმარე“ პროფილის ობიექტებს გულისხმობენ); გ) ნაოსნობაში მყოფ საზღვაო ხომალდს; დ) სასჯელაღმსრულებით დაწესებულებებს; ე) საგამოძიებო იზოლატორებს, ბოლო ორი დაწესებულება შედიოდა და ჯერჯერობითაც შედის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, როგორც, ასე ვთქვათ, „მესამე ეშელონის“ ქვედანაყოფი, ამიტომ გაუგებარია, თუ რატომ არ მოათავსა იგი კანონმდებელმა ამ სამინისტროს „ორგანოებსა და ქვედანაყოფებში“ (პ. „ა“), რატომ გამოყო ცალკე პუნქტად. რაც შეეხება საზღვაო ხომალდს, იგი, საბაზრო ურთიერთობის პირობებში, შეიძლება იყოს (და მეტწილად არის კიდეც) ჩვეულებრივი სარეწი და სავაჭრო გემი, ანუ სამეწარმეო წარმონაქმნი ან მისი „ელემენტი“. ამდენად, კანონით მას „დაწესებულება“ ვერ დაერქმევა და, რაც მთავარია, ამ კერძო სტრუქტურის ხელმძღვანელის (კაპიტნის) მიერ მოკვლევის სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულების მართლზომიერებაც ფრიად საჭოჭმანო ხდება!..

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ასეთი ერთობ უხერხული **ტერმინოლოგიურ-**ცნებითი პასაჟის გამოც. კოდექსის 55-ე მუხლი პროკურატურას უწოდებს სასამართლო ხელისუფლების **დაწესებულებას** (რაც მისი „ბრალი“ სულაც არაა — სამწუხაროდ, ეს სახელდება კონსტიტუციიდან მომდინარეობს). ჩემი აზრით, გაცილებით სჯობდა, რაკი პროკურატურისათვის ტრადიციული ტერმინი „ორგანო“ ვერ გაიმეტეს, ბალტიისპირეთის ქვეყნებივით „ინსტიტუცია“ მაინც ეწოდებინათ! თორემ რა გამოდის: კოდექსი დაწესებულებას უწოდებს ამხელა დამოუკიდებელ სამართალდამცავ ორგანოსაც და ერთ-ერთი უწყების სტრუქტურულ ერთეულსაც (ქვედანაყოფსაც), ან სულაც გაურკვეველი სტრუქტურისა და კუთვნილების „საზღვაო ხომალდსაც“, სადღაც შავ ზღვაში საცოდავი ქაფშიის დასაჭერად რომ არის რამდენიმე ათეულ კილომეტრზე შესული!..

გვჭირდება თუ არა ამდენი „ორგანოს ორგანო?“

დარწმუნებული ვარ — არა! გამოსავალი კი, ძალზე მოკლედ რომ მოგახსენოთ, კოდექსში გამოყენებული (ძალად გართულებული!) სქემის გამარტივებაშია. გამარტივებული სქემა კი, ძირითადად, ხაზებში ასეთად წარმომიდგენია (დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, „ტექნიკის საქმეა“ გახლავთ):

მოკვლევას აწარმოებს მომკვლევი, რომელიც არის საამისოდ სპეციალურად გამოყოფილი (უფლებამოსილი) თანამდებობის პირი (შეიძლება თვითონ ხელმძღვანელიც). იგი მუშაობს სახელმწიფო ორგანოში (სტრუქტურაში), რომელიც კოდექსით (მუხ. 66) უფლებამოსილია აწარმოოს მოკვლევა (ანუ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებათა ერთობლიობა) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულთა საქმეებზე. ეს მას ევალება (და უფლებაც აქვს) აკეთოს მხოლოდ მაშინ, როცა რაიმე მიზეზით ამ მოქმედებათა ჩატარება არ შეუძლია გამომძიებელს ან პროკურორს, რომელთაც ყველა შემთხვევაში დაუყოვნებლივ ატყობინებენ მომხდარი დანაშაულის შესახებ. მომკვლევის უფლებამოსილების განსაზღვრისას გამომძიებლის უფლებამოსილების მარეგულირებელ 59-ე მუხლზე კი არ უნდა მიეთითოს, არამედ ისინი უნდა ჩამოითვალოს ცალკე, რადგან საკანონმდებლო ტექნიკის ეს ცნობილი ხერხი (მითითება სხვა ნორმაზე) აქ, როგორც დავინახეთ, არ გამოგვადგა და ვერც გამოგვადგებოდა მოკვლევის მეტისმეტად მრავალი სპეციფიკური ნიუანსის გამო. ამით „ორგანოს ორგანოს“ ოლიმპური პრობლემაც მოიხსნებოდა და „ორგანო არის პირის“ ფორმულის უხერხულობაც.

ასევე გადასაკეთებელია მე-60 მუხლიც, რომელსაც ჰქვია „**საგამოძიებო ორგანოს უფროსი**“, სინამდვილეში კი იგი საგამოძიებო ქვედანაყოფის (სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელს გულისხმობს. შესაბამის უწყებათა ცენტრალური აპარატების დონეზე ამ ქვედანაყოფს (ერთეულს) ჰქვია: **ნაწილი** (პროკურატურაში), **დეპარტამენტი** (შსს-ში), **სამსახური** (უშიშროების სამინისტროში). რამ სჭირდება საპროცესო კოდექსს ამგვარი ტერმინოლოგიური „სიჭრელე?“ განა ძნელია ამ და სხვა მსგავსი მიმართულებებით კოდექსის უნიფიცირება?!

P. S. რახან „საგამოძიებო ორგანოს უფროსი“ ვახსენეთ, უფლებამოსილებათა გამიჯვნის „მეზობელ“ კონტექსტში უნდა აღვნიშნო შემდეგიც: რამდენად ლოგიკური და სწორია, როცა „წარმომავლობითა“ და „მოწოდებით“ ოპერატიული (ოპერატიულ-სამძებრო) ფუნქციებისა და ამოცანების მქონე ზემოხსენებულ ორ სამინისტროში „მეთავსებით“ (როგორც გვარწმუნებენ — ერთიანი საგამოძიებო ორგანოების შექმნამდე, რაიც, ვინ იცის, როდის იქნება...) არსებულ საგამოძიებო სტრუქტურათა ხელმძღვანელს, კანონის თანახმად, ნიშნავს მინისტრი, ხოლო ასეთივე უწყების (სამინისტროს) სტრუქტურაში შემავალ საბაჟო და საგადასახადო (და კიდევ რამდენიმე) სტრუქტურის ხელმძღვანელს — პრეზიდენტი?! „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონში შესაბამისი კორექტივის შეტანა, ვფიქრობ, უცილობლად გაზრდიდა საგამოძიებო სამსახურთა სამართლებრივ და ფაქტობრივ დამოუკიდებლობას, აქედან გამომდინარე, პოზიტიური შედეგებით.

იური გაბისონია,
საქართველოს გენერალური პროკურატურის სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 110.

არასამთავრობო ორგანიზაციები

ადამიანის უფლებათა დაცვა კეთილშობილური საქმეა

1998 წლის 30 აპრილს დაარსდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის პრეზიდენტია საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი გიორგი თევზაძე.

— ბატონო გიორგი, ცნობილია, რომ ეს ორგანიზაცია ჩვენი უცხოელი მეგობრების ხელშეწყობით დაარსდა. კონკრეტულად ვინ გაფინანსებთ?

— ორგანიზაციის დაარსების პროცესში იყო საერთაშორისო დახმარება, მაგრამ მას შემდეგ ჩვენ არც არავინ გვაფინანსებს და არც გვინდა ვიღაცის ხელში აღმოვჩნდეთ, რადგანაც მაშინ თავისუფლები არ ვიქნებით.

— დღიდან დაარსებისა კონკრეტულად რა გააკეთეთ?

— 1992 წლიდან თავდაპირველად დაფუძნდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდი, რომლის ბაზაზე, როგორც ვთქვით, უცხოელი პარტნიორების ხელშეწყობით შარშან შეიქმნა ეს ორგანიზაცია, რომლის ცენტრალური ოფისი თბილისშია, ხოლო წარმომადგენლობები მალე გაიხსნება უცხოეთის ქვეყნებში.

პატიმართა ფონდმა საქართველოს მასშტაბით დააფუძნა რაიონული, საქალაქო, რეგიონული ორგანიზაციები, ჩამოაყალიბა მუდმივმოქმედი კომისიები. ორგანიზაციაში გაერთიანებულია ათასზე მეტი მოქალაქე, — პროფესიონალი იურისტები, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, ეკონომისტები, სოციოლოგები, ჟურნალისტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კონკრეტულად რა გავაკეთეთ? დავეხმარეთ ლაგოდეხის რაიონის და ლენინგორის ბავშვთა სახლებს პროდუქტებით და განსაცმლით, ბათუმის №3 საგამოძიებო იზოლატორში და გეგუთის კოლონიაში ჩავიყვანეთ ექიმთა ჯგუფი და ჩავიტანეთ მედიკამენტები, ბათუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტებსაც კვების პროდუქტებით გავუმართეთ ხელი. მოვინახულეთ თბილისის ქალთა კოლონია და ა. შ. ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ორგანიზაციის იმერეთის, აჭარის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული და რაიონული განყოფილებები.

1997 წელს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდის გამგეობამ დააწესა საპატიო სიგელი და ოქროს მედალი იმ ადამიანის უფლებების დამცველთათვის, რომლებმაც ხელი შეუწყვეს თითოეული მოქალაქის, მათ შორის პატიმრების უფლებათა დაცვას. პირველი საპატიო სიგელი და ოქროს მედალიონი მიენიჭა ჩვენს ეროვნულ გმირს, 80-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, ადამიანის უფლებებისათვის უშიშარ მებრძოლს მერაბ კოსტავას (გარდაცვალების შემდეგ). ჯილდო გადავეცით მერაბის დედას, ქალბატონ ოლღა დემურია-კოსტავას. ჯილდო ინახება კოსტავას სახლ-მუზეუმში.

ჩვენს ორგანიზაციაში შემოდის განსასჯელთა და მსჯავრდებულთა განცხადება, რომელსაც იხილავს შესაბამისი მუდმივმოქმედი კომისია. განხილვის შემდეგ მივმართავთ შესაბამის ინსტანციებს რეაგირებისათვის და აგვყავს კონტროლზე.

— პრაქტიკული შედეგი როგორია, თქვენს მოთხოვნებს ითვალისწინებენ თუ არა ოფიციალური ორგანიზაციები?

— თავდაპირველად ვსწავლობთ შემოსული განცხადებების ობიექტურობას, შემდეგ მივმართავთ შესაბამის ინსტანციებს. საბედნიეროდ, სამთავრობო სტრუქტურებიდან ჩვენს შუამდგომლობებზე ძირითადად დადებითი პასუხები მოდის.

— დაგვისახელეთ რამდენიმე კონკრეტული ფაქტი, რომლებმაც თქვენი არსებობა გაამართლა.

— ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში თავისი ადგილი და პრიორიტეტი აქვს ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათ მეხუთე ხელისუფლებას უწოდებენ... ამასწინათ განცხადებით მოგვმართა მოქალაქე ირაკლი ჯორჯიკიამ, რომელიც იმყოფებოდა თბილისის №1 საგამოძიებო იზოლატორში. ის აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს იმ მოტივით, რომ იგი, თურმე, ირიცხებოდა როგორც ძებნილი პირი. გაირკვა, რომ ჯორჯიკია იბრძოდა აფხაზეთში. ერთხელ ის აუცილებელ საქმეზე ახლობელთან ჩავიდა სამტრედიის რაიონში.

პოლიციამ ინფორმაცია მიიღო, რომ მას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი... შემდეგ ჯორჯიკია ისევ დაბრუნდა აფხაზეთში საომრად. მაგრამ მასზე უკვე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონოდ ტარებისათვის. მალე ამნისტიის საფუძველზე სასამართლომ ის გაათავისუფლა. ჯორჯიკია დაბრუნდა თბილისში. აქ ის კვლავ დააკავეს აფხაზეთის თანამშრომლებმა და მოათავსეს №1 იზოლატორში. სწორედ ამ იზოლატორიდან მივიღეთ მისი განცხადება.

ჩვენ შევისწავლეთ ამ პიროვნების ბედი და გავათავისუფლებინეთ.

კიდევ ერთი ფაქტი:

განცხადებით მოგვმართა თბილისის კრწანისის რაიონის პოლიციის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორმა ნანა წიკლაურმა, რომელიც უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან. ჩვენ დასაბუთებული თხოვნით მივმართეთ შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს და წიკლაური აღადგინეს თანამდებობაზე.

მსგავსი ფაქტი მრავალია.

— როგორ მიჯნავთ მოქალაქეთა უფლებებს პატიმართა უფლებებისაგან?

— დღეს, როდესაც ხალხი სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველია, როდესაც მოზარდს ზოგჯერ ფუნთუშის მოპარვისათვის აპატიმრებენ, როდესაც თვეობით ხელფასებსა და პენსიებს ვერ ვღებულობთ, ადამიანის უფლებათა დაცვის სრულ გარანტიებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ ვცდილობთ გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების სამართლებრივი დონის ამაღლებას, თითოეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და მოვალეობების დაცვას. ამ ურთულესი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც უნდა თქვან თავიანთი კომპეტენტური სიტყვა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა შევასრულოთ.

— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— შემუშავებული გვაქვს პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს მსჯავრდადებულთა ჩასახლების ადგილებში პატიმართა დასაქმებას, მათი სოციალური პრობლემების გადაჭრას, უფლებების დაცვას. ჩვენმა პროექტმა გაიმარჯვა გაეროს კონკურსში. ახლა ეს გეგმა გვინდა გავაცნოთ სახალხო დამცველს დავით სალარიძეს. ვაგრძელებთ თანამშრომლობას უცხოელ პარტნიორებთან. საერთაშორისო ორგანიზაციის კოორდინატორია საქართველოს დიპლომატიური აკადემიის პრორექტორი, პროფესორი თამარ ცინცაძე, ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი სოსო ცინცაძე. ჩვენს ორგანიზაციაში თანამშრომლობენ სხვა პროფესიონალებიც. საქმე ნელ-ნელა მიდის წინ. ჩვენი საერთაშორისო ორგანიზაცია მალე უფრო მეტ ადამიანს დაეხმარება.

უსამართლოდ დაჩაგრულ, გაჭირვებულ ადამიანებზე ზრუნვა, ბუნებრივია, კეთილშობილური საქმეა. ჩვენც გვჯერა და გვწამს, რომ კარგ საქმეს ვემსახურებით.

ესაუბრა
ნანა სულავა.

პოლიცია

2 მილიონი ყალბი დოლარი...

პოლიციის ძალისხმევა რომ არა, რას უქადდა იგი საქართველოს ეკონომიკასა და მოსახლეობას?!

ანზორ კოზაევმა პისტოლეტი იშიშლა, მაგრამ, როგორც კი გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლებმა გამაფრთხილებელი სროლებით ავტომატები აკაკანეს, კოზაევიცა და დანარჩენი სამი ბოროტმოქმედი მორჩილად დანებდნენ სამართალდამცავებს.

ყალბი ვალუტის გამსაღებელთა გამოვლენისა და დაკავების ოპერაციას ხელმძღვანელობდა კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი კახა ბაკურაძე, რომელმაც ბევრჯერ გამოიჩინა თავი ექსტრემალურ სიტუაციაში საზრიანი და გაბედული მოქმედებით.

ისე, როგორც ყალბი ვალუტის რეალიზაციის აღკვეთის წინა ორ ოპერაციაში, ერთხელ კიდევ გამოავლინეს მაღალი პროფესიონალიზმი კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ, პოლიციის პოლკოვნიკმა კობა კობიაშვილმა, ეკონომიკური დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ფარეიზ ქირათელიძემ, მისმა მოადგილემ მერაბ მელუამ, ყალბი ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და რეალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსმა მალხაზ ლიპარტიამ, მისმა მოადგილემ მერაბ ქუთათელაძემ, უფროსმა ინსპექტორებმა მერაბ აბულაშვილმა, მერაბ ნეფარიძემ, გოგი ბაღდავაძემ, ინსპექტორებმა გოჩა ჭელიძემ, დიმიტრი კურტანიძემ, ემილ გაბილაიამ, ზაზა ლაზვიაშვილმა, ლადო სოსელიამ, სერგო გიორგაძემ...

ყალბი ვალუტის კონტრაბანდისა და რეალიზაციის გამოვლენის და აღკვეთის ღონისძიებათა კომპლექსის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა შს მინისტრი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი კახა თარგამაძე, მათს პრაქტიკულად შესრულებას კი — შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პოლიციის გენერალ-მაიორი ავთანდილ ჩ[illegible]აიძე.

რაც მთავარია, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა კარგად ორგანიზებული, მობილური, სინქრონულად მოქმედი სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა ჯერ კიდევ „ჩანაფიქრის სტადიაზე“ მოიპოვოს ინფორმაცია ყალბი ვალუტის ჩვენს ქვეყანაში შესაძლო შემოტანისა და რეალიზაციის შესახებ, დააგვირგვინოს იგი ორგანიზებული ჯგუფის დადგენითა და დაკავებით.

საქართველოს შს სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჩრდილოეთ კავკასიიდან ყალბი ვალუტის კონტრაბანდის საკითხი მწვავედ დააყენა საქართველოსა და რუსეთის შს სამინისტროების გაერთიანებული კოლეგიის სხდომაზე. შემუშავდა ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებები. თუმცა, როგორც გაირკვა, გასაგები მიზეზების გამო, თვით რუსეთის სამართალდამცავებს ძალიან უჭირთ რეგიონში ყალბი ვალუტის დამამზადებლებთან ბრძოლა.

თებერვალ-მარტში ყალბი დოლარების დიდი პარტიების ამოღებასთან დაკავშირებით, საქართველოში ჩამოვიდნენ აშშ-ს ექსპერტები. აშშ შესაბამისი სტრუქტურები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაპირდნენ თანადგომას ყალბი ვალუტის კონტრაბანდასა და რეალიზაციასთან ბრძოლაში.

ამასთან, თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ყალბი ვალუტის რეალიზაციისა და მისი ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად მარტო პოლიციის ძალისხმევა არ არის საკმარისი. კერძოდ, შს სამინისტრომ შესაბამისი სტრუქტურების წინაშე მრავალჯერ დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ უცხოურ ვალუტას ემოძრავა მხოლოდ ბანკების მეშვეობით, მსხვილ გარიგებებზე ანგარიშსწორება მომხდარიყო ამ დაწესებულებებში, ვალუტის გადაცვლა ეწარმოებინათ ბანკებს, ან მათ მიერ ლიცენზირებულ და სათანადოდ აღჭურვილ გადამცვლელ პუნქტებს, რადგან ყალბი ვალუტა ძირითადად ვრცელდებოდა უკონტროლო და აღუჭურველი გადამცვლელი პუნქტების მეშვეობით. გადამცვლელი პუნქტების პრობლემა ძირითადად გადაიჭრა, მაგრამ ბანკების მეშვეობით უცხოური ვალუტის მიმოქცევის პრობლემა კვლავ მწვავედ დგას.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ ეკონომიკური დივერსია მარტო ყალბი ვალუტის შემოტანით როდი შემოიფარგლება. სხვა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან ცხინვალის გამოვლით დიდი რაოდენობით შემოდის კონტრაბანდული, განუბაჟებელი ნავთობპროდუქტები, ფქვილი, უაქციზო სიგარეტი, რითაც დიდი ზარალი ადგება საქართველოს ბიუჯეტს, სერიოზულ დარტყმას აყენებს ადგილობრივ წარმოებას და ბიზნესს. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების თანამშრომლებთან ერთად განხორციელებული რეიდებითა და სხვა ოპერატიული პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებით ასობით ამგვარი დანაშაული გამოავლინეს.

მაგალითად, 23 აპრილს შიდა ქართლის პოლიციის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა კონტრაბანდაში ამხილეს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის სოფელ ბესლანში მცხოვრები ვილიამ ჯიოევი, რომელმაც საბაჟოს გვერდის ავლით შემოიტანა 175 ტონა ბენზინი. ჯიოევის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ დივერსიას, უმეტეს შემთხვევაში, ხელს უწყობენ ჩვენივე მოქალაქეები. ამ დღეებში პოლიციამ ამხილა ათობით მოქალაქე, რომლებიც ეწეოდნენ რუსეთიდან, სომხეთიდან და ჯერჯერობით ჩვენს კონტროლს დაუქვემდებარებელი აფხაზეთიდან შემოტანილი უაქციზო სიგარეტის რეალიზაციას. ამ დღეებში ენგურის ხიდთან პოლიციამ დააკავა მოქალაქეები, რომლებსაც აფხაზეთიდან შემოჰქონდათ სხვა ქვეყნიდან შემოტანილი ათასობით კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

კონტრაბანდული და განუბაჟებელი პროდუქცია ხშირ შემთხვევაში გადაადგილდება სხვადასხვა მაკონტროლებელი სამსახურების უღირსი თანამშრომლების ხელშეწყობითაც.

ამ დღეებში შიდა ქართლის პოლიციის სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს აფხაზეთის რეგიონული საბაჟოს უფროსი ინსპექტორი ზაურ ბრეგვაძე, რომელმაც გორის რაიონის სოფელ ვარიანთან არსებულ საგუშაგოზე 1000 ლიტრი ბენზინისა და 600 ლიტრი დიზელის საწვავის განბაჟების გარეშე გაშვებისათვის ქუთაისში მცხოვრებ ნუგზარ ბოჭორიშვილს ქრთამის სახით გამოართვა 30 ლარი.

ყალბი ვალუტის, კონტრაბანდული ბენზინის, დიზელის საწვავის, უაქციზო სიგარეტის შემოტანა და რეალიზაცია აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობას. ამ ბოროტების აღმოფხვრაში სამართალდამცავებს თვით მოსახლეობა უნდა ამოუდგეს. მაშინ უფრო იოლი, და რაც მთავარია, შედეგიანი გახდება ეკონომიკურ დივერსიასთან ბრძოლა.

ვალერიან გოგოლაშვილი,
შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მრჩეველ-სპეციალისტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 110.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო

აცხადებს კონკურსს (ტენდერს) იაპონიის გრანტით მოწოდებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვადებით ნასყიდობის წესით რეალიზაციაზე (ფინური წარმოების 25 კომბაინი, ინგლისური წარმოების: 27 ტრაქტორი, 30 გუთანი, 15 სატრაქტორო მისაბმელი, 5 კულტივატორი, 5 სათესი, 5 დისკებიანი ფარცხი, 3 სასუქის გამფანტველი).

კონკურსში მონაწილეთა განცხადების მიღება წარმოებს მ/წლის 11 მაისის 18 საათამდე.

განცხადების გარდა კონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:

1. სასამართლოში და საგადასახადო ორგანოებში რეგისტრაციის საბუთი;
2. საგირავნო (საიპოთეკო) ან სხვა საგარანტიო საბუთები;
3. ცნობა ბანკიდან და საგადასახადო ინსპექციიდან ანგარიშისა და დავალიანების შესახებ;
4. წინადადება, რომელშიც გამოჩნდება საგარანტიო შესაძლებლობები გადახდისუნარიანობის შესახებ;
5. მონაცემები ტექნიკის შენახვის, რემონტისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ;
6. ცნობა მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის შესახებ (ფერმერებისათვის).

დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 41, ოთახი 516. ტელ: 93-37-65.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები გიწვევთ აუქციონებსა და კონკურსებზე

რაიონი	ობიექტი	საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარებში)
თბილისი	ს/ს თამბაქოს ფაბრიკა „ქართლის“ აქციათა პაკეტი (409876 ცალი აქცია, საწესდებო კაპიტალის 50,5%)	410000
მცხეთა	ს/ს „მინას“ (ქსნის მინის ტარის ქ-ნა) სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციათა პაკეტი (საწესდებო კაპიტალის 9,526%, 937313 ცალი აქცია)	982304
ბორჯომი	სახაზ. საწარმო „ინსპექტრანგროს“ ბალანსზე რიცხული კიდული სამგზავრო საბაგირო გზა „ბორჯომი-პარკ-პლატო“	5045
ასპინძა	ს/ს „ქართული ფილმის“ კინოფიკაციის სათაო შენობა (ფინური ბინა)	3560
ხაშური	სახაზ. საწარმო „ნობათის“ ხილის საცავი სოფელ ვაყაში	4122
	ყოფ. მრავალდარგოვანი მოიჯარე სახ. საწარმო „იმედის“ ბლოკის საამქრო ქ.ხაშური დემეტრე თავდადებულის ქ.	307
	ყოფ. მრავალდარგოვანი მოიჯარე სახ. საწარმო „იმედის“ მშალერის საამქრო ქ.ხაშური ვახტანგ გორგასლის ქ.	7332
	ს/ს „საკისარის“ საწესდებო კაპიტალში არშესული პურის საცხობი სოფ. ოსიაურში	900
	არასაცხოვრებელი ფართი 546 კვ.მ ქ.ხაშური ვახტანგ გორგასლის ქ.	10647
	ყოფ. მოსახლეობის საყოფ. მომსახურების სამმართველოს პავილიონი ქ.ხაშური სტალინის ქ.	439
	ყოფ. მოსახლეობის საყოფ. მომსახურების სამმართველოს პავილიონი (ფოტო-ატელიე) ქ.ხაშური თამარ მეფის ქ.	115
	ყოფ. მოსახლეობის საყოფ. მომსახ. სამმართ. გაქირავ. ბიუროს ფარდული ქ.ხაშური ვახტანგ გორგასლის ქ.	259
	ხორცკომბინატი ქ. ხაშური 9 აპრილის ქ.	33036
	სახაზ. საწარმო „ნობათის“ ბოსტნეულის საცავი	1188
ჭიათურა	ნინოშვილის ქ. №16-ში მდებარე 31,5 კვ.მ. არასაცხ. ფართი	565,8
	თხელიძის ქ.№43-ში მდებარე 40,4 კვ.მ. არასაცხ. ფართი	339,1
ნინოწმინდა	სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ყოფილი შენობა	900
	ყოფილი პ/ბანაკის შენობა	2388
	საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი	9167
	ბოსელი	773
	ბოსელი	773
	ბოსელი	3748
	საცხვარე	2370
	საცხვარე	2370
	მცირე საწარმო „ფარვანა“	106000
	ბუფეტი №2	1161
	ბუფეტი №3	1260
ვანი	შ.პ.ს. „შუამთის“ ტექნიკ.დასაყ. ფარდული	816
	შ.პ.ს. „შუამთის“ ფარდული მავთულზ.	412
	შ.პ.ს. „მუქედის“ მეცხ. ფერმის სარეანიმაციო შენობა	816

შენიშვნა: ნუსხაში მოყვანილი ობიექტების ღირებულება დაიფარება ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით.

კონკურსისა და აუქციონის წესით პრივატიზებული იქნება, აგრეთვე, ჭიათურის, ხაშურის, ნინოწმინდის, ტყიბულის და ვანის რაიონებში განლაგებული მცირეფასიანი სახელმწიფო ქონება.

საპრივატიზებო ობიექტებზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრეს“ 16 აპრილის №17-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

ფეხბურთი

ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

ჩაშხამებული „გედის სიმღერა"

ყველამ იცოდა, რომ ვლადიმერ **გუცაევი** ნორვეგიელებთან უმნიშვნელოვანესი გუშინდელი შესარჩევი მატჩის შემდეგ, შედეგის მიუხედავად, ოფიციალურად ეთხოვებოდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. ბიჭები მაქსიმალურად შეეცადნენ მთავარი მწვრთნელისთვის ღირსეული გაცილება მოეწყოთ, ერთ-ერთმა მათგანმა – თემურ ქეცბაიამ პირადი წყენაც კი დაივიწყა და ტრავმირებული მინდორზე გამოვიდა, მაგრამ რაღ გინდა – გუნდი ამჯერადაც უკვე ტრადიციადქცეულმა გუცაევისეულმა ექსპერიმენტებმა დალუპა. ვისაუბროთ ფაქტებით:



სტუმრები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ თბილისში მოსაგებად ჩამოვიდნენ და მიზნის მისაღწევად შესაბამისი ტაქტიკაც აირჩიეს – მათმა თავკაცმა თამაში სამი (!) თავდამსხმელით დაიწყო. ვინ დაუპირისპირეთ ინგლისის პრემიერლიგაში შესანიშნავი გამოსვლებით სახელგანთქმულ ფლო-სოლსკიაერ-ივერსენის მრისხანე ტრიოს? ნახევარი წლის განმავლობაში ტრავმებით გატანჯული, ლამის ნაადრევად დაინვალიდებული შეყილაძე და ამავე პერიოდში სათამაშო პრაქტიკას მოკლებული დიღავა. აღარაფერს ვამბობ იმ უსუსურ, გაუმართლებელ რისკთან დაკავშირებულ ნაბიჯზე, რომელიც „მწმენდელის" გარეშე, ერთ ხაზზე განლაგებას ითვალისწინებს. და ეს იმ დროს, როცა სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ ბუნდესლიგის „ფრაიბურგში" ერთ-ერთ გამოკვეთილ ფიგურად ქცეული ცქიტიშვილი და სკონტოელი სილაგაძე.

უნდა ვაღიაროთ, აგრეთვე, რომ ყველა მეტოქეს თითოთითო გოლს ჩვენი მეკარეები (ამჯერად ტოგონიძე) ჩუქნიან და მოიერიშეები თამაშს „მინუს ერთიდან" იწყებენ. იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი, ჯერ კიდევ უცნობი მწვრთნელი ამ პრობლემებს მაინც გადაჭრის.

ახლა კი ერთადერთი ნათელი წერტილის შესახებ. გოჩა ჯამარაულმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია. მისი ორი ძელზე მორტყმული ბურთი და ჯანაშიასთვის ხონჩით მირთმეული საგოლე გადაცემა მართლაც რომ მრავლისმეტყველია.

და მაინც, მორიგი შერცხვენის მიუხედავად, გინდ დაიჯერეთ, გინდა არა: ქვეჯგუფში სანუკვარი მეორე ადგილის დაკავების შანსი ისევ გვრჩება: გუშინ ლატვია-ალბანეთის შეხვედრა ფრედ – 0:0 დასრულდა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

სიდნეი — 2000

ვაი, სირცხვილო!

ქართულ-ნორვეგიული საფეხბურთო ოთხშაბათი მცხეთაში ამ ქვეყნების ჟურნალისტთა მატჩით დაიწყო. ლაშა დვალიშვილის (I არხის სატელევიზიო პროგრამა „საფეხბურთო მიმოხილვა"), კობა ინასარიძის (გაზეთი „სარბიელი") და მამუკა კვარაცხელიას (**სფფ** პრესსამსახური) გოლებს სტუმრებმა ერთით უპასუხეს – 3:1 და ახალგაზრდული ნაკრებების შესარჩევ შეხვედრაზე კარგი განწყობილებით გავემგზავრეთ. თურმე, ამაოდ – „შევარდენის" სტადიონზე სრული კრახი გველოდა. კიდევ კარგი, დამაგვირგვინებელ სტადიაში სკანდინავიელებიც მოიკოჭლებდნენ, თორემ ანგარიში 3:0-ზე გაცილებით სამარცხვინო იქნებოდა.

ყველაფერი უკანა ხაზის უპატიებელი შეცდომითა და ანდერსენის ზუსტი დარტყმით დაიწყო. შემდეგ კარგახანს ჩვენი გუნდი ყრუ დაცვით იგერიებდა მეტოქის გამუდმებულ იერიშებს, თუმცა, ბოლო წუთებზე სამართალმა პური მაინც ჭამა და რიისემ მეორე ბურთი უშუალოდ საჯარიმოდან გაგვიტანა. მასპინძელთა უსუსურობას წერტილი უკანასკნელ წამებზე ერთ-ერთი მათგანის საკუთარ კარში გატანილმა გოლმა დაუსვა – 0:3.

საერთოდ კი, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „ვიკინგები" იმდენჯერ დაგვაწყებინებდნენ თამაშს მოედნის ცენტრიდან, რამდენჯერაც მოისურვებდნენ. მარკო პაასის მოწოდებული აუტები რად ღირდა, რომლებიც ჭურაძის კართან შექმნილი პანიკური არეულობით მთავრდებოდა. აღარაფერს ვამბობ ჩრდილოელთა უაღრესად სახიფათო კუთხურებზე. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ახალგაზრდული ნაკრებების უთანასწორო დუელში „ვესახელა", დაცვის ბურჯად შერაცხული გიორგი დავითნიძე იყო. მისი ტრადიციადქცეული უხეშობა მეორე ტაიმის დასაწყისში მორიგი წითელი ბარათით აღინიშნა.

მოკლედ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ასეთი გუნდითა და თამაშით გაისად ოლიმპიურ სიდნეიში არაფერი გვესაქმება. გასაკვირი ის უფრო არის, ნაკრებს, რომელიც უბურთოდ მოძრაობა-გახსნა-გადაადგილებას საერთოდ არ იცნობს და მეტოქის კარისკენ ბურთის გაგზავნას რამდენჯერმე ახერხებს (ისიც ყოველგვარი ხიფათის გარეშე), შედეგს რომ ეთხოვეთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კალათბურთი

გმადლობთ, ბიჭებო!

საქართველოს კადეტთა ნაკრები ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს! წესით და რიგით, რჩეულთა დასკვნით ბატალიებს სლოვენიამ უნდა უმასპინძლოს, მაგრამ სადღეისოდ შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რამდენად მოხერხდება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე კალათბურთელთა ტურნირის მოწყობა, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

ახლა კი მოკლედ უკანასკნელი შესარჩევი მატჩების შესახებ. მეოთხე ტურში ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდები დამატებით დროში 4 ქულით გერმანელ თანატოლებთან დამარცხდნენ და სანუკვარი მიზნის მისაღწევად ბოლო შეხვედრაში აუცილებლად უნდა მოეგოთ მასპინძლებთან. ჩვენი ბიჭები საკუთარ თავზე ამაღლდნენ და კვიპროსელებს 33 (!) ქულით სძლიეს. ასე რომ, სამი გამარჯვება სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ელიტაში მოსახვედრად, სადაც ისეთმა გრანდებმა ვერ გაიკვლიეს გზა, როგორიცაა ლიტვა და იტალია. ჩვენი ქვეჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ აგრეთვე ესპანელი და ფრანგი კადეტები. ახლა კი გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას: გიორგი მარკოიშვილი (თსუ), დავით უგრეხელიძე, ბუბა ბერიშვილი, რევაზ თოდუა, ირაკლი კეიდია (სსუ), ნიკოლოზ ცქიტიშვილი, კონსტანტინე ტუღუში, გიორგი ჩაველიშვილი (სტუ), ბაჩანა სულაძე, ბადრი ნათობაძე, გიორგი მარხვაშვილი („მართვე"), შიო ხეცურიანი („დინამო"), ზაზა ფაჩულია („ულქერი").

სპორტი და მედიცინა

ბუნება — ჯანმრთელობის სამსახურში

ჰომეოპათია (**homeios** მსგავსი, **pathos** – ტანჯვა, ავადმყოფობა), ანუ ჰომეოთერაპია მკურნალობის სისტემაა. მას საფუძვლად უდევს პრინციპი – მსგავსის მსგავსით მკურნალობა. პირველი ჰომეოპათიური წამალი დაუმზადებია და გამოუყენებია ჰიპოკრატეს (ძვ. წ. აღ. 460-377). ჰომეოპათიის ფუძემდებლად კი გერმანელი ექიმი სამუელ ჰანემანი (1755-1843) ითვლება. მან 1796 წელს გამოაქვეყნა სტატია ექსპერიმენტების შესახებ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მკურნალობის ახალ მეთოდს. ეს წელი ითვლება ჰომეოპათიის დაარსების თარიღად.

ჰომეოპათიაში სამკურნალოდ იყენებენ მინერალური, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პრეპარატებს. სამკურნალოდ იხმარება იმ ნივთიერებათა მინიმალური დოზები, რომელთა დიდი რაოდენობა (ტოქსიკური დოზა) ჯანმრთელ ადამიანში გამოიწვევდა ამ დაავადების მსგავს სიმპტომებს. ამდენად, ჰომეოპათია მიმართულია არა კონკრეტული დაავადების სამკურნალოდ და მისი გამომწვევი ფაქტორების წინააღმდეგ, არამედ ორგანიზმის თავდაცვითი რეაქციების აღსადგენად და გასაძლიერებლად.

ჰომეოპათიას მომავლის მედიცინად თვლიან და იგი სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. ჩვენთან ჩამოყალიბებულია მეცნიერ-პრაქტიკოს ჰომეოპათთა ასოციაცია, რომელმაც ამას წინათ მორიგი სხდომა გამართა და აქტუალურ საკითხთა განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჰომეოპათიური პრეპარატების გამოყენებას სპორტსმენთა გამოსაჯანმრთელებლად. მეთოდის ფართო პროპაგანდის და პოპულარიზაციის მიზნით, გადაწყდა, გამოიცეს ბროშურა, რომელიც დახმარებას გაუწევს როგორც სპორტსმენებს, ასევე, იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევენ.

სხდომის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს მეცნიერ-პრაქტიკოს ჰომეოპათთა ასოციაციის პრეზიდენტს **გიორგი ნადარეიშვილს:**

– ჰომეოპათიური პრეპარატები განუსაზღვრელ შესაძლებლობებს იძლევა ადამიანის გამოსაჯანმრთელებლად. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ ტრავმების, მიკროტრავმების, ფსიქიკური მოშლილობის, ფიზიკური და ფსიქიკური გადატვირთვის დროს. რაც მთავარია, ამ პრეპარატებს არა აქვს უკუჩვენება. საკმაოდ ეფექტიანია ისინი რაქიტების და სხვა ანომალიური დარღვევების მოსახსნელად, ცხადია, მასაჟთან და კლასიკურ მეთოდებთან ერთად.

– სპორტსმენებს თუ მოუმართავთ დახმარებისთვის?

– არაერთხელ. ამ თვალსაზრისითაც საკმაო გამოცდილება დაგვიგროვდა. დახმარებას ვუწევთ კიოკუშინ კაი კარატეს სკოლის (პრეზიდენტი გურამ ბარაბაძე) წარმომადგენლებს, საქართველოს ნიჩბოსანთა ნაკრებს, აფხაზეთის კალათბურთელ ვაჟთა გუნდ „კოლხას", თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებს, რომელთა ტრავმები სპორტულს უთანაბრდება. ჰომეოპათიურ პრეპარატებს ვიყენებთ სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადებისთვის როგორც სტარტის წინ, ისე უშუალოდ შეჯიბრების დროს და შემდგომ პერიოდში.

მსურველებს შეგვიძლია შევთავაზოთ სადრენაჟო საშუალებები, რომლებსაც ორგანიზმიდან გამოჰყავს დატვირთვის შედეგად გამომუშავებული ტოქსინები, რაც თავისთავად ხსნის მაქსიმალური დატვირთვების დამანგრეველ გავლენას. არადა, ბევრი სპორტსმენი სწორედ ამის გამო ანებებს თავს სპორტს ნაადრევად.

სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოში სულ უფრო ხშირად იყენებენ ანაბოლურ პრეპარატებს, რაც, არცთუ ისე იშვიათად, სპორტსმენისთვის სავალალოდ მთავრდება. ჰომეოპათიას კი აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ავადმყოფობა გამოდევნოს ორგანიზმიდან.

– საიდუმლოებას თუ არ წარმოადგენს, გვითხარით, რომელ პრეპარატებს იყენებთ სპორტსმენთა სამკურნალოდ?

– ერთ-ერთი უმთავრესი გახლავთ ეგრეთ წოდებული მთის არნიკა (**Arnica Montana**). იგი არის ტრავმების, გადაღლილობის, გაციების, ტრავმისშემდგომი ფსიქიკური ნარჩენი მოვლენების მთავარი სამკურნალო პრეპარატი. **Arnica**-ს ძალიან ლამაზი, ყვითელი ყვავილი აქვს. იგი იზრდება მაღალ მთაში სილიციუმით მდიდარ ნიადაგზე. ამ მცენარისგან დამზადებულმა ჰომეოპათიურმა პრეპარატებმა საოცარი შედეგები მოგვცა. ერთ-ერთმა ქართველმა კარატისტმა ვარჯიშისას ფეხის არასწორი მობრუნებით კვირისთავი ამოიგდო, რის გამოც, საშინელ ტკივილს გრძნობდა, მყესები დაეჭიმა, სისხლი ჩაექცა, ფეხი შეუშუპდა, რადგანაც ტრადიციული ტრავმატოლოგიური მეთოდებით რეაბილიტაციას დიდი დრო დასჭირდებოდა, თან ეჭვქვეშ იდგა მისი შემდგომი სპორტული კარიერა, დახმარებისთვის ჩვენ მოგვმართა. პაციენტს არნიკას წვეთები და ამ პრეპარატით დამზადებული ჰომეოპათიური კომპრესები დავუნიშნეთ. უკვე მესამე დღეს მწვავე ტკივილები მოეხსნა, ხოლო ათი დღის შემდეგ ვარჯიში განაახლა. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და სპორტსმენი მუხლს მეტად აღარ შეუწუხებია.

მეორე ფაქტსაც გიამბობთ: აფხაზეთის ომის ერთ-ერთ მონაწილეს აფეთქების შედეგად მიღებულმა კონტუზიამ სკანირებული მეტყველება, პერიოდულად თავის ტკივილები და თავბრუსხვევა დატოვა. აქაც **Arnica**-სგან დამზადებული ჰომეოპათიური პრეპარატები გამოვიყენეთ. შედეგი სწრაფი და ეფექტიანი გამოდგა; პაციენტს ორიოდ კვირაში აღუდგა მეტყველება, თავბრუსხვევაც მოეხსნა, ერთი თვის შემდეგ თავის ტკივილებისგან განიკურნა...

დამშვიდობებისას ბატონმა გიორგიმ ერთი საიდუმლოც გამანდო: ცნობილ მოკრივეს – მუჰამედ ალის მინდა შევთავაზო **Arnica**-ს პრეპარატები. მოკრივის ახლანდელი მდგომარეობა თავის არეში მიყენებული ხშირი მიკროტრავმებით არის გამოწვეული. ამ შემთხვევაში კი არნიკა უებარი საშუალებაა. თუ სრულად ვერ განკურნავს, დარწმუნებული ვარ, საკმაოდ შეუმსუბუქებს მდგომარეობას...

„არგონავტების" შესახებ მითი გვაწვდის ცნობას, რომ უძველეს დროში კოლხეთი მდიდარი ყოფილა ისეთი მცენარეებით, რომლებისგანაც აიეტის ქალიშვილი მედეა (ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით, ტერმინი „მედიცინა" სწორედ მის სახელს უკავშირდება) ჯადოსნურ წამლებს ამზადებდა. ჰომეოპათთა დღევანდელი საქმიანობაც იმის დასტურია, რომ ადამიანთა სიჯანსაღის წყარო ბუნებაში უნდა ვეძიოთ.

ვაჟა დანელია.

„მხიარული სტარტები"

განწყობა და ხალისი

ვაკის მძლეოსნობის მანეჟში ერთობ ხალისიანი ასპარეზობა, ანუ როგორც ადრე უწოდებდნენ, „მხიარული სტარტები" გაიმართა – შეჯიბრებანი ტომარაში გაძრომაში, მუცლით ხოხვაში, სლალომით სირბილში და ა. შ. 100-ზე მეტი გოგო-ბიჭის ასპარეზობაში მთავარი იყო არა ქულები, წუთები და წამები, არამედ ის განწყობა და ხალისი, რამაც ასე გაახარა ნორჩები. ასპარეზობა მძლეოსნობის ექსპერიმენტულმა სკოლამ მოაწყო, მაგრამ, ვფიქრობთ, მხიარული სტარტები ყოველდღე რომ გაიმართოს ჩვენს სკოლებში და ბაგა-ბაღებში, იგი არასდროს მოსწყინდებათ ცეროდენა სპორტსმენებს.

ძიების საყურადღებოდ კი ვიტყვით, რომ ვაკის მძლეოსნობის მანეჟში წვიმა ჩამოდის და თუ რამე არ იღონეს, მერე და მერე გაჭირდება აქ წვრთნა – ვარჯიში, რომ არაფერი ვთქვათ ნორჩების ხალისიან და მხიარულ სტარტებზე.

ბესიკ გაბრიაძე.

სურათებზე: ასპარეზობენ მხიარული სტარტების მონაწილენი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

XXI საუკუნე

სტარტზე — მოსწავლეები

თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება დედაქალაქის მოსწავლეთა 53-ე სპარტაკიადა. სპორტის 25 სახეობაში პირველობისთვის ათივე რაიონის სპორტსმენები იბრძვიან. უკვე დამთავრდა ასპარეზობები რამდენიმე სახეობაში. ჭადრაკსა და ბატუტზე ხტომაში გამარჯვება იზეიმეს სამგორის რაიონის წარმომადგენლებმა, ანალოგიურ წარმატებას მიაღწიეს ჩუღურეთის რაიონის მოსწავლეებმაც შაშსა და ძიუდოში. პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიის მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: გია ბარბაქაძე (საბურთალოს რაიონი), მიხეილ ხომიზური (ჩუღურეთი), ვასილ კობიევი (ნაძალადევი), გიორგი სენაშვილი (საბურთალო), კობა ჯახველაძე (ჩუღურეთი), დავით შემაბერიძე, დავით ნატროშვილი (ორივე – გლდანის რაიონი), ლევან გუჯეჯიანი (ჩუღურეთი) და გიორგი კოროხაშვილი (სამგორი).

ბადმინტონისტთა შეჯიბრებაში საუკეთესონი იყვნენ ისნის რაიონის წარმომადგენლები, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში – მთაწმინდელები. თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური პირველობა გლდანელებმა მოიპოვეს, პირად ჩათვლაში კი იმარჯვეს: გოჩა ახალაძემ (გლდანი), კოკა კოტორაშვილმა (დიდუბე), რეზო მახარაშვილმა, შალვა ქუცნიაშვილმა (ორივე – ისნის რაიონი), დიმიტრი ველაშვილმა (გლდანი), გიორგი ქეთაშვილმა (ნაძალადევი), არჩილ გიგაურმა (გლდანი), მიხეილ ჩიქოვანმა (ნაძალადევი), შოთა ტურაშვილმა (ისანი) და ჯონი სპანდიერაშვილმა (დიდუბე).

გარი ამირხანოვი.

ჭადრაკი

საგზურები განაწილდა

10 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც ბათუმში გუშინ დამთავრდა, იმითაც იწვევდა დიდ ინტერესს, რომ აქ გამარჯვებული გოგონა და ბიჭი ამ ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაში გამოვლენ, მეორე ადგილზე გასულნი, შესაბამისად, ევროპის პირველობაში მონაწილეობის საგზურს ეუფლებიან.

ამ გასაგები მიზეზის გამოც, განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩა დასკვნითი, მე-9 ტურის ორთაბრძოლები, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ სატურნირო ცხრილში გვერდიგვერდ მყოფნი.

როგორც აჭარის დედაქალაქიდან შეგვატყობინეს, გამარჯვებულნი და მეორე პრიზიორები გახდნენ გოგონათა შორის – თეონა შესხი და მადონა ბოკუჩავა, ბიჭებში – ვახტანგ ხიზანიშვილი და გიორგი ჯავახაძე.

გუშინვე, ბათუმის თეატრში საზეიმოდ დაიხურა ნორჩ მოჭადრაკეთა ეს საინტერესო შეჯიბრება.

ანდრო ბაქრაძე.

მინიფეხბურთი

ასპარეზობენ ახალგაზრდები

პირველად საქართველოში გაიმართება მინიფეხბურთის ტურნირი „საქართველოს ახალგაზრდობის თასი". ტურნირის ორგანიზატორები არიან საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი, მინიფეხბურთის ასოციაცია, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა – გაზეთი „სარბიელი" და რადიო „აუდიენცია".

ტურნირი გაიმართება მთელი საქართველოს მასშტაბით, მასში მონაწილეობას მიიღებს 90 გუნდი, ახალგაზრდა ფეხბურთელთა რიცხვი კი ათასს უტოლდება. თბილისში სპორტკომპლექს „ქარიმხალაში" მიმდინარეობს თამაშები „თბილისის ახალგაზრდობის თასი", რომელშიც მონაწილეობს 15 გუნდი.

„საქართველოს ახალგაზრდობის თასის" გამარჯვებული გამოვლინდება 25 მაისს.

საქინფორმი.

რეგიონი

აზარტულ ბრძოლაში

ზესტაფონის რაიონში მკლავჭიდი დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქ სისტემატურად იმართება რაიონის მოსწავლეთა პირველობები, წარმოება-დაწესებულებათა ჯანმაგარი ვაჟკაცების პაექრობა...

ახლახან ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ზესტაფონის რაიონული განყოფილებისა და მკლავჭიდის ზესტაფონის რაიონული ფედერაციის ეგიდით კულტურისა და დასვენების პარკის საგაზაფხულო დარბაზში გაიმართა რაიონის პირველობა მკლავჭიდში. მონაწილეობდნენ ქალაქის და რამდენიმე სოფლის მკლავჭიდელები. დაძაბულ და აზარტულ ასპარეზობაში წონითი კატეგორიის მიხედვით გამარჯვებულნი და პრიზიორები გახდნენ: 65 წონით კატეგორიაში – სოფელ დილიკაურის მკვიდრი ვახო მუმლაძე, მეორე იყო ზესტაფონელი თემურ ქათამაძე, მესამე – ცხრაწყაროელი შალვა ფუტკარაძე.

80 კგ. წონაში პირველობა არავის დაუთმო ზესტაფონელმა ზვიად ლიპარიშვილმა, მეორე იყო ცხრაწყაროელი იმედა კიკოლაძე, მესამე – ასევე ცხრაწყაროელი თენგიზ ხიჯაკაძე.

96 კგ წონაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ზესტაფონელმა დავით წვერავამ, მეორე ადგილი დაისაკუთრა ასევე ზესტაფონელმა ივიკო მესხმა, მესამეზე გავიდა ქვედა საქარელი გოჩა კვეტენაძე.

95 კილოგრამზე ზემოთ წონაში ჩემპიონი გახდა ქვედა საზანოელი მირზა მიქაბერიძე, მეორე გავიდა ზესტაფონელი შალვა [illegible]დიაშვილი, მესამეზე – ცხრაწყაროელი ბიძინა კირკიტაძე.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო ზესტაფონელმა ზვიად ლიპარიშვილმა, მეორე ადგილი დაისაკუთრა საზანოელმა მირზა მიქაბერიძემ, მესამე იყო ზესტაფონელი დათო წვერავა.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და პრიზებით.

შეჯიბრებას ზესტაფონში დიდი მოწონება ხვდა.

ჰენრი შარიქაძე.
„სრ" საკ. კორ.

ყოველი მხრიდან

რეკორდი

ძვირი ღირს

მძლეოსნობის სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაციამ მონაკოში გამოაქვეყნა იმ სახეობების სია, რომლებშიც წლეულს „გრან-პრი" გათამაშდება. აი, ისინიც: მამაკაცებისათვის – 200, 400, 800, 1500 და 3000 მეტრზე, 400 მეტრზე დაბრკოლებით სირბილი, სიგრძეზე ხტომა, ჭოკით ხტომა და შუბის ტყორცნა. ქალებისათვის: 200, 800, 1500 და 3000 მეტრზე, 400 მეტრზე დაბრკოლებით სირბილი, სიმაღლეზე ხტომა, სამმაგი ხტომა და ბირთვის კვრა.

ცნობილი გახდა, აგრეთვე, საპრიზო თანხაც: გამარჯვებისათვის 50 ათასი დოლარიდან 5 ათას დოლარამდე მე-8 ადგილისათვის; პლუს 10 ათასი დოლარი მსოფლიო რეკორდისათვის. „გრან-პრის" ფინალურ კლასიფიკაციაში გაცილებით დიდი თანხებია გათვალისწინებული: გამარჯვებისათვის 200 ათასი დოლარიდან და 10 ათას დოლარამდე მე-9 ადგილისათვის.

წლეულს მძლეოსნებს მოელით 7 ტურნირი „**Golden Leaque**", 10 ტურნირი „გრან-პრი" და 11 ტურნირი მე-2 კატეგორიის „გრან-პრი".

„ქაქარას" მწვავე დარტყმები

ზედმეტსახელად „ქაქარა" კი ჰქვია, მაგრამ წლების მანძილზე მისი დარტყმების ძალა მსუბუქი წონის ბევრ მოკრივეს მწარედ დაუგემოვნებია – ლაპარაკია მსოფლიო ჩემპიონზე, ამერიკელ შეინ მოუსლეზე. ამ დღეებში კალიფორნიის შტატის ქალაქ ინდიოში მან მეშვიდედ დაიცვა ჩემპიონის სახელი, მერვე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა თანამემამულე ჯონ ბრუნი. იგი თითქმის მთელი მატჩის მანძილზე უტევდა და მხოლოდ მე-7 რაუნდში წააგო. თავსა და კორპუსზე მძლავრი დარტყმების კომბინაციით მან ბრაუნი რინგზე გაშხლართა. როცა გონგმა მერვე რაუნდის დამთავრება აუწყათ, მთავარმა მსაჯმა რინგზე ექიმი მიიწვია, რომელმაც, მეტოქის გასინჯვის შემდეგ, გამოაცხადა, რომ ბრაუნს ბრძოლის გაგრძელება აღარ შეუძლია.

27 წლის შეინ მოუსლეს ჯერჯერობით მატჩი არ წაუგია. მოიგო 32-ჯერ, აქედან 30 – ნოკაუტით.

ამას წინათ კრივის მიმომხილველთა ასოციაციამ „ქაქარა" ბიჭი ამერიკის წლის საუკეთესო მოკრივედ დაასახელა.

ქომაგობა თუ ჩხუბი?

მართალია, შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ტურმა, მისი ლიდერის მოსკოვის „სპარტაკის" სტუმრობამ სანკტ-პეტერბურგში და გამარჯვებამ „ზენიტთან" 2:1, მაგრამ მოსკოვიდან ჩამოსულ გულშემატკივრებს და „ზენიტის" ქომაგებს შორის შეხლა-შემოხლამ და მუშტების ტრიალმა მრავალჯერ იფეთქა არა მარტო სტადიონის მისადგომებთან, არამედ ქალაქის სხვადასხვა კუთხეშიც. ბევრი „მებრძოლი" საავადმყოფოში აღმოჩნდა.



სურათზე, რომელიც გაზეთ „იზვესტიამ" დავესესხეთ, „სპარტაკის" გულშემატკივრებისა და სანკტ-პეტერბურგის ომონის ერთ-ერთი შეტაკებაა ასახული.

ორიოდე სტრიქონით

იტალია. 1998 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა ფრანგმა ზინედინ ზიდანმა ყოველკვირეულთან „**France Football**" ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი იტალიის „იუვენტუსში" რჩება კიდევ ერთი წლით.

* * *

მილანის „ინტერის" განრისხებულმა გულშემატკივრებმა მათი გუნდის „უდინეზესთან" დამარცხების შემდეგ სცადეს, ჯავრი ეყარათ რონალდოზე. სწორედ ამის გამო მის ავტომანქანას ბოთლები დაუშინეს.

* * *

ჰოლანდია: „ბრედასთან" ფრედ 2:2 რომ ითამაშა, „ფეიენორდმა" 6 წლის შემდეგ პირველად მოიგო ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი. ახალგამომცხვარ ჩემპიონის ქომაგებმა როტერდამში დიდი უწესრიგობა გამოიწვიეს. მათ დაარღვიეს ელექტრომატარებლების მოძრაობა, რამდენიმე ხელჩართული ბრძოლა გამართეს პოლიციასთან, რის შედეგადაც 16 კაცი დაშავდა, 75 კი დააპატიმრეს.

* * *

არგენტინა. ქვეყნის პრეზიდენტმა კარლოს მენემ, რომელიც „რივერ პლეიტის" თაყვანისმცემელია, მიმართა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებს, ყველაფერი გააკეთონ „რასინგის" გადასარჩენად.

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

კონკურსი

გაიმარჯვეს მომავლის მუსიკოსებმა

კონკურსი დასრულდა, შემოქმედება გრძელდება

გუშინ დასრულდა საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე კონკურსის საასპარეზო ნაწილი. დასრულდა ათდღიანი მუსიკალური მარათონი, რომელიც დაძაბული შემოქმედებითი მუხტით აღიბეჭდა და რომელმაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ კონკურსის ორგანიზატორების თავდადებულმა შრომამ უქმად არ ჩაიარა — დაფასდა და ნაყოფიც გამოიღო.

მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური კონკურსებისადმი, მისი არსისადმი სპეციალისტების მიდგომა არაერთგვაროვანია, რაც ჟიურის წევრებთან საუბრებშიც გამოიკვეთა, ასეთი ფორუმები ახალგაზრდათა ზრდის, პროფესიული ჩამოყალიბების, ოსტატობის დახვეწის გარკვეული წახალისებაა, რადგან მათ კონკურსისთვის მზადებისას უხდებათ მიზანმიმართული შრომა, რასაც ნიჭიერებასთან ჰარმონიული შეხამებისას სასურველი შედეგიც მოსდევს. თუცა, კონკურსზე არც იღბლიანობა რჩება უკანა პლანზე, ზოგჯერ კი, გადამწყვეტ მნიშვნელობასაც იძენს. გარდა ამისა, კონკურსი თვითგამოხატვის, თვითგამოვლენის კარგი საშუალებაც გახლავთ, რადგან ახალგაზრდები თავიანთ მიღწევებს აცნობენ რიგით მსმენელებსაც და ავტორიტეტულ მუსიკოსებსაც, რომლებიც მრავლად არიან როგორც ჟიურის შემადგენლობაში, ასევე მოსმენების დამსწრეთა შორისაც. საჯარო მოსმენების მეოხებით მათ უყალიბდებათ, უვითარდებათ არტისტული ჩვევებიც და მსმენელთან კავშირის დამყარების ესოდენ აუცილებელი თვისებაც. საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე კონკურსმა, წინამორბედის მსგავსად, არაერთი ინდივიდუალური ხელწერის მქონე და ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი წარმოაჩინა, თუმცა რა გასაკვირია, კონკურსის უმთავრესი მიზანი ხომ სწორედ ეს არის. და საერთოდ, კონკურსმა მკვეთრად ნათელჰყო მუსიკოსთა ახალი თაობის დღევანდელი იერ-სახეც და შემდგომი ზრდის, განვითარების რესურსთა მდგომარეობაც. უფრო ფართოდ კი, გაცხადდა ქართულ მუსიკალურ, საშემსრულებლო ხელოვნებაში, აღმზრდელობით სფეროში ამჟამად არსებული როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მათი შესაბამისი გააზრება და შემდგომი ქმედითუნარიანობა კი, ცხადია, სამომავლოდ ისევ ქართული მუსიკის კეთილდღეობის, მისი ყოველდღიურობის გაუმჯობესებას წაადგება. მსგავსი მოსაზრება იყო გატარებული ვლადიმერ გროპის გამონათქვამშიც „მთავარი მიზანი მუსიკაა და არა კონკურსში გამარჯვება, რადგან კონკურსი ყოველდღიურობის დამაგვირგვინებელი ზეიმია, ჩამოყალიბებაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ყოველდღიურობას ენიჭება“.

ახლა კი გამარჯვებულებს მივუბრუნდეთ. ვის არ განუცდია ის მღელვარე, ამაფორიაქებელი განცდა, გრძნობა, მოლოდინი რომ ჰქვია. თუმცა, მასაც, ალბათ, სხვადასხვა ელფერი აქვს. სიახლის, სიხარულის მოლოდინს გაცისკროვნება მოსდევს, ამიტომაც არის ის სანატრელი. წესდების მიხედვით ფინალისტები უკვე კონკურსის გამარჯვებულები იყვნენ, მაგრამ ყველაზე რთული, მაინც დასკვნითი შესრულებაა, რადგან სწორედ ის, საბოლოო საფეხური წყვეტს ყველაფერს, ავლენს საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს და ანაწილებს მათს თანმიმდევრობას, ფინალური შთაბეჭდილების მიხედვით ჟიურის ვერდიქტი არჩევს ლაურეატებს და დიპლომანტებს.

პირველად (26 აპრილს) პაექრობა სიმებიან საკრავებზე შემსრულებლებმა დაამთავრეს და ამიტომ, გამარჯვებაც პირველად სწორედ მათ იზეიმეს. ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია არ გაიცა, მეორე პრემია ნათია მდინარაძემ დაიმსახურა, მესამე კი ალექსანდრე თიგიშვილმა, ორივე მევიოლინეა. კონკურსის დიპლომანტები გახდნენ დიმიტრი გაგულიძე (კონტრაბასი), მირიან ედილაშვილი (ალტი), ანა კალანდარიშვილი (ვიოლინო) და მიხეილ ქართველიშვილი (კონტრაბასი).

27 აპრილს გამოვლინდნენ გამარჯვებული პიანისტები: პირველი პრემია არც აქ გაიცა, მეორე პრემია მამიკონ ნახაპეტოვს მიენიჭა, მესამე კი თამარ კორძაძეს. კონკურსის დიპლომები ერგოთ პელაგია მაჩაბელს და თინათინ კიკნაძეს. გარკვეული მიზეზების გამო, ფინალურ მოსმენაზე ვერ დაუკრა კიდევ ორმა შემსრულებელმა — მერაბ ებრალიძემ და თამარ მიქელაძემ.

და აი, პირველი პრემიის პირველი მფლობელი მხოლოდ გუშინ დილით გამოვლინდა, ჩასაბერ საკრავებზე შემსრულებელთა შორის — ეს ბედნიერი ფაგოტზე შემსრულებელი თეიმურაზ ბუხნიკაშვილი გახლავთ (სხვათა შორის, იგი, სრულიად დამსახურებულად, თავიდანვე ლიდერად მიაჩნდათ). მეორე და მესამე პრემიები ფლეიტისტებმა ნატალია ლომინაძემ (მე-2) და ლელა მუნჯიშვილმა (მე-3) დაიმსახურეს. დიპლომებით დაჯილდოვდებიან მოთა გოგოძე (კლარნეტი), დავით მამანაური (საყვირი) და ნიკოლოზ ჩარკვიანი (ჰობოი).

საღამოს კი, საკონკურსო მარათონი მომღერლებმა დაასრულეს. საუკეთესო აღმოჩნდა ირმა გიგოლაშვილი (სოპრანო), მეორე პრემია ელისაბედ მარტიროსიანს (სოპრანო) ხვდა წილად, მესამე კი მიხეილ კოლელიშვილს (ბანი). კონკურსის დიპლომანტის წოდება მოიპოვეს ირმა ბერძენიშვილმა (სოპრანო), სულხან გველესიანმა (ბარიტონი), ანა კიკნაძემ (მეცო-სოპრანო) და მიშელინა ქობალიანმა (სოპრანო).

საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ოფიციალური შედეგები უკვე ცნობილია. ცხადია, ამ პაექრობაში მიღწეული გამარჯვება ახალგაზრდების ცხოვრების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცევა, მაგრამ მთავარი მათი შემდგომი შემოქმედებითი გზაა, რომელზეც სრულყოფისაკენ სწრაფვა და თავდადებული შრომა უნდა იქცეს ორიენტირად, სწორედ ის, რაც დიდი მიზნების მისაღწევად სჭირდებათ ახალგაზრდა მუსიკოსებს. და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი შემოქმედებით ქართული მუსიკალური კულტურის გამდიდრებას, და თუ მომავალში შექმნიან გაუხუნარ ფასეულობებს, სწორედ ეს იქნება თვით კონკურსის გამარჯვებაც და მისი ჭეშმარიტი არსის, ღირსების აღმაფრენაც.

კიდევ ერთხელ გილოცავთ შემოქმედებით გამარჯვებას, მომავლის მუსიკოსებო!

დღეს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება კონკურსგარეშე მონაწილეთა კონცერტი. ხვალ კი თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი უმასპინძლებს კონკურსის საზეიმო დახურვას, ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალსა და გამარჯვებულთა გალა-კონცერტს.

ზურაბ ოიკაშვილი.

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი

ბრძანება № 60

6 აპრილი, 1999 ქ. თბილისი

საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულებების სამოქმედო საბაჟო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ

საბაჟო სისტემაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებისა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 77-ე მუხლის მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიზნით

ვბრძანებ:

I. საბაჟო გაფორმება, როგორც წესი, განხორციელდეს საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია საქონლის გამგზავნი, მიმღები ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის გადაადგილება ხდება შესაბამისი საიდენტიფიკაციო საშუალების (ლუქის) გამოყენების გარეშე; ასეთი საქონლის საბაჟო გაფორმება უნდა განხორციელდეს საქართველოს საზღვრისპირა საბაჟო ორგანოების მიერ.

II. საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის, მათ მიერ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისა და კონტროლის მიზნით, დადგინდეს და განისაზღვროს სამოქმედო საბაჟო ტერიტორია შემდეგი სახით:

1. აჭარის საბაჟო სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს — ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოს და ხელვაჩაურის რაიონები;

2. აფხაზეთის საბაჟო სამმართველო — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ამ რეგიონიდან იძულებით ადგილნაცვალ საქართველოს რეზიდენტების მიერ საბაჟო საზღვარზე სხვადასხვა საბაჟო რეჟიმით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გაფორმება);

3. რეგიონული საბაჟო თბილისი — ქ. თბილისი, მცხეთისა და თიანეთის რაიონები.

4. საბაჟო „თბილისის აეროპორტი“, — თბილისის აეროპორტის გავლით გადაადგილებული საქონლის და მგზავრთა ხელბარგის საბაჟო გაფორმება;

5. საბაჟო „რკინიგზა“ — ქ. თბილისის საბაჟო ტერიტორიაზე რკინიგზის ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გაფორმება;

6. საბაჟო „ფოთი“ — ფოთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდის, მესტიის, აბაშის, ხობის და მარტვილის რაიონები;

7. საბაჟო „ქუთაისი“ — ქუთაისის, წყალტუბოს, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის, ხონის, თერჯოლის, ვანის, ბაღდათის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, ხარაგაულის და სამტრედიის რაიონები;

8. საბაჟო „ქუთაისის აეროპორტი“ — ქუთაისის აეროპორტის გავლით გადაადგილებული საქონლის და მგზავრთა ხელბარგის საბაჟო გაფორმება;

9. საბაჟო „გორი“ — გორის, ქარელის, კასპის, ყორნისის, ცხინვალის, ჯავის, ახალგორის, ხაშურის რაიონები;

10. საბაჟო „ყაზბეგი“ — ყაზბეგის და დუშეთის რაიონები;

11. საბაჟო „ვალე“ — ახალციხის, ბორჯომის, ადიგენის და ასპინძის რაიონები;

12. საბაჟო „ნინოწმინდა“ — ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონები;

13. საბაჟო „წითელი ხიდი“ — მარნეულის რაიონი, გარდა სოფელ სადახლოსი;

14. საბაჟო „სადახლო“ — მარნეულის რაიონის სოფელი სადახლო, ბოლნისის, თეთრიწყაროს, დმანისის და წალკის რაიონები;

15. საბაჟო „გარდაბანი“ — ქ. რუსთავი, გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონები;

16. საბაჟო „თელავი“ — გურჯაანის, თელავისა და ახმეტის რაიონები;

17. საბაჟო „ლაგოდეხი“ — ლაგოდეხის, ყვარლის, დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონები;

III. დაევალოთ აჭარისა და აფხაზეთის საბაჟო სამმართველოებს, თბილისის რეგიონულ საბაჟოს და ყველა საბაჟო ორგანოს წინამდებარე ბრძანების უცილობელი შესრულება;

არ დაუშვან საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის წერილობითი თანხმობის გარეშე იმ საქონლის საბაჟო გაფორმება, რომლის გამგზავნი, მიმღები ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფი არ იმყოფება მათ სამოქმედო ტერიტორიაზე.

თავმჯდომარე
თ. მაღლაკელიძე.

სს „საქშახტმშენი“ იწვევს
აქციონერებს საერთო კრებაზე, რომელიც
გაიმართება 1999 წლის 19 მაისს, 12 საათზე
დღის წესრიგი:

1. 1998 წლის წლიური ანგარიში
2. აუდიტორის არჩევა
3. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ (ნულოვანი აუქციონის შედეგებთან დაკავშირებით)

მისამართი: ნუცუბიძის 56.

კრების ჩატარებამდე აქციონერებს ვთხოვთ მიიღონ გადაუფასებელი აქციები.



შვილები მიხეილი, დავითი, გია, და ნათელა, ძმები აბრამი, შალვა ჩიკვაშვილები, შვილიშვილები მილკა, მეგი, ნინიკო, თამრიკო, რძლები ზეინაბი, ლერა, რიმა, სონია, ნათელა, რივა, ციალა, რომა, ეთერი, სიძეები მიხეილ ფიჩხაძე, შალვა ჩიკვაშვილი, მაზლები იოსები, ბესიკი, დისწულები, ძმისწულები, მულისშვილები, მაზლისშვილები, მძახლები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლარისა მენაშეს ასული ჩიკვაშვილი

პანაშვიდი 29 IV, 4 სთ. გამოსვენება 30 IV, 1 სთ. მესამე ნადიკვრის ქ. №23.

ხსოვნა

კონსტანტინე მიქიაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს განათლების დამსახურებული მუშაკი, ყოფილი პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი კონსტანტინე ტრიფონის ძე მიქიაშვილი.

დაიბადა 1914 წლის 6 სექტემბერს ქ. თბილისში. 1939 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1940-1942 წლებში მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, 1943 წლიდან 1983 წლამდე იყო საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აღმზრდელობით მუშაობაში.

ბატონი კონსტანტინე ორმოც წელზე მეტი ხელმძღვანელობდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადებასა და აღზრდაში. ეს იყო პერიოდი, როდესაც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა მკვეთრად ვითარდებოდა. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, სასწავლო-საწარმოო საქმიანობა. სასწავლებლებში მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედება, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. მოსწავლეთა კოლექტივები სისტემატურად მონაწილეობენ მსოფლიოს, საკავშირო და რესპუბლიკურ ფესტივალებში, სპორტულ სპარტაკიადებსა და ტექნიკურ გამოფენებში.

ბატონ კონსტანტინეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარებაში ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი საქმიანობისათვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

ბატონი კონსტანტინე მიქიაშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ნათესავების, მრავალრიცხოვანი მეგობრების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა და აღზრდილთა გულში.

**განათლების სამინისტრო,
დაწყებითი პროფესიულ-ტექნიკური
განათლების დეპარტამენტი,
მეგობრები.**

ოთარ თეთვაძე

დედაქალაქის პედაგოგთა დიდ ოჯახს კიდევ ერთი ამაგდარი მასწავლებელი გამოაკლდა, გარდაიცვალა თბილისის მე-3 გიმნაზიის დირექტორი, ღირსების ორდენისა და გრიგოლ კობახიძის პრემიის ლაურეატი ოთარ გიორგის ძე თეთვაძე.

სამყაროს მზე ანათებს, ცხოვრებას მასწავლებელიო, — უთქვამს ბრძენს და მესხეთის უძველეს მიწაზე დაბადებული კაცური კაცი სწორედ მისი ყოფნით აცისკროვნებდა მას.

ფიქრიანი კაცი იყო, დინჯი, აუჩქარებელი. უყვარდა ნიჭიერი ხალხი. ხშირად შეგვახსენებდა ერთ ბრძნულ ნათქვამს: ნიჭიერი ადამიანი სულ არ ცდილობს, ფერ-უმარილით გაილამაზოს თავი, რადგან იგი ბუნებრივად ლამაზი და მშვენიერიაო. თავად მას უხვად ჰქონდა მომადლებული ნიჭი სიკეთისა და სიყვარულისა, თავმდაბლობისა და სიამაყისა.

მთელი შეგნებული სიცოცხლე ჭეშმარიტი პედაგოგის მაგალითს იძლეოდა. სკოლის თავკაცის თავდადებულმა შრომამ, დიდმა მონდომებამ და საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებამ შედეგად ის მოიტანა, რომ მე-3 გიმნაზიას საზოგადოება „თეთვაძის სკოლის“ სახელით მოიხსენიებს.

1997 წელს დედაქალაქის „წლის საუკეთესო სასწავლო დაწესებულებების“ გამოსავლენებელ კონკურსში გიმნაზიამ გამარჯვება მოიპოვა.

სიყვარულის, სითბოს და ალერსის გადმოცემისათვის სურდა არსებობა, მაგრამ ბედმა საოცარი სიძუნწით გადაუთვალა და მიაკუთვნა სიცოცხლის დღეები.

ისე უეცრად წაიქცა, ხელის წაშველებაც ვერ მოვასწარით. სანუგეშოდ მისი გაკვალული გზა დაგვრჩა. ისე დაიფერფლა, რომ საქმით გვითხრა: „სიცოცხლე არც ჩემია და არც შენი, ქვეყნისააო!“

მარადი სიცოცხლე არავის აქვს, მაგრამ ოთარ თეთვაძე და სიკვდილი შეუსაბამოა ჩვენს წარმოდგენაში.

ასე უეცრად გამოგვეცალა ხელიდან, მისი სიყვარული უდიდეს ტკივილად ედება სულში ყველას, ვისაც თუნდაც ერთი დღის ნაცნობობა აკავშირებდა მასთან.

მსუბუქი იყოს ჩვენი ჭირნახული მიწა მის ავადმყოფ გულზე.

თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველო.

გახსენება

ვაჟა კაპანაძე

ვისთვის როგორ, მაგრამ მაინც სწრაფად გაიარა წუთისოფლის ერთმა წელიწადმა. მართლაც რომ, წუთიერი იყო შენი სიცოცხლის წლები, ჩვენო ძვირფასო ადამიანო. გაოგნებული მივჩერებივართ იმ გზას, სადაც ოდესმე გაგივლია და ამ გზაზევე წამიერად რომ გაჩერდა შენი — ასე ძალუმად მოსიყვარულე გული. შენი სიყვარულისთვის დამაშვრალი და შენივე სითბოთი ნალოლიავები შენი ოჯახი — შვილები და შვილიშვილები კვლავ იმ პასუხისმგებლობაზე ფიქრობენ, შენს კაცურ ცხოვრებას რომ ეკადრებოდა. ღმერთმა სიმშვიდე დაუმკვიდროს შენს სულს სამარადისო სასუფეველში, ჩვენო უსაყვარლესო, ოჯახის მარტო სათაყვანებელო წევრო კი არა, დიდო მეგობარო.

შენი ოჯახი.

ვანო და მანანა ვახტანგიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ თეთვაძე

და იზიარებენ ოჯახის მწუხარებას.



საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

ვლადიმერ კიურკჩიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შვილი თამაზ, რძალი ტატა, შვილიშვილი კოკა, შვილთაშვილი ტატა დაუშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ ივანეს ძე დაუშვილი

გამოსვენება 29 IV, 3 სთ. რიგის, 4.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე დეპარტამენტის სამსახურის უფროსის მოადგილეს რევაზ ჭაბაშვილს მამის

ოთარ ჭაბაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამსახურის სახაზინო საწარმო „ავტობაზის“ დირექტორს გოგი ლონდაძეს მეუღლის

ცირა გოგიტიძე-ლონდაძის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

გუჯა ჭაბუკიანი

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეტრომშენებელი, მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის უფროსი გუჯა ნიკოლოზის ძე ჭაბუკიანი.

გ. ჭაბუკიანმა შრომითი საქმიანობა დაიწყო 1955 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, კრასნოიარსკის ოლქში შახტის ცვლის უფროსად. 1956-1962 წლებში მუშაობდა ტყვარჩელნახშირის ტრესტის სისტემაში, 1962 წლიდან მისი მოღვაწეობა გაგრძელდა თბილისის მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციაში უფროსი ინჟინრის, ინსპექტორის, მთავარი ინჟინრის, ხოლო 1974 წლიდან დირექციის უფროსის თანამდებობაზე. გ. ჭაბუკიანი 37 წელიწადი ემსახურებოდა ჩვენი დედაქალაქის მეტროპოლიტენის მშენებლობას. მას უდიდესი როლი მიუძღვის მეტროს ყველა ხაზის საექსპლუატაციოდ გადაცემაში. მთელი თავისი ნიჭი, ცოდნა და პროფესიონალიზმი მან მოანდომა კეთილშობილ და მეტად ძნელ საქმეს — უნიკალური და რთული ნაგებობის აშენებას. მისი უშუალო მონაწილეობით მეტროს ხაზების დაპროექტებასა და მშენებლობაში დაინერგა მრავალი ტექნიკური სიახლე, თანამედროვე ტექნოლოგია, გამოყენებულ იქნა უახლესი მოწყობილობა-დანადგარები.

გ. ჭაბუკიანი იყო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, შესანიშნავი ხელმძღვანელი. ყველა, ვისაც ბედნიერება ჰქონდა მასთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობისა, მოხიბლული რჩებოდა მისი თავმდაბლობით, კეთილსინდისიერებით. ის იყო თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი, კარგი მეოჯახე, მეგობარი, ჭეშმარიტი ადამიანი.

გ. ჭაბუკიანის თავდადებული შრომა ღირსეულად დაფასდა, ის დაჯილდოებული იყო მრავალი მედლით და ორდენით. 1980 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება, 1996 წელს კი ღირსების ორდენის კავალერიც გახდა.

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო მეგობარო, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა, არასდროს დაგივიწყებთ.

**თბილისის მეტროპოლიტენი,
თბილმეტრომშენი,
საქტრანსპროექტი.**

გუჯა (ელგუჯა) ჭაბუკიანი

ენით აუწერელი ტკივილი მოგვაყენა თქვენი გარდაცვალების ამბავმა. ჩვენ ბოლომდე ველოდით სასწაულს, ველოდით ჩუმად, გულდამძიმებულნი. არ გვჯეროდა, რომ ამ ბუმბერაზ კაცს რაიმე გიღალატებდა. გული აღმოჩნდა...

ინტელექტით, სიდარბაისლითა და საქმისადმი მაღალპროფესიული მიდგომით გამოირჩეოდით, უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდით თანამშრომლებსა და კოლეგებს შორის. თქვენ უდიდესი წვლილი შეიტანეთ თბილისის მეტროს მშენებლობის საშვილიშვილო საქმეში, როგორც ხელმძღვანელმა და გამოცდილმა ინჟინერმა.

დააკლდით არა მარტო მეტროს მშენებლობას, არამედ მთელ ქალაქს, მთელ ჩვენს ქვეყანას, სრულიად საქართველოს.

თქვენი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

**სს „თბილმეტრომშენის“ №2 მიწისქვეშა
მშენებლობის სამმართველოს თანამშრომლები.**

მეუღლე მერი, შვილები ნანა, ლალი ჭაბუკიანები, შვილიშვილი ლამა ივანიძე, და ციალა, სიდედრი სონია, ცოლისდა ლეილა მიხანაშვილი, სიძეები ნუკრი ივანიძე, მოთა კაკაბაძე, დისშვილი გიგა, ბიძაშვილები სოზარ და ვახტანგ გარდაფხაძეები, მძახალი სულიკო ივანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გუჯა ნიკოლოზის ძე ჭაბუკიანი

პანაშვიდი: 29, 30 IV 5 სთ. გამოსვენება 1. V, 3 სთ. დიღმის მასივი II კვარტალი, 5ა კორპუსი, III სადარბაზო.

თბილისის მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა ამავე დირექციის უფროსი

გუჯა ჭაბუკიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სახაზინო საწარმო „თბილმეტრომშენის“ შპს მმს-1-ის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეტროპოლიტენის დირექციის დირექტორი

გუჯა ჭაბუკიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სახაზინო საწარმო „თბილმეტრომშენის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის უფროსის

გუჯა ნიკოლოზის ძე ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეტრომშენებელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენის კავალერი, მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის უფროსი

გუჯა ნიკოლოზის ძე ჭაბუკიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სს „საქტრანსპროექტის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „თბილმეტროპოლიტენის“ მშენებარე დირექციის უფროსი

გუჯა ნიკოლოზის ძე ჭაბუკიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის მშენებარე მეტროპოლიტენის დირექტორი, დამსახურებული ინჟინერი, ღვაწლმოსილი მუშაკი

გუჯა ნიკოლოზის ძე ჭაბუკიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე მარიამ გრიგალაშვილი, შვილები შეპერა, დინარა, ზაირა, მირზა ხაჩიძეები ოჯახებით და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი გიორგის ძე ხაჩიძე

დაკრძალვა 1 V, 2 სთ. ხარაგაულის რაიონი სოფ. ხევი.

კონცერნ „საქგვირაბმშენის“ თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ კონცერნის ვიცე-პრეზიდენტს მირზა ხაჩიძეს, მამის

ირაკლი ხაჩიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინო ფანჯავიძე, შვილები ვივი, მერაბი, რძალი მარინა სალდაძე, შვილიშვილები ნინო, თამარი, შვილთაშვილი ელენე გვეტაძე, სიძეები რამაზ გვეტაძე, ვანიკო ნაკაიძე, ძმისწულები, დისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მელქო ბიბილაშვილი

პანაშვიდი 29, 30 IV, 5 სთ. გამოსვენება 1 V, 3 სთ. არაყიშვილის ქ. №2.

ენდი, რევაზ ყიფიანები შვილებით, შვილიშვილებით იუწყებიან მძახლის

ავთანდილ ლურსმანაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 V, 3 სთ. ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები -
„საქართველოს
რესპუბლიკის“
ჟურნალისტები

ნომრის მორიგე
რედაქტორი
რუსლან
რუსია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება —
ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“
საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.